# ჩვენი საქართველო 5



მე-5 კლასი

**მასწავლებლის წიგნი**

მე-2 გამოცემა


მზია სურგულაძე
ნინო მინდაძე
ვაჟა ნეიძე
კობა ხარაძე
იზა გარსენიშვილი
ლია გარსენიშვილი
ნინო მამალაძე


ლოგოს პრესი

**ჩვენი საქართველო, მე-5 კლასი. მასწავლებლის წიგნი**
**მე-2 გადამუშავებული გამოცემა**
საგანი: ჩვენი საქართველო

გამომცემელი: შპს "ლოგოს პრესი"

ავტორები: მზია სურგულაძე, ნინო მინდაძე, ვაჟა ნეიძე, კობა ხარაძე, იზა გარსენიშვილი, ლია გარსენიშვილი, ნინო მამალაძე

მთავარი რედაქტორი: ლაშა ბერაია
თანარედაქტორები: კონსტანტინე იანტბელიძე, ეკატერინე სუმბათაშვილი

გარეკანის დიზაინი: დიანა რუსიტაშვილი

გრიფის მინიჭების წელი: 2011
ISBN 978-9941-418-25-9

შპს "ლოგოს პრესი"
ილია ჭავჭავაძის გამზირი 15ა, თბილისი 0179
ტელ. 291-51-01
www.logospress.ge

© შპს "ლოგოს პრესი", 2011
© მზია სურგულაძე, ნინო მინდაძე, ვაჟა ნეიძე, კობა ხარაძე, იზა გარსენიშვილი, ლია გარსენიშვილი, ნინო მამალაძე, 2011

ეს გამოცემა დაცულია საქართველოს კანონით საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ. გამოცემის რომელიმე ნაწილის რეპროდუცირება, კოპირება ან გადაცემა მექანიკური თუ ელექტრონული ფორმით აკრძალულია გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე.

Our Georgia, 5th grade. Teacher's Book
2nd edition

Mzia Surguladze, Vazha Neidze, Nino Mindadze, Koba Kharadze, Iza Garsenishvili, Lia Garsenishvili, Nino Mamaladze

Published by Logos Press Ltd
15a, Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia
tel.: +995 32 2915101
www.logospress.ge

## რეცენზია V-VI კლასების სახელმძღვანელოსთვის “ჩვენი საქართველო”

სახელმძღვანელოში „ჩვენი საქართველო“ ინტეგრირებულია სამი საგანი: ისტორია, გეოგრაფია და სამოქალაქო განათლება. აქ შესულია ყველა საჭირო თემა და თავმოყრილია საინტერესო ინფორმაცია, რომელიც გამდიდრებულია ვიზუალური მასალით. მისი შესწავლა მოზარდს საშუალებას მისცემს, გაიცნოს ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნება, ისტორია, ხალხი და ტრადიციები.

***მარინა პიტიურიშვილი***
*ისტორიის მასწავლებელი*
*ქ. თბილისის №90 საჯარო სკოლა*

სახელმძღვანელო ”ჩვენი საქართველო” ეფუძნება ორწლიან საგნობრივ პროგრამას და კონცეფცია მთლიანად იზიარებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

სახელმძღვანელო ხელში აღებისას უკვე იმსახურებს ყურადღებას და სურვილს აჩენს, რომ დაათვალიეროს, გაეცნო და მეტი გაიგო შენი სამშობლოს ბუნების, დასახლებების, მოსახლეობის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესახებ. მოსწავლე გაიგებს, რა არსებითი ნიშნები იყო დამახასიათებელი საქართველოს მხარეებისთვის. წინამდებარე სახელმძღვანელოთი მოსწავლე, ფაქტობრივად, იმოგზაურებს საქართველოს ყველა მხარეში, მიეცემა საშუალება, აღმოაჩინოს მათ შორის მსგავსება და განსხვავებები, გაიაზრებს თითოეულის უნიკალურობას.

მოცემულია გამართული საცნობარო აპარატი – სარჩევი, ლექსიკონი და ტერმინთა საძიებელი, რაც მოსწავლეს ბავშვობიდანვე ასწავლის სახელმძღვანელოსა და ზოგადად სამეცნიერო ლიტერატურის მოხმარების წესებს.

ილუსტრაციები სახელმძღვანელოს მნიშვნელოვანი ღირსებაა, რაც მასალას უფრო აღქმადს ხდის. რუკები და სხვა ილუსტრაციები არა მხოლოდ ტექსტების ლოგიკური შემავსებლებია, არამედ საგანმანათლებლო მნიშვნელობისაა, რაც დავალებებში იკვეთება, დეტალური ინსტრუქციები კი მასწავლებლის წიგნშია მოცემული.

***მანანა რატიანი***
*გეოგრაფიის ექსპერტი*
*ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი*

სახელმძღვანელო 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზეა შექმნილი, რომელიც V-VI კლასებში ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრირებულ სწავლებას ითვალისწინებს. მისი საშუალებით მოსწავლე გაეცნობა საქართველოს ბუნებრივ პირობებს, მოსახლეობის მახასიათებლებს, მხარეებს, ქართული მეურნეობისა და კულტურის ტრადიციულ დარგებს; ასაკობრივი მონაცემების გათვალისწინებით თვალს მიადევნებს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

საინტერესოდ და მრავალფეროვნად გადმოცემული სასწავლო მასალა მოსწავლეს საშუალებას მისცემს, ერთმანეთს დაუკავშიროს წარსული და თანამედროვეობა, რაც ხელს შეუწყობს მის პატრიოტ, პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბებას.

***ნიკოლოზ სილაგაძე***
*ისტორიის ექსპერტი*
*ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი*

# შინაარსი


**I. ჩვენი საქართველო, V–VI კლასების სერიის ერთიანი კონცეფცია 5**
- მოსწავლის წიგნები 5
- მასწავლებლის წიგნი 5

**II. საგნობრივი პროგრამა საზოგადოებრივ მეცნიერებებში 6**
- ზოგადი ნაწილი 6
- ძირითადი მიდგომები 8

**III. V-VI კლასი, ჩვენი საქართველო, საგნობრივი სტანდარტი 12**
- ორი წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით 12
- ორი წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები 13

**IV. შეფასება საზოგადოებრივ მეცნიერებებში 18**
- შეფასების მიზანი 18
- შეფასების ორი ტიპი 18
- მოსწავლეთა შეფასების (ნიშნების წერის) სისტემა 20
- ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები 21
- სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები 21
- შეფასების კომპონენტები საზოგადოებრივ მეცნიერებებში 21
- შემაჯამებელი დავალების კომპონენტი 22
- შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა 23
- გამოცდის ტიპები 23
- ნიშნების გამოანგარიშების წესი 24
- საფეხურის დაძლევა 25
- მოსწავლეების აკადემიური მიღწევების აღიარება 25
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასება 26
- სკოლის მიერ მისაღები გადაწყვეტილებები შეფასებასთან დაკავშირებით 26

**V. შეფასების რუბრიკის ნიმუშები 26**
- პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა 26
- პროექტის შეფასების განზოგადებული რუბრიკა 27
- რეფერატის შეფასების რუბრიკა 28
- დისკუსიის შეფასების რუბრიკა 28
- შემაჯამებელი დავალების კონკრეტული მაგალითი ისტორიაში 29
- რეფერატის შეფასების რუბრიკა 29
- შემაჯამებელი დავალების კონკრეტული მაგალითი ისტორიაში 29
- შემაჯამებელი დავალების კონკრეტული მაგალითი გეოგრაფიაში 31

**VI. მეთოდიკის ძირითადი ორიენტირები 32**
- სწორი ლექსიკის გამოყენება 32
- კავშირები საგნებს შორის 32
- აქცენტი მრავალმხრივ პერსპექტივაზე 32
- აქცენტი პიროვნული ღირსებების განვითარებაზე 32
- დისციპლინა 32
- მოსწავლეთა დასწრება 32
- დასწრების აღრიცხვა 33
- სსსმ მოსწავლეების დასწრება და გაცდენები 33
- გაკვეთილის დაგეგმვა 33
- გაკვეთილის, თემის, თავის შეჯამება 33

**VII. გაკვეთილების სცენარებში გამოყენებული ინტერაქტიული მეთოდები 34**
- ბლუმის ტაქსონომია 35

**VIII. შინაარსისა და მისაღწევი შედეგების რუკა 36**

**IX. გაკვეთილების სცენარები, კომენტარები და სავარჯიშოების პასუხები 40**

**X. თავების შემაჯამებელი სავარჯიშოების პასუხები 63**

**XI. ბიბლიოგრაფია 64**

**XII. ინტერნეტ-რესურსები 67**

# I. ჩვენი საქართველო, V-VI კლასების სახელმძღვანელოების ერთიანი კონცეფცია

## მოსწავლის წიგნები

V-VI კლასების სახელმძღვანელოები “ჩვენი საქართველო” ერთიანი სერიის ფარგლებში აგებულია მხარეთმცოდნეობითი პრინციპით. მოსწავლე გაეცნობა გეოგრაფიული და ისტორიული მეცნიერებების იმ ძირითად ცნებებს და მეთოდებს, რომლებიც დაეხმარება გაკვეთილების ათვისებაში, მარტივი სააზროვნო დავალებების დამოუკიდებლად შესრულებაში, – მაგალითად, მოწოდებული მასალის აღწერა-სისტემატიზაცია-შედარებაში, ადგილის/მოვლენის სივრცული/დროული კოორდინატებით განსაზღვრაში და სხვ.

V კლასში მოსწავლე გაეცნობა საქართველოს მრავალფეროვან ლანდშაფტს, ბუნებრივ რესურსებს და ზოგადად ზონალური მეურნეობების განმაპირობებელ გარემოს, რამაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების (კუთხეების) ჩამოყალიბებას.

ცალკეულ კუთხეს V კლასის სახელმძღვანელოში ეძღვნება ცალკე თემა. ყოველ მათგანში შესულია გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული თემატიკის გაკვეთილები, რომლებიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ერთიანობაში აღიქვას გარემო და ადამიანი, გაეცნოს კუთხის მდებარეობას, საზღვრებს, ჰავას, ბუნებრივ რესურსებს და მათი ათვისების ისტორიას კუთხისათვის ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნურ დარგებთან, ასევე თანამედროვე სამეწარმეო საქმიანობასთან კავშირში. მოსწავლეს წარმოდგენა შეექმნება მოსახლეობის ტრადიციულ ყოფა-ცხოვრებაზე; საზოგადოებრივი ცხოვრების დამარეგულირებელ ადათებზე; სახალხო და საოჯახო დღესასწაულებზე, მათ რელიგიურ ხასიათზე; აღზრდის წესებზე და სპორტის სახეობებზე; თანამედროვე დემოგრაფიულ ვითარებაზე; სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებთან თანაცხოვრების გამოცდილებაზე.

V კლასის სახელმძღვანელო მოსწავლეს დაეხმარება შეიმეცნოს ცალკეული კუთხის თავისებურება, ამასთანავე დაინახოს მათ შორის მუდმივად არსებული ეკონომიკური და კულტურული კავშირები, შეაფასოს სულიერი და მატერიალური ფაქტორების (სარწმუნოების, ვაჭრობა-ხელოსნობის, გზების) მნიშვნელობა კუთხეთა ინტეგრაციის პროცესისათვის. კუთხის ისტორიის გადმოცემისას შეირჩევა ისეთი მაგალითები, რომლებიც მოსწავლეს გაუადვილებს V კლასში დაიწყოს, ხოლო VI-ში გაიღრმავოს ისეთი ცნებების გააზრება, როგორიცაა: საზოგადოება, სახელმწიფო, პოლიტიკური მართვის სისტემა, საზოგადოებრივი ფენები და ჯგუფები. უპირატესად VI კლასში მოსწავლე გაეცნობა გამორჩეულ ისტორიულ პირებს, მათი საქმიანობის მნიშვნელობას კუთხისა და მთლიანად ჩვენი სამშობლოს ისტორიულ ცხოვრებაში. წარსულის მოღვაწეთა შერჩევისას გათვალისწინებული იქნება სამოღვაწეო სფერო, მათი საქმიანობის მნიშვნელობა საერთო ეროვნული (პოლიტიკური, სულიერი, საზოგადოებრივი) და სამოქალაქო ღირებულებების შექმნა-გადარჩენისათვის.

საქართველოს ისტორიული კუთხეების ლოკალურ თავისებურებებთან ერთად სახელმძღვანელოებმა უნდა უჩვენოს კუთხეთა განუყოფლობა, თითოეული კუთხის ადგილი და განსაკუთრებული როლი ერთიანი საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, გააძლიეროს მოსწავლეში ერთიანი სამშობლოს აღქმა და მოქალაქეობრივი სოლიდარობის განცდა. გაკვეთილთა კონკრეტული თემატიკა და დავალებები შეფარდებული იქნება ამ რიგის ამოცანებთან.

V-VI კლასების “ჩვენი საქართველოს” საგნობრივი პროგრამის მოთხოვნის გათვალისწინებით – V კლასში არ იქნას გამოყენებული დროის ხაზი – გამომცემლობამ და ავტორთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს V კლასის სახელმძღვანელოში წინა პლანზე იყოს წამოწეული საქართველოს კუთხეების გარემოსთან და ეთნოგრაფიულ თავისებურებებთან დაკავშირებული საკითხები, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების თემატიკა კი ძირითადად VI კლასის სახელმძღვანელოში აისახოს. ამით, ერთი მხრივ, თავიდან იქნება აცილებული ისტორიის მითოლოგიზაციის არასასურველი შედეგი, რაც ბუნებრივად მოჰყვებოდა ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ისტორიული დროისგან მოწყვეტით, ეპოქალური კონტექსტის გარეშე წარმოდგენას, ხოლო, მეორე მხრივ, ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეს, მიიღოს ცოდნა თანმიმდევრულად, მარტივიდან რთულისკენ სვლის პრინციპით: კუთხეების გარემოსა და ეთნოგრაფიის საინტერესოდ გაცნობა იქნება ერთგვარი შესავალი, რომლის მიზანია ინტერესი გაუღვივოს მოსწავლეს მომდევნო კლასებში თავისი ქვეყნის წარსულისა და დღევანდელობის შესასწავლად, საზოგადოების განვითარების ისტორიის უკეთ გასაგებად.

## მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნში მოცემულია ყველა ტიპური გაკვეთილის სცენარი. მათი შედგენისას ჩვენი მიზანი იყო გაკვეთილი მოსწავლისათვის საინტერესო და სახალისო გაგვეხადა. დავალებების შედგენისას გავითვალისწინეთ მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი შესაძლებლობები და მოსწავლის გაკვეთილით დასაინტერესებლად შევეცადეთ გამოგვეყენებინა ინტერაქტიული სწავლების მეთოდების სხვადასხვა ფორმა.

# II. საგნობრივი პროგრამა საზოგადოებრივ მეცნიერებებში

## 1.1. ზოგადი ნაწილი

### ა) შესავალი

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია მომიჯნავე დისციპლინები - ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება. საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მათ საკვანძო ადგილი უჭირავთ. ისინი ხელს უწყობენ ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას. აწვდიან მოსწავლეს ინფორმაციას მშობლიური გარემოს შესახებ. განაპირობებენ მის პატრიოტ და ჰუმანურ ადამიანად ჩამოყალიბებას. ამასთან, აღნიშნული საგნების სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლისათვის სამოქალაქო კომპეტენციების შემუშავებისა და საზოგადოებაში სამოქალაქო კულტურის დამკვიდრებისათვის. ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლა) ეს საგნები ისწავლება კოორდინირებულად მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი აგებულია მემკვიდრეობითობისა და უწყვეტობის პრინციპზე.

### ბ) საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მიზნები და ამოცანები

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მიზანია:

- მოსწავლეს ცოდნა შესძინოს ისტორიის, გეოგრაფიის, სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლებში.
- დაეხმაროს მოსწავლეს სამყაროს ერთ მთლიანობად აღქმაში და განსაზღვროს საქართველოს ადგილი მიმდინარე პროცესებში.
- ხელი შეუწყოს მოსწავლის პატრიოტად და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბებას.
- ხელი შეუწყოს მოსწავლის თავისუფალ პიროვნებად და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.
- დაეხმაროს მოსწავლეს ჰუმანური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.
- ახალგაზრდებს გამოუმუშავდეთ მტკიცე ნებისყოფა, განუვითარდეთ ექსტრემალურ სიტუაციებში შეუცდომლად და უსაფრთხოდ მოქმედების უნარი, შეეძლოთ ურთიერთდახმარება, საკუთარი და გვერდით მყოფის სიცოცხლის გადარჩენა სხვადასხვა სახის საგანგებო ვითარებაში.

**ცოდნა**

საზოგადოებრივი მეცნიერებები ხელს უწყობს ცოდნის შეძენას, რაც აუცილებელია მოზარდის თავისუფალ პიროვნებად და პასუხისმგებელ მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის. სხვადასხვა საზოგადოებრივ მეცნიერებების შესწავლა ეხმარება მოსწავლეს, რომ მსოფლიო კონტექსტში გაიაზროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები. იმავდროულად, მოსწავლემ უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო. სწორედ, საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლით უვითარდება მოზარდს ცოდნა პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღება-განხორციელების შესახებ. დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთშემეცნება. სწორედ, საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლისას ხდება იმ ცოდნის მიღება, რაც ეხმარება მოსწავლეს ადამიანის უფლებების დაცვასა და პიროვნების პატივისცემაში, საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებაში.

მოსწავლემ, ასაკის შესაბამისად, ცოდნის ნაბიჯ-ნაბიჯ ათვისების გზით, უნდა იცოდეს თუ რა არის პოლიტიკური სისტემა, კანონი, როგორი პოლიტიკური სისტემები არსებობს; უნდა გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობები და უფლებები დემოკრატიული საზოგადოებისა და კანონის უზენაესობის წინაშე; უნდა იცნობდეს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ჩარჩოებს, ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებსა და საშუალებებს საქართველოში და ა.შ.

მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს თავს, როგორც საკუთარი ოჯახის, საზოგადოების, სასკოლო თემისა თუ კლასის, სამეზობლო თემის, რეფერენტული ჯგუფის (იქნება ეს ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობა თუ სატიტულო ნაცია და ა.შ.), ქართული საზოგადოების წევრად; იცნობდეს საკუთარი ქვეყნის, საზოგადოებისა და რეფერენტული თემის კულტურას; საქართველოში თუ მსოფლიოში მცხოვრები სხვა საზოგადოებების კულტურას; იაზრებდეს, რას ნიშნავს ზრუნვის ეთიკა და რატომ არის ის ღირებული და ა.შ.

მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ, საფეხურებრივად, უნდა გაეცნოს თავისი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ძირითად ასპექტებს: შრომისა და სამომხმარებლო ბაზარს, მინიმალურ ხელფასს და მსყიდველობითუნარიანობას და ა.შ.; შეძლებისდაგვარად, უნდა იყოს ინფორმირებული მომხმარებლის უფლებებსა და მოვალეობებზე, პასუხისმგებლობითი და ეთიკური მოხმარების მნიშვნელობასა და პრინციპებზე; გამჭვირვალობის მნიშვნელობაზე და ა.შ.

მოსწავლემ უნდა ნაბიჯ-ნაბიჯ, საფეხურეობრივად შეითვისოს ცოდნა ისეთ სფეროებზე, როგორიცაა მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვა, ცხოვრების ჯანსაღი წესი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სიტუაციების შეფასება, საგანგებო ვითარებებში მოქმედება, ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების გამოყენება, დაზარალებულთათვის ექიმამდელი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა; უნდა შეიგრძნოს საკუთარი ქვეყნის ადგილი; რეგიონის კავშირი ევროპასა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან; უნდა გააცნობიეროს ყველა ამ პროცესის ურთიერთკავშირი; უნდა გააცნობიეროს კაცობრიობის, როგორც მსოფლიოს ერთიანი საზოგადოების წინაშე მდგარი პოლიტიკური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევები.

ამ პროცესში იგულისხმება, რომ მოსწავლეს ინფორმაციის დაუფლების პარალელურად უვითარდება სპეციფიკური და ზოგადი უნარ-ჩვევები, უყალიბდება მაღალზნეობრივი ღირებულებები.

კონკრეტული თემატიკა/საკითხები/კონცეფციები გაშლილია თითოეული კლასისა და საგნის პროგრამის შინაარსში. აღნიშნული ცოდნის შეძენა ითვალისწინებს არა მხოლოდ საგნობრივ სპეციფიკასა და უწყვეტობას, არამედ მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს.

**უნარ-ჩვევები**

მშობლიური ქვეყნისა და მსოფლიოს მნიშვნელოვანი ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენების შესწავლის პროცესში მოსწავლეს უნდა განუვითარდეს შემდეგი უნარები:

- სივრცეში ორიენტაცია
- ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება
- კომუნიკაცია
- სწავლის უნარი
- კვლევა
- შემოქმედებითი უნარი
- ფაქტებისა და მოვლენების ისტორიული ინტერპრეტაცია
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა
- გეოგრაფიული მოვლენების, პროცესებისა და კანონზომიერებების გავრცელების დადგენა
- თანამშრომლობა
- სამოქალაქო პოზიციის შემუშავება, კრიტიკა და დაცვა
- ტოლერანტობა
- პიროვნული და საზოგადოებრივი პრობლემის გააზრება და სხვადასხვა საკითხებს შორის კავშირების დადგენა
- პიროვნული და საზოგადოებრივი პრობლემის გადაჭრა
- საზოგადოებრივი სიტუაციებისა და პროცესების მოდელირება
- სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სიტუაციების შეფასება
- საგანგებო ვითარებებში მოქმედება

**დამოკიდებულებები**

მოსწავლე უნდა აღიზარდოს მაღალზნეობრივ ღირებულებებზე დაფუძნებული დამოკიდებულებებით:

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა
- თანაგრძნობა და მზრუნველობა
- სამშობლოს სიყვარული
- პრინციპულობა და მოქალაქეობრივი სიმამაცე
- კეთილსინდისიერება და შრომისმოყვარეობა
- თანასწორობა
- ტოლერანტობა
- სამართლიანობა და კანონის პატივისცემა
- უსაფრთხო, ჯანმრთელი ცხოვრების წესის გაზიარება;
- ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობა და მის ჯანმრთელობაზე ზრუნვა;
- სახელმწიფოსა და მისი გმირებისადმი პატივისცემა.

**გ) საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება სხვადასხვა საფეხურზე**

**დაწყებითი საფეხური**

სკოლის დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების დამოუკიდებელი შესწავლა იწყება V კლასიდან. მოსწავლეები ორი წლის განმავლობაში შეისწავლიან კურსს “ჩვენი საქართველო”. ამ საგნისთვის რეკომენდებული სასწავლო დატვირთვა ყოველწლიურად განსაზღვრულია 3 კვირეული საათით.

2-წლიანი სასწავლო კურსი “ჩვენი საქართველო” მოსწავლეს ეხმარება საკუთარი ქვეყნის მრავალმხრივად დანახვასა და მისდამი სიყვარულის გაღრმავებაში.

ამ ასაკში მოსწავლეებმა უნდა გაითავისონ, რომ თავად ისინი საზოგადოების სხვა წევრების მსგავსად საქართველოს მოქალაქეები არიან. მათ უნდა გააზრონ, რომ საქართველოს მოქალაქეებს საერთო გარემო, წარსული, აწმყო და მომავალი აერთიანებთ და რომ დღევანდელი საქართველო, როგორც სახელმწიფო, მათ ერთიანობას ეფუძნება.

კურსის ფარგლებში, V კლასიდან ბავშვი იწყებს: ისტორიის საკითხების შესწავლას, გეოგრაფიის საფუძვლებისა და ძირითადი მეთოდების დაუფლებას - სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული ინფორმაციის ასახვის გრაფიკული საშუალებების (რუკა, გლობუსი, ცხრილი, დიაგრამა, გრაფიკი, ფოტო, სქემატური ნახატი და სხვა) გამოყენებას, ეცნობა სამოქალაქო საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ძირითად პრინციპებს.;

სასწავლო კურსის ცენტრშია ადამიანი, უშუალოდ მის გარშემო არსებული სამყარო და საქართველოში მათი ურთიერთკავშირის ხანგრძლივი ისტორია.

დაწყებითი საფეხურის ამ ეტაპზე მოსწავლე ეცნობა საკუთარ ქვეყანას, მის მხარეებს, ადგილებს, რომლებსაც წარსულში მომხდარი სხვადასხვა საინტერესო ამბავი, პიროვნება და კულტურის ძეგლი უკავშირდება. ეს გააღვივებს მოსწავლის ცნობისმოყვარეობას წარსულის მიმართ და ყმაწვილებს განსხვავებული და განცალკევებული ინფორმაციის ერთიანად აღქმა-გააზრებას გაუადვილებს. ასაკობრივ თავისებურებზე დაყრდნობით იწყება სხვადასხვა აუცილებელი ცნებების გარკვევა, რაც მომდევნო საფეხურზე მოსწავლის ცნობიერებაში გამოკვეთილად გამთლიანდება მისი სამშობლოს ცნებად. ყოველივე ზემოთ ხსენებული შეისწავლება მხარეთმცოდნეობითი პრინციპის გამოყენებით.

მხარეთმცოდნეობის პრინციპით სამშობლოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლისას, ბავშვები გაარკვევენ, რომ საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი მისი ბუნებრივი, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნებაა.

V-VI კლასებში მოსწავლეები საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს გაეცნობიან. მასწავლებლის დახმარებით ბავშვებმა უნდა შეძლონ სხვადასხვა - სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული - კუთხით დააკავშირონ საქართველოს წარსული და თანამედროვეობა. ინფორმაციის მიღებისათვის მათ სხვადასხვა სახის წყაროები უნდა მივაწოდოთ, რაც ამ ასაკისთვის შესაფერისი სიღრმის

განსჯისა და წვდომის საშუალებას მისცემს. შედეგად, მოსწავლეები იმასაც აღმოაჩენენ, რომ წარსული სხვადასხვა პერსპექტივიდან შეიძლება იქნეს დანახული და გაგებული.

მოსწავლე უნდა იცნობდეს თავის საცხოვრებელ გარემოს, საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილებს, მის მრავალფეროვან კულტურას, ბუნებრივ პირობებს, ბუნებრივ რესურსებსა და ეკონომიკის გავრცელებულ დარგებს.

მოსწავლეები ეცნობიან თუ როგორი გავლენა აქვს წარსულს აწმყოზე და გარემო პირობებს ადამიანების გადაწყვეტილებებზე, როგორ ცხოვრობდა ხალხი ადრე, როგორ იღებდნენ გადაწყვეტილებებს, როგორ შრომობდნენ და ომობდნენ, რა ყოფითი თავისებურებები ახასიათებდათ და ა. შ. ამ ინფორმაციის შეძენასთან ერთად, ყმაწვილებს უვითარდებათ დროის შეგრძნება. ისინი თანდათან შეძლებენ მნიშვნელოვანი ისტორიული თუ გეოგრაფიული მოვლენების ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოქცევას.

ისინი თვალნათლივ დაინახავენ ადამიანთა გამოცდილების მრავალფეროვნებას. მოსწავლეები შეძლებენ გაიაზრონ რაც უკვე იცოდნენ, ან ახლა გაიგეს საკუთარ თავზე, როგორც პიროვნებაზე, მოქალაქესა და საზოგადოების წევრზე.

მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ რა არის ერი და სახელმწიფო, როგორ იქმნება იგი დროსა და სივრცეში, როგორ არის წარმოდგენილი იგი ყმაწვილთა უშუალო გარემოში, მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ ძირითადი ტერმინები და ცნებები, რომლებიც ქვემოთ არის მოცემული:

1. ისტორია - საგანი და მიზანი, წყაროები, ინტერპრეტაცია, უწყვეტობა და ცვლილება;
2. გეოგრაფია – რუკა; ტერიტორია, საზღვრები, ადმინისტრაციული დანაწილება, მხარე, რეგიონი, ბუნებრივი გარემო, რელიეფი, ჰიდროგრაფია, კლიმატი, ფლორა, ფაუნა, ბუნებრივი რესურსები, მოსახლეობა, დასახლებები, ეკონომიკის დარგები,, კავშირი ბუნებასა და ადამიანს შორის, გარემოს დაცვა;
3. დრო – ქრონოლოგია, წარსული, აწმყო, მომავალი, კალენდარი, დროის ერთეულები, ადრე/გვიან, ისტორიული ეპოქა/პერიოდი;
4. სივრცე – ბუნებრივი გარემო, ადგილი, ტერიტორია, ბუნებრივი და ანთროპოგენული ლანდშაფტი – დასახლების ტიპები და ფუნქციები;
5. ეკონომიკა – სასოფლო და საქალაქო მეურნეობა, ვაჭრობა, ფულადი ურთიერთობები და კომუნიკაციები: გზები, ტრანსპორტი: სახმელეთო, სამდინარო, საზღვაო, საჰაერო; მობილური, ფოსტა, ელ-ფოსტა;
6. მეცნიერება – განათლება, აღმოჩენა, გამოგონება, პროფესია, დაკვირვება, კვლევა, დასაბუთება, მეცნიერული აზრის განვითარება;
7. კულტურა – არქიტექტურა, დამწერლობა, ტრადიცია, წეს-ჩვეულება, ადათი, ფოლკლორი, მეცნიერება;
8. რელიგია – რიტუალი, მითოსი, ღვთისმსახურება, რწმენა;
9. ერი – პიროვნება, ოჯახი, წინაპრები, საზოგადოება/ფენები და მისი წევრები, ქცევის ნორმები, წესები, მოსახლეობა – შობადობა/მოკვდავობა, ბუნებრივი მატება, უმრავლესობა/უმცირესობა, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა;
10. სახელმწიფო – მოქალაქე, მმართველობა და მისი ფორმები, პოლიტიკა, კანონი, უსაფრთხოება, კონფლიქტი და თანამშრომლობა, წესრიგი, სამართალი, სიმბოლიკა;

"ჩვენი საქართველოს" სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად საზოგადოებრივი მეცნიერების მასწავლებელი სწავლების მრავალფეროვან მიდგომებს უნდა ფლობდეს, რათა საგნის შესწავლისას მოსწავლეებმა ეფექტურად აითვისონ მნიშვნელოვანი ცნებები, განივითარონ უნარ-ჩვევები და უფრო მომზადებულები აღმოჩნდნენ საბაზო საფეხურისთვის.

## ძირითადი მიდგომები:

### ცნებების შესწავლა

საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო და საშუალო საფეხურებზე სწავლა მხოლოდ მოსწავლის სათანადო მომზადების პირობებშია შესაძლებელი. რთული სოციალური, კულტურული და პოლიტიკური მოვლენების შესწავლა და გააზრება შეუძლებელია, თუ მოსწავლეები არ იცნობენ ძირითად საბაზისო ცნებებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებებისთვის მნიშვნელოვანი ცნებები მთელი კურსის მანძილზე გააზრებულად, მრავალმხრივად უნდა დამუშავდეს. ეს წარმატებულად მიიღწევა ამ ცნებების რეალურ ცხოვრებასთან, პირად გამოცდილებასა და გარემოსთან დაკავშირებით. მათი მრავალმხრივი დამუშავება მოსწავლეების მიერ საქართველოს წარსულის სხვადასხვა მაგალითების გაცნობით, შემდგომ მათი გააზრებითა და მათ შორის სხვადასხვა სახის კავშირების დადგენით მოხერხდება. სიღრმისეული შესწავლის შედეგად მოსწავლეები შეძლებენ ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტთან ადაპტირებას.

დაწყებითი საფეხურის ამ ეტაპზე ბავშვები სწავლობენ მარტივი გეოგრაფიული კვლევის ჩატარებას. შესაბამისად, დავალებების დაგეგმვისას შემდეგი ორიენტირები უნდა იყოს გათვალისწინებული:

წყაროებსა და/ან თვალსაჩინოებებთან მუშაობა - ინფორმაციის მოძიება/ათვისება/გადმოცემის სხვადასხვა საშუალებების გამოყენება.

გაკვეთილის ჩასატარებლად მასწავლებელი უნდა იყენებდეს მრავალფეროვან წყაროებსა და თვალსაჩინოებებს. ეს შეიძლება იყოს სახელმძღვანელოებში არსებული სხვადასხვა სახის წყაროები, მასწავლებლის მიერ თემის შესაბამისად მომზადებული, მოსწავლის მიერ შექმნილი და შეგროვებული მასალა, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმი; საოჯახო ფოტო ალბომები, დოკუმენტები, მიმოწერა, ძველი ნივთები (მაგ. სამუშაო იარაღი, თუ ძველი ტელეფონის აპარატი). წყაროებსა და თვალსაჩინოებებთან მუშაობა ხდება როგორც საკლასო ოთახში, ასევე კლასის გარეთაც, მაგალითად, მუზეუმებში, სკოლის ეზოში.

ზემოთ აღწერილი ძირითადი საინფორმაციო წყაროები ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ მოსწავლეებს ნელ-ნელა განუვითარდეთ კითხვის საბაზისო უნარები (შინაარსის გამოტანა, საკვანძო საკითხების გამოცალკევება პარალელების მოძიებისა და დასკვნების გამოტანისთვის). ბავშვები უნდა გაერკვნენ, რომ „წაკითხვა" ტექსტისაც შეიძლება და ფოტოსურათის ან ნივთისაც. ეს ყოველივე ინფორმაციის მოძიებას გულისხმობს.

შემდეგ ეტაპზე მოსწავლეები მიღებული ინფორმაციის შედარება/კლასიფიცირებაზე მუშაობენ მაგ.:

- ცხრილის ან ბარათების საშუალებით აჯგუფებს ბეჭდვის, კომპიუტერის ან სხვა თანამედროვე ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოგონებების შედეგებს;
- რუკის დახმარებით ცხრილში აჯგუფებს ქალაქებს საქართველოს მხარეების მიხედვით;
- ადარებს ერთმანეთს სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ფორმას და ირჩევს, მისი აზრით მისთვის მისაღებს;
- ასახელებს სხვადასხვა დასახლების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ პირობებს; მსჯელობს მათ მნიშვნელობაზე.
- ამ ასაკში უნდა ჩაეყაროს საფუძველი, ასევე, მოსწავლეების უნარს, თავად გამოხატონ ვიზუალურად ინფორმაცია (გრაფიკი, ცხრილი, ნახატი). მოსწავლეთა მონაწილეობით შექმნილი თვალსაჩინოებების გამოყენება სასწავლო რესურსად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას.

**სიმულაცია**

ზემოთ ჩამოთვლილი საბაზისო ცნებების კარგად გასაგებად მოსწავლეებისათვის საკმაოდ საინტერესო და ნაყოფიერი იქნება სიტუაციური ან პროცესის სიმულაციის ტექნიკის გამოყენება.

- მასწავლებლის დახმარებით თანაკლასელებთან ერთად მოსწავლე დგამს საკლასო სპექტაკლს გამორჩეულ სახელმწიფო მოღვაწეზე; მსჯელობს სპექტაკლში გადმოცემული ისტორიული ფაქტების შესახებ (მაგ.: "პატარა კახი")
- მონაწილეობს კონკრეტული რესურსის არარაციონალურად გამოყენების სიმულაციურ თამაშში, მაგ.: საახალწლო ნაძვის ხეებით ან ბზობაზე ტყეში მოჭრილი ბზით ვაჭრობა).
- ამგვარი აქტივობები დაეხმარება ბავშვებს პრობლემის/ცნების დეკონსტრუქციასა და შემდეგ ერთიან, გააზრებულ აღქმაში. სიმულაციის ერთერთი ფორმაა ასევე როლური თამაშები. როლური თამაშებისას მოსწავლეები გაითამაშებენ სხვადასხვა სიტუაციას, სადაც სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ან პიროვნებების პერსპექტივიდან აღწერენ მოვლენას, პროცესს ან ცნებას.

**მსჯელობა/გააზრება**

ამ ეტაპისათვის დაგეგმილი სავარჯიშოები და აქტივობები უნდა ეფუძნებოდეს მეტ-ნაკლებად უკვე ათვისებულ ინფორმაციას, მაგ.:

- ჩამოთვლის და ახასიათებს მმართველობაში მონაწილე ისტორიულ პირთა მიერ გატარებულ სახელმწიფო ღონისძიებებს. განსაზღვრავს მათ შედეგებს;
- დროის სკალაზე აღნიშნავს, მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან ოთხ (ან ხუთ) ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს უძველესი დროიდან დღემდე და ახასიათებს მათ;
- ჩამოთვლის ომს (თავდაცვითი, დამპყრობლური), ახასიათებს მის შედეგებს;
- მსჯელობს გადამწყვეტი ბრძოლების, გამოჩენილი მეფეებისა და სხვა ცნობილ ისტორიულ პირთა მოღვაწეობის შესახებ.

**თანაგრძნობა და გათავისება/ ემპატია**

წარსულის სიმულაციურ რეკონსტრუქციასთან ერთად განსაკუთრებით სახალისო და ნაყოფიერია გასათავისებელი სავარჯიშოების შემოტანა ყოველდღიური ყოფის, წეს-ჩვეულებების აღწერისას, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს არამარტო გაიაზრონ არამედ შეიგრძნონ წარსულში მცხოვრები ადამიანების მოტივაციები, სურვილები, ოცნებები. მათი თვალით დაინახონ სამყარო, განიცადონ სხვა ეპოქის ადამიანების ცხოვრება.

**მოსწავლეთა სათანადო ორგანიზაცია – სოციალური და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების მრავალმხრივი განვითარებისთვის აუცილებელი ელემენტია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელმა კლასის ორგანიზებისას, მაგალითად ჯგუფური მუშაობისას, მოსწავლეებს მისცეს შესაძლებლობა ერთობლივად გადაწყვიტონ დასახული ამოცანები, მოირგონ განსხვავებული როლები: ნებისმიერ მოსწავლეს უნდა ეძლეოდეს საშუალება სხვადასხვა დროს იყოს პრეზენტატორი ან ლიდერი. თუკი მოსწავლე არის კარგი პრეზენტატორი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას ყოველთვის უნდა ევალებოდეს ჯგუფში ჩატარებული სამუშაოს წარდგენა.

**ღირებულებების განვითარება**

ადამიანი და საზოგადოება – მიმართულების შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია მათი განხილვა მოსწავლის პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით. ოჯახისა თუ მშობლიური მხარის მაგალითების განხილვით. მასწავლებელმა სასწავლო პროცესი უნდა წარმართოს ისე, რომ მოსწავლეებს განუვითაროს ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის პატივისცემა. ამ ღირებულებებზე დაყრდნობით ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეების ეთიკური და პასუხისმგებლიანი ქცევის ჩამოყალიბებას. ღირებულებები ვითარდება ადამიანის, მოქალაქის უფლება-მოვალეობების სწავლების გზით, რაც ეყრდნობა ჩვენი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას, ტრადიციებს. სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებით განუვითაროს სამშობლოს სიყვარული. გამოიყენოს ისეთი წყაროები, რომლებიც მოსწავლეებს დააფიქრებს აქტუალურ საკითხებზე და განუვითარებს პოზიტიურ დამოკიდებულებებს.

**კლასგარეშე მუშაობა – ორიენტირებულია ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით მოძიების უნარის განვითარებაზე.**

ამ ასაკობრივ ჯგუფთან, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია დაიგეგმოს კლასგარეშე სამუშაოები. ეს ადვილად განსახორციელებელია, რადგან მოსწავლეთა უშუალო (ოჯახს, უბანს, ქუჩას, სკოლას, თემს...) გარემოს ეხება. სკოლის გარეთ მოსწავლეებს უნდა დაევალოთ აწარმოონ დაკვირვებები (მაგ. ტრანსპორტის მოძრაობაზე, არქიტექტურაზე), მოიძიონ საჭირო ინფორმაცია ინტერვიუს სახით, ლოკალური ისტორიების შეგროვება გვარის გენეალოგიაზე, თუ ქუჩის, სოფლის, ქალაქის შესახებ და ა.შ. გააკეთონ აზომვები მარშრუტის თუ სქემის შესაქმნელად, შექმნან ჩანახატები. ამგვარი აქტივობები საგნის შესწავლას უფრო სახალისოს გახდის, ხოლო ცოდნის მიღების გზები უფრო ეფექტური იქნება.

დასახელებული მეთოდური მიდგომები არამარტო ზეპირად, არამედ წერილობითიც შესაძლოა განხორციელდეს.

### დ) საგნების სწავლების ორგანიზება – დაწყებითი საფეხური

I, II, III და IV კლასებში საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო აღზრდის ელემენტები შედის სხვა სასწავლო საგნებში (ქართული ენა და ლიტერატურა, ბუნებისმეტყველება, ესთეტიკური და შრომითი აღზრდა, მათემატიკა).

V-VI კლასებში საქართველოს ისტორია, გეოგრაფია და სამოქალაქო აღზრდა ისწავლება ინტეგრირებული სახით.

I - IV კლასებში სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხები ინტეგრირებულია ბუნებისმეტყველებისა და ფიზიკური განათლების/სპორტის (შემდგომში სპორტი) სასწავლო პროგრამებში; თუმცა, IV კლასში ერთი სემესტრის განმავლობაში, ჯამურად 12 საათი სპეციალურად გამოყოფილია საგნისათვის "მოქრაობის უსაფრთხოება" (რეკომენდებულია სასწავლო წლის მეორე სემესტრში);

V-VI კლასებში საგანში შემავალი თემატიკა ინტეგრირებულია ბუნებისმეტყველების, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა სპორტის სასწავლო პროგრამებში.

### ე) საგნების სწავლების მიმართულებების აღწერა (V-VI კლასებისთვის)

ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია ყოველი კლასის ან საფეხურის ბოლოს სასწავლო პროცესის შედეგები და მოსწავლის მიერ მათი მიღწევის ინდიკატორები. შედეგები დაჯგუფებულია მიმართულებების მიხედვით. თითოეული მიმართულება ასახავს საგნის სწავლების ძირითად დანიშნულებას და ეფუძნება ერთ ან რამდენიმე დისციპლინას. ისტორიის X და გეოგრაფიის XII კლასების სტანდარტის მიმართულებები განსაზღვრულია კვლევითი და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების შესაბამისად.

საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებაში "დრო და სივრცე" გაერთიანებული შედეგები პირველ

**სწავლების მიმართულებები საგნებისა და კლასების მიხედვით**

| მიმართულებები | ჩვენი საქართველო | ისტორია | გეოგრაფია | სამოქალაქო განათლება | სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება |
|---|---|---|---|---|---|
| დრო და სივრცე | 5-6 | 7, 8, 9,10 | 7-11 | 7-8 | |
| გარემო და ეკონომიკა | 5-6 | 7, 9, 11, 12 | 7-11 | 7-8 | |
| სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა | 5-6 | 7-9, 11-12 | | 7-8 | |
| კულტურა და რელიგია | 5-6 | 7-9, 11-12 | | 7-8 | |
| ადამიანი და საზოგადოება | 5-6 | 7-9, 11,12 | | 7-8 | |
| გარემო და სოციალური სისტემები | | 8 | 7- 11 | | |
| პიროვნული განვითარება | | | | 9-10 | |
| მდგრადი განვითარება | | | | 9-10 | |
| თვითმმართველობა და მმართველობა | | | | 9-10 | |
| ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა | | 10 | | | |
| კომუნიკაცია | | 10 | 12 | | |
| გეოგრაფიული კვლევა | | | 12 | | |
| პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა | | | | | 4, 8, 12 |
| საგანგებო ვითარებებში უსაფრთხო ქცევის საფუძვლები | | | | | 4, 8, 12 |
| გადაუდებელი ექიმამდელი დახმარება | | | | | 12 |

რიგში მოსწავლეს დროსა და სივრცეში ორიენტირების უნარს სძენს.

მიმართულება დრო და სივრცე გამჭოლია გეოგრაფიაში. ეს მიმართულება აერთიანებს გეოგრაფიისათვის ისეთ მნიშვნელოვან თემებსა და უნარ-ჩვევებს, როგორებიცაა რუკის კითხვა, თვალსაჩინოებების ანალიზი, ინტერპრეტაცია და შექმნა; ასევე ტერიტორიების, გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრა; გეოგრაფიულ გარემოს, გეოლოგიურ დროს, გეოგრაფიული მოვლენების, პროცესებისა და კანონზომიერებების გავრცელების ცოდნას.

ისტორიის შემთხვევაში მოსწავლე ეუფლება ისეთ ფუნდამენტურ ცნებებს, როგორებიცაა დროის ერთეულები, ადრე/გვიან, წარსული, აწმყო, მომავალი, ქრონოლოგია (მ.შ. გეოქრონოლოგიური წელთაღრიცხვა), წელთაღრიცხვა, პერიოდიზაცია, საუკუნე, ათასწლეული, კალენდარი, ისტორიული ეპოქები/პერიოდები, ეპოქა და რეგიონი.

**გარემო და ეკონომიკა**

მიმართულების "გარემო და ეკონომიკა" მიზანია მოსწავლეს დაანახოს ბუნებრივი გარემოსა და ეკონომიკის მნიშვნელობა ადამიანთა საზოგადოებისათვის. ეს მიმართულება აერთიანებს ბუნებრივი გარემოს, ბუნებრივი რესურსების, მოსახლეობის, ეკონომიკის დარგების გაცნობიერებისა და შესწავლისაკენ მიმართულ შედეგებს. მოსწავლეს საშუალება ეძლევა გააცნობიეროს გეოგრაფიული ფაქტორების ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. ამავე მიმართულებაში გამჭოლადაა წარმოდგენილი გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებებისკენ მიმართული შედეგები.

ამ მიმართულებაში გაერთიანებული შედეგები მოსწავლეს აძლევს საშუალებას აღიქვას ეკონომიკისა და ბუნებრივი ფაქტორების ურთიერთგავლენა. გააცნობიეროს ამ კავშირების ცვალებადობა დროსა და სივრცეში და კანონზომიერებები.

**სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა**

ამ მიმართულების მიზანია მოსწავლეს საშუალება მისცეს გააცნობიეროს სახელმწიფოს რაობა და ფუნქციები. აღიქვას პოლიტიკური პროცესების მნიშვნელობა და ზოგადი კანონზომიერებები. დაეხმაროს მოსწავლეს ისტორიული ფაქტების განზოგადებაში.

**კულტურა და რელიგია**

ამ მიმართულების მიზანია მოსწავლეს დაანახოს დედამიწაზე ადამიანის შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება და დაეხმაროს მის კლასიფიცირებაში. ხელი შეუწყოს მას ისტორიული ეპოქები და მხარეები განასხვავოს მათთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ყოფისა და კულტურის მიღწევებს საფუძველზე. დაეხმაროს მოსწავლეს რელიგიის რაობისა და მნიშვნელობის განსაზღვრაში. წარმოდგენა შეუქმნას მსოფლიოში არსებული რელიგიური სისტემების მრავალფეროვნებაზე.

**ადამიანი და საზოგადოება**

ამ მიმართულების მიზანია მოსწავლეს დაანახოს, რომ ისტორიის მთავარ შემოქმედს ადამიანი წარმოადგენს, რომელსაც თავისი უფლებები და საზოგადოების წინაშე გარკვეული ვალდებულებები გააჩნია. ადამიანთა საზოგადოება სხვადასხვა სოციალური ფენებისგან შედგება. მოსწავლემ უნდა იცოდეს თუ როგორი იყო სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის ხარისხი.

## III. V-VI კლასი, ჩვენი საქართველო

### საგნობრივი სტანდარტი

### ორი წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით:

| დრო და სივრცე | სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა | გარემო და ეკონომიკა | ადამიანი და საზოგადოება | კულტურა და რელიგია |
|---|---|---|---|---|
| **საზ. მეც.V-VI. 1.** მოსწავლეს შეუძლია რუკების კითხვა და გამოყენება. | **საზ. მეც.V-VI.6.** მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში საქართველოში არსებული მმართველობის ფორმები. | **საზ. მეც.V-VI.10.** მოსწავლეს შეუძლია ჩამოთვლოს საქართველოს მოსახლეობის მახასიათებლები. | **საზ. მეც.V-VI.15.** მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს სხვადასხვა ნიშანი და პირობა, რომელთა მიხედვითაც ადამიანი ამა თუ იმ საზოგადოებას მიაკუთვნებს თავს. | **საზ.მეც.V-VI.20.** მოსწავლეს შეუძლია აღწეროს საქართველოში არსებული რელიგიები. |
| **საზ. მეც.V-VI. 2.** მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს და შექმნას ინფორმაციის გადმოცემის სხვადასხვა საშუალება (ცხრილი, გრაფიკი, ფოტო, სქემა, ჩანახატი). | **საზ. მეც.V-VI.7.** მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს საქართველოს ისტორიის გამორჩეული პიროვნებები, რომლებიც ქვეყნის მმართ-ველობაში მონა-წილეობდნენ. | **საზ. მეც.V-VI.11.** მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს საქართველოს გეოგრაფიულ ობიექტები დასახლებების ტიპებთან. | **საზ. მეც.V-VI.16.** მოსწავლეს შეუძლია შეადაროს სხვადასხვა საზოგადოებები მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებისა და წესების მიხედვით. | **საზ. მეც.V-VI.21.** მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს კულტურის სხვადასხვა კომპონენტები და განიხილოს მათი ურთიერთკავშირი |
| **საზ. მეც.V-VI. 3.** მოსწავლეს შეუძლია შეადგინოს სქემატური რუკები. | **საზ. მეც.V-VI.8.** მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს პიროვნებებისა და სხვადასხვა სოციალური ფენის როლზე საქართველოს ისტორიაში. | **საზ. მეც.V-VI.12.** მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს მხარე ბუნებრივი რესურსების მიხედვით და იმსჯელოს მათ მნიშვნელობაზე. | **საზ. მეც.V-VI.17.** მოსწავლეს შეუძლია აღწეროს ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვა სხვადასხვა ეპოქაში. | **საზ.მეც.V-VI.22.** მოსწავლეს შეუძლია აღწეროს საქართველოს მოსახლეობის კულტურათა მსგავსება-განსხვავებების გამოვლინებები და განიხილოს შესაბამისი მიზეზები. |
| **საზ. მეც.V-VI.4.** მოსწავლეს შეუძლია განმარტოს და გამოიყენოს ქრონოლოგიუ-ური ერთეულე-ბი (წელიწადი, საუკუნე, ათასწლეული) და წელთაღრიცხვის სისტემა (ძველი და ახალი ერა). | **საზ. მეც.V-VI.9.** მოსწავლეს შეუძლია შეადაროს ომისა და მშვიდობის შედეგები მოსახლეობისათვის საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში. | **საზ. მეც.V-VI.13.** მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მრავალმხრივ გამოყენებაზე. | **საზ.მეც.V-VI.18.** მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ბავშვის უფლება-მოვალეობები სხვადასხვა საზოგადოებაში. | **საზ.მეც.V-VI.23.** მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს მოგზაურობებისა და ვაჭრობის მნიშვნელობაზე. |
| **საზ. მეც.V-VI.5.** მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ისტორიული ფაქტები შესაბამის ეპოქებთან. | | **საზ. მეც.V-VI.14.** მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა კომუნიკაციების განვითარებაზე უძველესი დროიდან დღემდე. | **საზ.მეც.V-VI.19.** მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს კანონიერება და მშვიდობიანი თანაარსებობა. | |

# ორი წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

## მიმართულება: დრო და სივრცე

**საზ. მეც.V-VI. 1. მოსწავლეს შეუძლია რუკების კითხვა და გამოყენება.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ამჟღავნებს რუკების ლეგენდის ცოდნას;
• ამოიცნობს საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებსა და მსხვილ გეოგრაფიულ ობიექტებს;
• იყენებს პოლიტიკურ რუკას/ატლასს და ამოიცნობს საქართველოს მხარეებსა და სამხარეო ცენტრებს;
• რუკების დახმარებით განიხილავს საქართველოს საზღვრების ცვლილებებს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში;
• უჩვენებს გზებს, რომლებითაც საქართველო უკავშირდება გარე სამყაროს (მაგ. შავი ზღვის საშუალებით);
• განსაზღვრავს და მოიძიებს კოორდინატების საშუალებით გეოგრაფიულ ობიექტებს რუკაზე;
• არჩევს და იყენებს საჭირო ინფორმაციას თემატური რუკებიდან.

**საზ. მეც.V-VI. 2. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს და შექმნას ინფორმაციის გადმოცემის სხვადასხვა საშუალება (ცხრილი, გრაფიკი, ფოტო, სქემა, ჩანახატი).**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• კითხულობს და იყენებს გრაფიკებსა და ცხრილებში მოცემულ ინფორმაციას;
• ადარებს სხვადასხვა საშუალებით გადმოცემულ ინფორმაციას რაიმე ნიშნით (მაგ. წლების, ან ფართობის მიხედვით);
• ახდენს სხვადასხვა საშუალებებიდან მოპოვებული ინფორმაციის კლასიფიცირებას;
• ერთი ტიპის საშუალებით მოცემულ ინფორმაციას აჯგუფებს ერთი ან ორი ნიშნის მიხედვით;
• ისტორიულ ან გეოგრაფიულ ინფორმაციას წარმოადგენს სხვადასხვა საშუალებებით.

**საზ. მეც.V-VI. 3. მოსწავლეს შეუძლია შეადგინოს სქემატური რუკები.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ავსებს საქართველოს კონტურულ რუკებს (რელიეფის ფორმები, ჰიდროგრაფიული ობიექტები, მხარეები და დასახლებები, ხუროთმოძღვრული ძეგლები);
• ადგილზე ატარებს მარტივ აზომვებს და აღნიშნავს ობიექტებს ადგილის გეგმაზე;
• მშობლიური მხარის რუკის შედგენისას მასზე ასახავს აუცილებელ ელემენტებს - სათაური, ლეგენდა, სიმბოლოები, ჰორიზონტის მხარეები.

**საზ. მეც.V-VI.4. მოსწავლეს შეუძლია განმარტოს და გამოიყენოს ქრონოლოგიური ერთეულები (წელიწადი, საუკუნე, ათასწლეული) და წელთაღრიცხვის სისტემა (ძველი და ახალი ერა).**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• უფარდებს დროის ერთეულებს ერთმანეთს (მაგ. ათასწლეული - 10 საუკუნე; საუკუნე - 100 წელი და ა. შ.);
• იყენებს ტერმინებს - ძველი ერა/ახალი ერა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე/ჩვენი წელთაღრიცხვით, ძველი წელთაღრიცხვით/ ახალი წელთაღრიცხვით, ქრისტეშობამდე/ქრისტეშობიდან;
• დროის ხაზზე (სკალაზე) აღნიშნავს კონკრეტულ ისტორიულ თარიღებს ან ისტორიულ პერიოდებს.

**საზ. მეც.V-VI.5. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ისტორიული ფაქტები შესაბამის ეპოქებთან.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ასახელებს მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებს;
• ასახელებს იმ საუკუნესა და ათასწლეულს, რომელსაც მიეკუთვნება კონკრეტული თარიღი;
• განასხვავებს კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას პრინციპით - ადრე და გვიან; მაგ.:




## მიმართულება: სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა

**საზ. მეც.V-VI.6. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში საქართველოში არსებული მმართველობის ფორმები.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ჩამოთვლის სხვადასხვა ტიპის მმართველობის სისტემის ძირითად მახასიათებლებს; მათ აღმნიშვნელ ტერმინებს და სწორად იყენებს მათ;
• ადარებს ერთმანეთს მმართველობის სხვადასხვა ფორმას.

**საზ. მეც.V-VI.7. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს საქართველოს ისტორიის გამორჩეული პიროვნებები, რომლებიც ქვეყნის მმართველობაში მონაწილეობდნენ.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ჩამოთვლის სხვადასხვა დროის მოღვაწე ისტორიულ პირებს, განსაზღვრავს მათ როლს მმართველობაში;
• განასხვავებს ერთმანეთისაგან მმართველებს ეპოქების მიხედვით ;
• ჩამოთვლის და ახასიათებს მმართველობაში მონაწილე ისტორიულ პირთა მიერ გატარებულ სახელმწიფო ღონისძიებებს. გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას მათ შედეგებზე;
• დროის სკალაზე აღნიშნავს, მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან ოთხ (ან ხუთ) ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს უძველესი დროიდან დღემდე და ახასიათებს მათ.

**საზ. მეც.V-VI.8. მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს პიროვნებებისა და სხვადასხვა სოციალური ფენის როლზე საქართველოს ისტორიაში.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ირჩევს წარსულის საზოგადოების ერთ-ერთ სოციალურ ფენას და აღწერს ამ ფენის თვალსაჩინო წარ-

მომადგენლის ყოველდღიურ ცხოვრებას (მაგ. გლეხი, აზნაური, ვაჭარი, ხელოსანი, მეცნიერი და ა.შ.);
• ეპოქის შესაბამისად ასახელებს სხვადასხვა გამოჩენილ პიროვნებას, განსაზღვრავს მათ სოციალურ სტატუსს (მაგ: მეფე, ვაჭარი, მონადირე, ბანკირი, მიწათმფლობელი, პრეზიდენტი, მეცნიერი და ა.შ.).

**საზ. მეც.V-VI.9. მოსწავლეს შეუძლია შეადაროს ომისა და მშვიდობის შედეგები მოსახლეობისათვის საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ჩამოთვლის ომის სახეობებს (თავდაცვითი, დამპყრობლური), ახასიათებს მათ შედეგებს;
• ასახელებს მშვიდობიანი ხერხებით მიღებულ გადაწყვეტილებებს საქართველოს ისტორიაში. მის დადებით და უარყოფით შედეგებს. კონტურულ რუკაზე აღნიშნავს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდის ბრძოლების ადგილს (მაგ. დიდგორის, ბასიანის, გარნისის, კრწანისის და ა.შ.);
• ადარებს სხვადასხვა ეპოქის საქართველოში ომის წარმოების წესებს (დამოკიდებულება ტყვეთა, დაჭრილთა და დაღუპულთა მიმართ. მსჯელობს წესებისა და კანონების დაცვის აუცილებლობაზე ომის დროს);
• მოიპოვებს ინფორმაციას ბუნებაში ომით გამოწვეულ ეკოლოგიურ ცვლილებებზე (წყალი, ჰაერი, ნიადაგი, ტყე); ცვლილებების შედეგებს წარმოადგენს ცხრილის ან ნახატის (პლაკატის) სახით.

## მიმართულება: გარემო და ეკონომიკა

**საზ. მეც.V-VI. 10. მოსწავლეს შეუძლია ჩამოთვალოს საქართველოს მოსახლეობის მახასიათებლები.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ადგენს კავშირს ბუნებრივ მატებას, შობადობასა და მოკვდაობას შორის;
• კლასის ან ლოკალური გარემოს მონაცემების მიხედვით ახასიათებს საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ და ასაკობრივ სტრუქტურებს;
• ასახელებს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს;
• რუკის დახმარებით აღწერს საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას;
• გამოთქვამს საკუთარ აზრს მიგრაციის შესაძლო მიზეზებზე და მოჰყავს შესაბამისი მაგალითები (მაგ. ბუნებრივი პირობები, ეკოლოგია, ომები)
• ჩამოთვლის საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განვითარებულ მეურნეობის ტიპებს.

**საზ. მეც.V-VI.11. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს საქართველოს გეოგრაფიული ობიექტები დასახლებების ტიპებთან.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ფოტოსურათის ან რუკის გამოყენებით აღწერს სხვადასხვა ტერიტორიისთვის დამახასიათებელ პეიზაჟს (მაგ. მთები, ტყეები, და სხვა);
• ასხვავებს საქართველოში გავრცელებულ საცხოვრებელი სახლის ტიპებს;
• უკავშირებს სახლების არქიტექტურას გეოგრაფიულ გარემოს;
• ასხვავებს სხვადასხვა ტიპის დასახლებებს და მსჯელობს კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში მათი გაჩენის მიზეზებზე (მაგ. რატომ აარსებენ ქალაქებს მდინარეების ნაპირებზე, რატომ გვხვდება ძველი ნასახლარები მიუვალ ადგილებში);
• საქართველოს კონტურულ რუკაზე აღნიშნავს სხვადასხვა ტიპის დასახლებებს (ქალაქი, დაბა, სოფელი);
• ასახელებს სხვადასხვა დასახლების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ პირობებს; მსჯელობს მათ მნიშვნელობაზე;
• ერთმანეთს ადარებს საკუთარი და სხვა დასახლებული პუნქტის ბუნებრივ პირობებს.

**საზ. მეც.V-VI.12. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს მხარე ბუნებრივი რესურსების მიხედვით და იმსჯელოს მათ მნიშვნელობაზე.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ადარებს სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში არსებულ ორ სამოსახლოს და ადგენს მათ შორის განსხვავებას (მასალა, არქიტექტურა);
• ადგენს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოპოვებული ბუნებრივი რესურსების ნუსხას;
• ადგენს იმ ბუნებრივი რესურსების ნუსხას, რომლებიც გამოიყენება მის ქალაქსა თუ სოფელში და აღნიშნავს მათ კონტურულ რუკაზე;
• ირჩევს რომელიმე ბუნებრივ რესურსს და მსჯელობს მის მნიშვნელობაზე რეგიონის განვითარებისთვის;
• ბუნებრივ რესურსებს აკავშირებს ქვეყნის (რეგიონის) სამეურნეო საქმიანობასთან.

**საზ. მეც.V-VI.13. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მრავალმხრივ გამოყენებაზე.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• აჯგუფებს ერთი მასალისგან დამზადებულ ნივთებს (მაგ., თიხისგან მზადდება ქოთანიც და აგურიც);
• გამოსახავს რესურსების სახეცვლილებას მოპოვებიდან მოხმარებამდე (მაგ. ხორბალი-ფქვილი-პურ-ფუნთუშეულობა);
• მსჯელობს საქართველოს/მისი რომელიმე რეგიონის ზედაპირული წყლების მრავალფეროვნებაზე, მათ მნიშვნელობაზე და შედეგებს წარმოადგენს მისთვის სასურველი ფორმით;
• მსჯელობს წყლის რესურსის რაციონალურ გამოყენებაზე და დაბინძურების თავიდან აცილების გზებზე;
• ასახელებს ტყის გამოყენების განსხვავებულ სახეებს;
• გამოყოფს ტყით სარგებლობის გარემოსათვის უსაფრთხო ფორმებს;
• ადგენს მოხმარების საგნებს, რომელთა მეორადი გადამუშავებაა შესაძლებელი.

**საზ. მეც.V-VI.14. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა კომუნიკაციების განვითარებაზე უძველესი დროიდან დღემდე.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ერკვევა იმაში, თუ რა დადებითი ცვლილებები მოუტანა დამწერლობის გამოგონებამ კაცობრიობას;

• აჯგუფებს ბეჭდვის, კომპიუტერის ან სხვა თანამედროვე ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოგონებების შედეგებს;
• დროის სკალაზე აღნიშნავს ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის გამოგონებას და მის განვითარებას;
• ჩამოთვლის ტრანსპორტის საშუალებებს, მსჯელობს მათ დანიშნულებაზე სხვადასხვა გარემოში; მოჰყავს მაგალითები.

## მიმართულება: ადამიანი და საზოგადოება

**საზ. მეც.V-VI.15. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს სხვადასხვა ნიშანი და პირობა, რომელთა მიხედვითაც ადამიანი ამა თუ იმ საზოგადოებას მიაკუთვნებს თავს.**
**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**
• ასახელებს იმ სოციალურ ჯგუფებსა თუ საზოგადოებებს, რომელთა წევრადაც მიაჩნია საკუთარი თავი (მაგ.: ოჯახი, კლასი, საგვარეულო, სკოლა, სამეგობრო, მოცეკვავეთა ანსამბლი და სხვა);
• განასხვავებს საკუთარი თავის სხვადასხვა საზოგადოებისადმი მიკუთვნების პირობებს (მაგ.: ასაკი, სისხლით ნათესავობა, სქესი, სამეტყველო ენა, საცხოვრებელი და ა.შ.)
• ჩამოთვლის რომელიმე სოციალური ჯგუფისა თუ საზოგადოების წევრთა საერთო ნიშან-თვისებებს (მაგ.: ნათესაობა, გარეგნობა, ხასიათი, ინტერესი, უნარი, თანაგრძნობა, ასაკი, სიყვარული, მშობლიური ენა, გემოვნება და ა.შ.);
• მსგავსი ნიშან-თვისებებისა და პირობების გამოყოფით ამყარებს კავშირს იმ სოციალურ ჯგუფებსა თუ საზოგადოებებს შორის, რომელთაც მიაკუთვნებს საკუთარ თავს;
• მსჯელობს ადამიანების მრავალფეროვნების, მათი განმასხვავებელი და საერთო ნიშან-თვისებების შესახებ;
• ასახელებს და აღწერს მიზეზებს, რის გამოც პატივს სცემს იმ საზოგადოების წევრებს, რომელსაც მიეკუთვნება;
• საუბრობს ადამიანის აღმშენებლობით და დამანგრეველ შესაძლებლობებზე, ამჩნევს პირველის უპირატესობას და თავს მიაკუთვნებს აღმშენებელთა ერთობას.

**საზ. მეც.V-VI.16. მოსწავლეს შეუძლია შეადაროს სხვადასხვა საზოგადოებები მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებისა და წესების მიხედვით.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• აღწერს ძირითადი სოციალური ჯგუფებისა თუ საზოგადოებებისათვის დამახასიათებელ თვისებებსა და წესებს (მაგ.: ოჯახი, სკოლა, მშობლიური დასახლება, მშობლიური ისტორიული მხარე).
• აღწერს იმ საზოგადოებათა მსგავს თავისებურებებს, რომლებიც მნიშვნელოვანია თანაკლასელებისათვის;
• ადარებს ერთი ტიპის საზოგადოების (მაგ.: ოჯახი, სამეზობლო, უბანი) თავისებურებებს საქართველოს სხვადასხვა მხარეში;
• მშობლიური მხარის ან საქართველოს მაგალითზე ადარებს სხვადასხვა ტიპის საზოგადოების (მაგ.: ოჯახი, სამეზობლო, უბანი) თავისებურებებს.

**საზ. მეც.V-VI.17. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვა სხვადასხვა ეპოქაში.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• საკუთარი სიტყვებით განმარტავს, რას ნიშნავს ღირსება, თავისუფლება და თანასწორობა;
• აკავშირებს ადამიანების მრავალფეროვნებას მათ უფლებებსა და თანასწორობასთან;
• მშობლიური მხარის ან საქართველოს მაგალითზე ადარებს ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვას.

**საზ.მეც.V-VI.18. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ბავშვის უფლება-მოვალეობები სხვადასხვა საზოგადოებაში.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ახასიათებს თვითორგანიზების მნიშვნელობას ყოველდღიურ ცხოვრებაში;
• აღწერს საკუთარ პასუხისმგებლობას თანაკლასელების მიმართ ჯგუფური/გუნდური მუშაობისას;
• განმარტავს საკუთარ უფლება-მოვალეობებს სხვადასხვა საზოგადოებაში (მაგ.: ოჯახში, სკოლაში, სანათესავოში, სამეზობლოში და ა.შ.);
• მსჯელობს ბავშვისა და ზრდასრულების უფლება-მოვალეობებს შორის მსგავსება-განსხვავებზე;

**საზ.მეც.V-VI.19. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს კანონიერება და მშვიდობიანი თანაარსებობა.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ავლენს ზრდილობიანი და უსაფრთხო ქცევის წესების ცოდნას;
• აღწერს საგანგებო ვითარებაში საკუთარი ქცევის წესებს;
• აღწერს, თუ რა საფრთხეს უქმნის საზოგადოებასა და პიროვნებას კანონის დარღვევის დაუსჯელობა;
• განასხვავებს საზოგადოებაში მიღებულ წესებს სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი კანონებისგან;
• განასხვავებს ადამიანთა ქცევას, რომელთა მორალური და სამართლებრივი შეფასებები ერთმანეთს არ ემთხვევა;
• ამოიცნობს ადამიანებს შორის კონფლიქტის ძირითად მიზეზებს;
• მოჰყავს სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების მაგალითები;
• ასაბუთებს, თუ რატომ უნდა იცხოვრონ მშვიდობიანად და ღირსეულად სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანებმა.

## მიმართულება: კულტურა და რელიგია

**საზ.მეც.V-VI.20. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს საქართველოში არსებული რელიგიები.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ასაკის შესაბამისად ესმის და მსჯელობს რელიგიის დანიშნულებასა და ადგილზე ადამიანის ცხოვრებაში;
• რუკაზე მიუთითებს ქრისტიანობისა და სხვა მისთვის ცნობილი რელიგიების გავრცელების არეალებს თანამედროვე საქართველოში;

• ადარებს საქართველოს სხვადასხვა მხარეებში არსებულ რელიგიებსა და მათთან დაკავშირებულ რიტუალებს/კულტურულ ტრადიციებს (მაგ.: ქორწილი, დაკრძალვა, ახალი წელი) ;
• ესმის, რომ ყველა რელიგია ჰუმანური ფასეულობების მატარებელია.

**საზ. მეც.V-VI.21. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს კულტურის სხვადასხვა კომპონენტები და განიხილოს მათ ურთიერთკავშირი**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ჩამოთვლის კულტურის დარგებს ან კომპონენტებს და აღწერს მათ გამოვლინებებს;
• საკუთარი სიტყვებით განმარტავს, რას ნიშნავს კულტურული ადამიანი;
• ახასიათებს ქართული კულტურის რომელიმე დარგს;
• ასახელებს ხალხური კულტურის მისთვის ცნობილ ნიმუშებს; შეძლებისდაგვარად გამოყოფს მათში კულტურული ტრადიციების ელემენტებს;
• განასხვავებს ქართულ კულტურაზე დასავლური ან აღმოსავლური კულტურის გავლენას (მაგ.: ჩაცმულობა, არქიტექტურა);

**საზ.მეც.V-VI.22. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს საქართველოს მოსახლეობის კულტურათა მსგავსება-განსხვავებების გამოვლინებები და განიხილოს შესაბამისი მიზეზები.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• აჯგუფებს საქართველოს სხვადასხვა მხარის (კუთხის) ხალხურ თქმულებებს, ლექსებსა და სიმღერებს;
• აღწერს თავის მშობლიურ კუთხეში მდებარე ხუროთმოძღვრულ ძეგლს (ძეგლებს);
• აღწერს საქართველოში მცხოვრები ეროვნებების საოჯახო თუ რელიგიურ დღესასწაულებს და ავლებს მათ შორის პარალელებს;
• ადარებს საქართველოს ისტორიული მხარეებისათვის დამახასიათებელ წეს-ჩვეულებებს (კულტურული მრავალფეროვნება).

**საზ.მეც.V-VI.23. მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს მოგზაურობებისა და ვაჭრობის მნიშვნელობაზე.**
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• მსჯელობს მოგზაურობების შესაძლო შედეგებზე (მაგ,: გამოცდილების/ცოდნის გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში, ვაჭრობის განვითარება, კულტურის სხვადასხვა ასპექტების ცვლილება);
• მსჯელობს უცხოელი მოგზაურების მიერ საქართველოს შესახებ შეგროვილი ცნობების მნიშვნელობაზე ქვეყნის შესწავლისათვის;
• ახასიათებს საზღვარგარეთ ქართული საგანმანათლებლო კერების საქმიანობას და მათ გავლენას კულტურულ პროცესებზე საქართველოში (მაგ.: ათონის მთა, პეტრიწონის მონასტერი და ა. შ.).

## პროგრამის შინაარსი (გათვლილია ორ წელიწადზე)

**დრო და სივრცე:**
1. საქართველოს მდებარეობა და საზღვრები/ მეზობლები და გარესამყარო;
2. საქართველოს სახმელეთო მეზობლები;
3. შავიზღვისპირა ქვეყნები;
4. არქეოლოგიური მემკვიდრეობა;
5. უცხოელების თვალით დანახული საქართველო;
6. დრო და ისტორია - ქრონოლოგია და წელთაღრიცხვა;
7. როგორ და რატომ წარმოიშვა კალენდარი;

**საქართველოს ბუნება:**
8. რელიეფის ფორმები: მთები, ქედები და დაბლობები;
9. ჰიდროგრაფია: მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, მყინვარები, ჭაობები;

**საქართველოს კლიმატი:**
10. განსხვავებები დასავლეთისა და აღმოსავლეთის კლიმატს შორის;
11. განსხვავებები ბარისა და მთის კლიმატს შორის;

**საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები (გეოგრაფიული დახასიათება, ისტორიულ-ეთნოგრაფიული დახასიათება):**
12. ქართლი
13. კახეთი
14. იმერეთი
15. თუშეთი
16. ფშავ-ხევსურეთი
17. ხევი
18. მთიულეთი/გუდამაყარი
19. სამეგრელო
20. გურია
21. სვანეთი
22. რაჭა-ლეჩხუმი
23. აფხაზეთი
24. სამცხე
25. ჯავახეთი
26. აჭარა
27. საქართველოს ისტორიული მიწები (დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ)

**მოსახლეობა:**
28. დემოგრაფიული მდგომარეობა საქართველოში ძველად და ახლა;
29. შობადობა და მოკვდაობა;
30. ბუნებრივი მოძრაობა - მარტივი მაგალითების განხილვა აბსოლუტურ რიცხვებში;
31. სქესობრივი სტრუქტურა;
32. ასაკობრივი სტრუქტურა;
33. მიგრაცია და მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები;

**საქართველოს ბუნებრივი რესურსების გეოგრაფია:**
34. ტყის რესურსები;
35. წყლის რესურსები;
36. სასარგებლო წიაღისეული;

37. რესურსების სახეცვლილება მოპოვებიდან მოხმარებამდე;
38. რესურსები და შესაბამისი მეურნეობის დარგები;
39. რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა;
40. მეორადი გადამუშავება;
41. ბუნებაში ომით გამოწვეული ცვლილებები;

**გარემო და ეკონომიკა:**
42. შემგროვებლური მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობამდე, ქვის იარაღებიდან ლითონის იარაღებამდე;
43. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა;
44. ხელოსნობის ტრადიციული დარგები;
45. ფულის მიმოქცევა საქართველოში;
46. ტექნიკური პროგრესი (ცხენი-ბორბალი-ურემი; ცეცხლი-ჭრაქი- ნათურა;
მანუფაქტურული წარმოებიდან კომპიუტერამდე; მედია-საშუალებების ევოლუცია);
47. მეწარმეობა და ქველმოქმედება;

**სახელმწიფო და მმართველობა:**
48. შავი ზღვა : ლეგენდა არგონავტების შესახებ, ძველი ბერძნული ახალშენები, თანამედროვეობა;
49. ფარნავაზ მეფე (ლეგენდა ფარნავაზის შესახებ);
50. წინარექრისტიანული პანთეონი და რწმენა-წარმოდგენები საქართველოში;
51. რომი და საქართველო (ფარსმან ქველის სტუმრობა რომში);
52. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში (ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი, წმინდა ნინო);
53. ვახტანგ გორგასალი (თბილისის დაარსება, ბრძოლები ირანელებთან და ჩრდილოეთ კავკასიელებთან);
54. ბიზანტია-ირანის ომები და ქართული სამეფოები (გუბაზ მეფე, აიეტი და ფარტაძე);
55. არაბობა და საქართველო (მურვან ყრუ და დავით და კონსტანტინე მხეიძეები, აბულ-კასიმი და მიქელ გობრონი);
56. დავით კურაპალატი და თორნიკე ერისთავი;
57. ბაგრატ III (საქართველოს გაერთიანება, ბედიის ტაძარი );
58. დავით აღმაშენებელი (ერწუხის ომი, დიდგორის ომი, დავითის წიგნებით გატაცება, გალობანი სინანულისანი);
59. თამარის ეპოქა (თამარის სახე ქართულ ლიტერატურაში, თამარის გათხოვების საკითხი, შამქორი, ბასიანი, თქმულებები თამარის საფლავის შესახებ);
60. მონღოლები და საქართველო (ცოტნე დადიანი, დემეტრე თავდადებული);
61. გიორგი ბრწყინვალე (თანამედროვეთა ცნობები გიორგი ბრწყინვალის შესახებ, იერუსალიმის სიწმინდეები);
62. ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ეპიზოდები თემურ ლენგის წინააღმდეგ;
63. გიორგი VIII და საქართველოს დაშლა (იოთამ ზედგინიძე);
64. ლუარსაბ I, სიმონ I;
65. ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ეპიზოდები შაჰ-აბასის წინააღმდეგ (ფერეიდნელი ქართველები, ქეთევან წამებული, გიორგი სააკაძე და მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები, ბახტრიონის ბრძოლა);
66. ომში ქცევის წესები და ომის მსხვერპლთა კატეგორიები;
67. სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა ევროპაში;
68. ერეკლე II (ასპინძის ბრძოლა, კრწანისის ბრძოლა);
69. გეორგიევსკის ტრაქტატი და ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება;
70. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში (ქართული მიწების შემოერთება, 1832 წლის შეთქმულება, თერგდალეულები);
71. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წწ (პირველი რესპუბლიკის დროშა, გერბი, ჰიმნი, კონსტიტუცია, კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლები);
72. ქართველი გმირები მეორე მსოფლიო ომში;
73. 9 აპრილის ტრაგედია და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა;
თანამედროვე საქართველო და გარესამყარო;

აღზრდა, განათლება, კულტურა:
74. ქართული ფოლკლორი (მუსიკა, ცეკვა, ხალხური პოეზია);
75. სტუმარმასპინძლობა საქართველოში;
76. ქორწილი/ /გლოვა (ლხინისა და ჭირის აღნიშვნა საქართველოში);
77. ტრადიციული და თანამედროვე ოჯახი;
78. აღზრდის ხალხური წესები, დიდგვაროვანთა აღზრდა შუა საუკუნეებში;
79. სპორტის ტრადიციული სახეობები;
80. განათლების კერები საქართველოში;
81. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან უნივერსიტეტამდე (ილია, იაკობ გოგებაშვილი, ივანე ჯავახიშვილი);
82. ქართული სტამბა;
83. ქართული ხელოვნება;
84. ქართული პრესა;
85. ქართული საგანძურის თავგადასავალი -ექვთიმე თაყაიშვილი;

**ადამიანი და საზოგადოება:**
86. ადამიანების მრავალფეროვნების ნიშნები;
87. ოჯახი და სხვა სოციალური ჯგუფები;
88. ადამიანის ღირსება;
89. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები;
90. ბავშვის უფლებები და თავისუფლებები;
91. ადამიანის უფლებები, მოვალეობები და წესები;
92. ადამიანის ღირსება, პატივისცემა და მშვიდობიანი თანაცხოვრება;
93. წესები და კანონები;
94. თანასწორობა და სამართლიანობა;
95. საზოგადოებრივი ფენები:
ა) ფეოდალური არისტოკრატია - ფეოდალური მამული);
ბ) ქართული მართლმადიდებელი ეკლესია (თეთრი და შავი სამღვდელოება, ასურელი მამები);
გ) საზოგადოების დაბალი ფენა (გლეხობა, მსახურები, ვაჭარ-ხელოსნები);
დ)სოციალური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა ფეოდალურ საქართველოში; ქართული ჯარი;
96. ძველი ქართული სამართალი;

97. პოლიტიკური პარტიები;
98. ადამიანის უფლებები თანამედროვე საქართველოში;
99. ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური მრავალფეროვნება
   ა) ქართველი ხალხი;
   ბ) მრავალეთნიკური საქართველო
   გ) თბილისური სუბკულტურა;
   დ) ქალაქი და სოფელი ძველად და ახლა;
   ე) იძულებით გადაადგილებულები საქართველოში;
   ვ) რას ნიშნავს ცნება - ,,საქართველოს მოქალაქე'';

**დასახლებები**
100. უძველესი დასახლებები/ მათი ფუნქციები/დასახლებების განვითარება საქართველოში (საქართველოს ისტორიული ქალაქები); საფორტიფიკაციო ნაგებობები საქართველოში;
101. თანამედროვე სასოფლო დასახლება;
102. საქალაქო დასახლება;
103. დასახლებების ფუნქციები;

**მოგზაურობები**
104. უცხოელი მოგზაურები საქართველოში, მათი მარშრუტები, მათი მოგზაურობის შედეგები;
105. ქართველი მოგზაურები, მათი მარშრუტები, მათი მოგზაურობის შედეგები;

**ტრანსპორტი და კომუნიკაციები**
106. გზები და მიმოსვლის საშუალებები;
107. სატრანსპორტო გზები, რომლებითაც საქართველო უკავშირდება გარესამყაროს;
108. ტრანსპორტის სახეების ცვლილება დროში;
109. ტრანსპორტი და გარემო;
110. საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება;
111. ქართული ანბანი;

საჭირო თვალსაჩინოებები: თემატური ისტორიული რუკები; საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული რუკა, საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის რუკა, მარტივი დიაგრამები, საქართველოს დასახლებების რუკა, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების რუკა.

# IV. შეფასება საზოგადოებრივ მეცნიერებებში

## შეფასების მიზანი

საზოგადოებრივ მეცნირებებში შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა. ეს გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, მეორე მხრივ, სწავლის ხარისხის შემოწმებას. ხარისხის გაუმჯობესება უკავშირდება სწავლის პროცესს, ხარისხის შემოწმება კი - სწავლის შედეგს.

## შეფასების ორი ტიპი

შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შემოწმება დაუკავშირდეს არამხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საერთო ნორმასთან მიმართებით და იძლევა იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ რამდენად დაეუფლა იგი საგნობრივი პროგრამებით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, იგი განსაზღვრავს თითოეული მოსწავლის ცოდნის დონეს.

განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა, სწავლების პროცესში თითოეული მოსწავლის განვითარების მაქსიმალურად ხელშეწყობა. ეს ზოგადი განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა, როგორც ამას ხაზგასმით აღნიშნავს დიმიტრი უზნაძე: "სწავლაში ძირითადია ... იმ ძალების განვითარება, რომელნიც სწავლის პროცესში მონაწილეობენ"; (დიმიტრი უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბილისი, 2003, გვ. 445).

განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეთა საქმიანობას ამოწმებს არა მათი მიღწევის დონის განსასჯელად და ნიშნების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად. იგი აკვირდება თითოეულ მოსწავლეს სწავლის პროცესში, შეისწავლის მათ საჭიროებებს, რათა ამ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით დაგეგმოს საგაკვეთილო პროცესი და თითოეულ მათგანს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი წინსვლაში. მასწავლებელი ქმნის თანამშრომლობით და კონსტრუქციულ სასწავლო გარემოს, სადაც მოსწავლეებს არ აფერხებთ არც მარცხის და არც წარუმატებლობის შიში. მათ ნებისმიერ შემთხვევაში მასწავლებლის რჩევისა და მხარდაჭერის იმედი აქვთ. ასეთ გარემოში თითოეული მოსწავლე, ცოდნის დონის მიუხედავად, ახალი ცოდნის შეძენით, გამოცდილების გამდიდრებითა თუ უნარების გაუმჯობესებითაა დაკავებული.

განმავითარებელი შეფასების პროცესში მასწავლებელთან ერთად ჩართულები არიან მოსწავლეებიც. ისინიც ცდილობენ, მასწავლებლის დახმარებით, დაადგინონ საკუთარი მოთხოვნილებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, შემაფერხებელი ფაქტორები. ამ პროცესებში ჩართვა აყალიბებს მათში თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარ-ჩვევებს, ზრდის მათ ქმედუნარიანობასაც და პასუხისმგებლობასაც.

ქვემოთ შემოთავაზებულია თვითშეფასების კონკრეტული ინსტრუმენტის ნიმუში, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს პროექტის განხორციელებისას. მოსწავლეს შეუძლია იმდენჯერ შეავსოს ასეთი ტიპის ბარათი, რამდენი აქტივობაც ექნება მას შესასრულებელი პროექტის მსვლელობისას. ამ ბარათების ნაკრები წარმოადგენს ე.წ. "პროექტის დღიურს".

**სასწავლო წელი ----------**

თვითშეფასების ბარათი №

მოსწავლის სახელი: ---------------- კლასი: ---------------

პროექტის დასახელება :-------------------------------------

დავალების/აქტივობის ხელმძღვანელი/ები: ---

**დავალება შევასრულე**:

- ინდივიდუალურად
- ჯგუფთან ერთად
- ჯგუფის წევრები: -----------------------------------------------------------

აღვწერ აქტივობას და მივუთითებ, რა მიზნისათვის უნდა მიმეღწია:

აქტივობა/დავალება: -------------------------------------

მიზანი: ----------------------------------------

ჩემი აზრით, მიზანს:

- მივაღწიე
- ნაწილობრივ მივაღწიე
- ვერ მივაღწიე

- თავისუფლად, დაბრკოლებების გარეშე შევასრულე ეს აქტივობა
- წავაწყდი სიძნელეებს: -------------------------------------------------------------------

- სიძნელეები ვერ გადავლახე.
- გადავლახე შემდეგნაირად: --------------------------------------------------------------

  ---------------------------------------------------------------------------------------------

  ---------------------------------------------------------------------------------------------

განმავითარებელი შეფასებისას უპირატესად გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცლები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემები, ცოდნის ათვისების, ან უნარის განვითარების ეტაპების გამომხატველი დონეები. სასურველია, სამი ან ოთხი (მაგალითად, 3 დონე - ათვისებულია, ათვისებულია ნაწილობრივ, აუთვისებელია; 4 დონე - ფლობს სრულყოფილად, ფლობს უმეტესწილად, ფლობს ნაწილობრივ, ვერ ფლობს); ათვისების თუ ფლობის დონეებით შედგენილი შეფასების ან თვითშეფასების სქემები მასწავლებელსაც და მოსწავლესაც საშუალებას აძლევს, დინამიკაში დაინახოს კონკრეტული ცოდნის თუ უნარის ათვისების პროცესი.

| | განმავითარებელი | განმსაზღვრელი |
|---|---|---|
| რა მიზანს ემსახურება? | • სწავლის ხარისხის გაუმჯობესება<br>• მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა | • სწავლის ხარისხის გაკონტროლება<br>• მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით |
| რა ფასდება? | • სწავლის პროცესი | • სწავლის შედეგი |
| შეფასების შედეგად რა ტიპის გადაწყვეტილებას ვიღებთ? | • წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ. | • აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა<br>• მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება |
| როგორ განისაზღვრება წარმატების კრიტერიუმი? | • კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს) | • იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებით) |
| შეფასების როგორი საშუალებები გამოიყენება? | • თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა<br>• კითხვარი<br>• სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი<br>• უნარის განვითარების ეტაპების გამომხატველი დონეები | • ნიშანი |

## მოსწავლეთა შეფასების (ნიშნების წერის) სისტემა

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეფასების სისტემა არის ოთხდონიანი და ათქულიანი. 10 საუკეთესო ნიშანია, 1 კი — ყველაზე დაბალი. ათქულიანი სისტემა, ერთი მხრივ, უფრო ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა, მეორე მხრივ, მეტ საშუალებას აძლევს მასწავლებელს, აჩვენოს მოსწავლეს საკუთარი პროგრესი თუ რეგრესი.

I-IV კლასებში მოსწავლეთა წლიური შეფასება ნიშნებით არ ხდება. ამ კლასებში სემესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს კლასის დამრიგებელმა საკუთარი და სხვა მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა დაწეროს მოკლე შემაჯამებელი წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება გავარჯიშება მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.

V-XII კლასებში ნიშნები იწერება 10 ქულიანი სისტემით.

V-XII კლასებში საგანში "სპორტი" მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

| ქულები | მიღწევის დონე |
|---|---|
| 10 | მაღალი |
| 9 | |
| 8 | |
| 7 | საშუალო |
| 6 | |
| 5 | საშუალოზე დაბალი |
| 4 | |
| 3 | სუსტი |
| 2 | |
| 1 | |

## ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები

ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

- **საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ნიშნები** – საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ნიშნები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- **საგნის სემესტრული ნიშანი** – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გამოითვლება მისი გათვალისწინებით; გამოთვლის წესი იხ.ქვემოთ) ;
- **საგნის წლიური ნიშანი** – სემესტრული ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიურ ნიშანში შეიძლება წლიური გამოცდის ნიშანიც აისახოს, თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ნიშანზე (იხ. ქვემოთ, გამოცდის ტიპები);
- **საერთო წლიური ნიშანი** – საგნების წლიური ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება;
- **საფეხურის საერთო ნიშანი** – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

## სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები

საზოგადოებრივ მეცნიერებებში თითოეული სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:




1. საშინაო დავალება
2. საკლასო დავალება
3. შემაჯამებელი დავალება

სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

საკლასო და საშინაო დავალებების კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება.

განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ნიშანი.

განმავითარებელი შეფასებისას უპირატესად გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცლები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემები, ცოდნის ათვისების, ან უნარის განვითარების ეტაპების გამომხატველი დონეები. სასურველია, სამი ან ოთხი (მაგალითად, 3 დონე - ათვისებულია, ათვისებულია ნაწილობრივ, აუთვისებელია; 4 დონე - ფლობს სრულყოფილად, ფლობს უმეტესწილად, ფლობს ნაწილობრივ, ვერ ფლობს); ათვისების თუ ფლობის დონეებით შედგენილი შეფასების ან თვითშეფასების სქემები მასწავლებელსაც და მოსწავლესაც საშუალებას აძლევს, დინამიკაში დაინახოს კონკრეტული ცოდნის თუ უნარის ათვისების პროცესი.

## შეფასების კომპონენტები საზოგადოებრივ მეცნიერებებში:

1. საკლასო სამუშაო
2. საშინაო დავალება
3. შემაჯამებელი დავალება

**რას ითვალისწინებს თითოეული კომპონენტის შეფასება?**

**1. საკლასო სამუშაო**
**ფასდება შემდეგი ცოდნა და უნარები:**

- პრობლემის გააზრება
- კომუნიკაცია
- სწავლა
- თანამშრომლობა
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა
- შემოქმედებითობა
- ისტორიული დროის გაგება
- გარემოზე პასუხისმგებლობისა და ზრუნვა
- ისტორიული კვლევა
- გეოგრაფიული კვლევა
- სივრცეში ორიენტაცია
- ისტორიული ეპოქის განცდა
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა

**უნარები ფასდება შემდეგი აქტივობებით:**

- თემასთან დაკავშირებით დასმული კითხვებით
- დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხით
- განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობითა და ანალიზით

• განხილული მოვლენებისა და პროცესებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვით
• დასმული პრობლემის გადაჭრის გზის შეთავაზებით
• ჯგუფურ მუშაობაში შეტანილი წვლილით
• დისკუსიაში მონაწილეობის სიხშირით
• ახსნილი ცნებებისა და ტერმინების განმარტებებითა თუ გამოყენებით
• მოვლენებისა და პროცესების განხილვისას საკუთარი მოსაზრების დასაბუთებით
• თვალსაჩინოებების გამოყენებითა და შექმნით
• პრეზენტაციით
• დროის ლიმიტის დაცვით
• დისკუსიაში გამოთქმული მოსაზრებებითა და არგუმენტებით

**2. საშინაო დავალება**
**ფასდება შემდეგი ცოდნა და უნარები:**
• პრობლემის გააზრება
• ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება
• კავშირებისა და მიმართებების დადგენა
• კომუნიკაცია
• სწავლა
• თანამშრომლობია
• პრობლემის გადაჭრა
• შემოქმედებითობა
• ისტორიული დროის გაგება
• გარემოზე პასუხისმგებლობისა და ზრუნვა
• ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა
• სივრცეში ორიენტაცია
• ისტორიული ეპოქის განცდა
• თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა
• კრიტიკული აზროვნება

**უნარები ფასდება შემდეგი აქტივობებით:**
• ცნებებისა და ტერმინების განმარტებებითა თუ გამოყენებით
• მოვლენებისა და პროცესების განხილვისას მოსაზრებების არგუმენტირებით
• დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხით
• განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობითა და ანალიზით
• დასმული პრობლემის გადაჭრის გზის ჩამოყალიბებით
• თვალსაჩინოებების გამოყენებითა და შექმნით
• პრეზენტაციით
• დისკუსიაში გამოთქმული მოსაზრებებითა და არგუმენტებით
• წერითი ნამუშევრის შექმნა

**3. შემაჯამებელი შეფასება**
**ფასდება შემდეგი უნარები:**
• კრიტიკულ პირობებში (ტესტი, საკონტროლო და სხვა) ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომჟღავნება
• პრობლემის გააზრება
• ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება
• კავშირებისა და მიმართებების დადგენა
• კომუნიკაცია
• ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა
• პრობლემის გადაჭრა
• შემოქმედებითობა
• სივრცეში ორიენტაცია
• ისტორიული ეპოქის განცდა და ინტერპრეტაცა
• თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა
• გარემოზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა
• კრიტიკული აზროვნება

**შემაჯამებელი დავალებების ტიპები:**
• საკონტროლო წერა
• ტესტირება
• კითხვა-პასუხი
• თემა/ესე
• პრეზენტაცია
• პროექტი
• რეფერატი
• კვლევა
• დისკუსია/დებატები
• კონფერენცია

**მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები**
• დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
• ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
• 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
• მითითებული უნდა იყოს საგნობრივი სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შეფასებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

## შემაჯამებელი დავალების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა. შესაბამისად, შემაჯამებელი დავალებები უნდა აფასებდეს შესაბამისი საგნის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. მაგალითად, უცხოური ენების სტანდარტის შედეგები კომუნიკაციის უნარს გულისხმობს (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერითი მეტყველება), ამდენად, შემაჯამებელ დავალებებში აუცილებელია კომუნიკაციური უნარიც მოწმდებოდეს და არა, ვთქვათ, მხოლოდ რაიმე კონკრეტული გრამატიკული წესის ცოდნა.

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ტესტი დახურული და ღია კითხვებით, თხზულება, პროექტის პრეზენტაცია, მოხსენება-რეფერატი, სახვითი ნამუშევარი (მაგ. ნახატი,

კოლაჟი, ნაძერწი და სხვ.), საველე-გასვლითი სამუშაოს ანგარიში, კონცერტი, წარმოდგენა და სხვ. დავალების ფორმის შერჩევისას გასათვალისწინებელია საგნის სპეციფიკა.

სემესტრის მსვლელობისას ჩატარებული შემაჯამებელი შეფასებების შემდეგ რეკომენდებულია კომენტარების დაწერა იმათთვის, რომლებმაც აუცილებლად უნდა გამოასწორონ საკუთარი შედეგები, რათა სემესტრული შეფასება ჰქონდეთ დადებითი. ასევე, შეიძლება დაიწეროს კომენტარი, თუ მოსწავლემ წინა შეფასებასთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი მოსწრება. ამის აღნიშვნა მნიშვნელოვან სტიმულს მისცემს მოსწავლეს იმისთვის, რომ სწავლის ხარისხი სემესტრის ბოლომდე შეინარჩუნოს.

## შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა

ეროვნული სასწავლო გეგმა თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელ შემაჯამებელ დავალებათა სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას. ეს რაოდენობა მითითებულია კლასების მიხედვით მოცემულ საათობრივ ბადეში.

სკოლას შეუძლია, შეხედულებისამებრ, განსაზღვრულ მინიმუმზე მეტი რაოდენობის შემაჯამებელი დავალება ჩაატაროს, რაც განსაზღვრული უნდა იყოს სასკოლო სასწავლო გეგმით.

თითოეული შემაჯამებელი დავალება ფასდება კონკრეტული ნიშნით. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (მაგალითად, თუ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია რომელიმე საგანში, მე-8 კლასში, პირველ სემესტრში 4 შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარება, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით უნდა ჩატარდეს 5, ეს ნიშნავს, რომ ამ სკოლის ყველა მერვეკლასელი ვალდებულია I სემესტრში შეასრულოს 5 შემაჯამებელი დავალება ამ კონკრეტულ საგანში). თუ მოსწავლე არ შეასრულებს შემაჯამებულ სამუშაოს გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელ დავალებათა აღდგენის წესი განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით. აღდგენითი სამუშაო უნდა დაინიშნოს სემესტრის მსვლელობისას. აღდგენითი შემაჯამებელი სამუშაო შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით.

## გამოცდის ტიპები

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:
- სემესტრული გამოცდა;
- წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა;
- საშემოდგომო გამოცდა;
- ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა.

**სემესტრული გამოცდა**

სემესტრული გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს ნიშნის გაუმჯობესება სურს. განიხილება ორი შემთხვევა: 1) როდესაც მოსწავლეს, რომელსაც სემესტრის განმავლობაში საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 1/4 და მეტის გაცდენის გამო დააკლდა სემესტრული ნიშნის 20% და ამ ნიშნის გამოსწორება სურს და 2) როდესაც მოსწავლე თვლის, რომ უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. (იხ. საგნის სემესტრული ნიშნის გამოანგარიშების წესი).

**პირველ შემთხვევა:**
იმისათვის, რომ მოსწავლემ შეინარჩუნოს სემესტრული ნიშანი, რომელიც მას ქონდა ნიშნის 20%-ით დაკლებამდე, მან გამოცდაზე უნდა მიიღოს იგივე ან უფრო მაღალი ნიშანი (მაგალითად: თუ მოსწავლის სემესტრული ნიშანია 8, ხოლო 1/4 და მეტი საათის გაცდენის გამო მას დააკლდა 20% და შედეგად მისი სემესტრული ნიშანი გახდა 6,4 (დამრგვალებული =6), ამასთანავე ამ მოსწავლემ გამოცდაზე მიიღო ნიშნები: 8, 9 ან 10, მაშინ მისი თავდაპირველი სემესტრული ნიშანი შენარჩუნდება და იქნება 8)

თუ მოსწავლე გამოცდაზე მიიღებს უფრო დაბალ ნიშანს, ვიდრე იყო მისი სემესტრული ნიშანი 20%-ის დაკლებამდე, მისი საგნის სემესტრული ნიშანი იანგარიშება შემდეგნაირად: 20%-ით დაკლებულ სემესტრულ ნიშანს ემატება გამოცდის ნიშანი და ჯამი იყოფა ორზე. (მაგალითად: თუ მოსწავლის სემესტრული ნიშანია 8, ხოლო 1/4 და მეტი საათის გაცდენის გამო მას დააკლდა 20% და შედეგად მისი სემესტრული ნიშანი გახდა 6,4 (დამრგვალებული =6), ამასთანავე ამ მოსწავლემ გამოცდაზე მიიღო 7, მაშინ მისი სემესტრული ნიშანი იქნება 6+7=13 : 2=6,5; დამრგვალებული =7)

**მეორე შემთხვევა:**
მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექციას. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. ასეთი მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ნიშანი ემატება სემესტრულ ნიშანს და ჯამი იყოფა ორზე.

სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

**სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდა**
სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდის დანიშვნაარდანიშვნის საკითხი წყდება სასკოლო სასწავლო გეგ-

მით. თუ სკოლას სურს წლიური გამოცდის დანიშვნა, მან სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა განსაზღვროს, რომელ კლასში/კლასებში და რომელ საგანში/საგნებში ჩაატარებს ამ გამოცდას და ექნება თუ არა ამ გამოცდის ნიშანს გავლენა საგნის წლიურ ნიშანზე. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, წლიური ნიშნის გამოთვლისას წლიური გამოცდის ნიშანი ემატება სემესტრულ ნიშნებს და ჯამი იყოფა სამზე.

**საშემოდგომო გამოცდა**
თუ მოსწავლემ ვერ გადალახა კონკრეტულ საგანში/საგნებში სკოლის მიერ განსაზღვრული ბარიერი, სკოლა ვალდებულია მოსწავლეს დაუნიშნოს

საშემოდგომო გამოცდა შესაბამის საგანში/საგნებში. საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა ვალდებულია, გაუწიოს კონსულტაციები მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ ვერ გადალახეს დადგენილი ბარიერი.

საშემოდგომო გამოცდის ჩატარების პროცედურა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე.

მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (ანუ საშემოდგომო გამოცდის ნიშანი ხდება საგნის წლიური ნიშანი).

**ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა**
ამ გამოცდას აბარებენ ის მოსწავლეები, რომლებიც განსაზღვრულია „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 5 მარტის 15/ნ ბრძანებით, ასევე, ის მოსწავლეები რომელთაც საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 1/2-ზე მეტი აქვთ გაცდენილი.

## ნიშნების გამოანგარიშების წესი

**საგნის სემესტრული ნიშნის გამოანგარიშების წესი:**
მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში მიღებული **ნიშნების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ნიშნების რაოდენობაზე**.

მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით. (მაგალითად, 6.15 მრგვალდება 6-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე).

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ნიშნის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ნიშნების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ნიშნების და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

**მაგალითი:**

1. კლასში სემესტრის განმავლობაში ჩატარდა **4 შემაჯამებელი დავალება;**
2. ერთ-ერთმა მოსწავლემ, მხოლოდ **2 შემაჯამებელი დავალება შეასრულა;**
3. მოსწავლემ სემესტრის განმავლობაში მიიღო 7 ნიშანი (8, 10, 8, 9, 8 10, 7 ). აქედან ორი შემაჯამებელ, დანარჩენი კი - საშინაო და საკლასო დავალებებში;
4. რამდენადაც მოსწავლემ არ შეასრულა 2 შემაჯამებელი დავალება, მისი ნიშნების ჯამი უნდა გაიყოს არა 7-ზე (ანუ, არა მის მიერ მიღებული ნიშნების რაოდენობაზე), არამედ 9-ზე, (ანუ მიღებული ნიშნების რაოდენობას დამატებული შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა);
5. მოსწავლის სემესტრული ნიშანი იქნება: 8+10+8+9+8+10+7 = 60 : 9 = 6,7=7

| | **კომპონენტები** | **მიღებული ნიშნები** | **ნიშნების რაოდენობა** |
|---|---|---|---|
| **სემესტრული ნიშანი** | **საშინაო** | 8, 10 | **2** |
| | **საკლასო** | 8, 9, 8 | **3** |
| | **4 შემაჯამაბელი შემაჯამებელი** | 10 | **2** შესრულებული + **2** შეუსრულებელი შემაჯამებელი; სულ **4** |
| | | ---- | |
| | | ----- | |
| | | 7 | |
| | **ჯამი** | 60 ქულა | **9** ნიშანი |
| | **სემესტრული ნიშნის გამოთვლა** | *60 : 9 = 6,7=7* | |

**საგნის წლიური ნიშანი**
მოსწავლე თითოეული სემესტრის ბოლოს იღებს საგნის სემესტრულ შეფასებას. წლის ბოლოს მასწავლებელი ამ ორი სემესტრული შეფასების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით საგანში საბოლოო ნიშანს წერს. საგნის წლიური ნიშანი მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგალითად, 7.25 მრგვალდება 7-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე).

თუ სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს წლიური გამოცდის ჩატარებას და განსაზღვრულია, რომ ამ გამოცდის ნიშანიც აისახება წლიურ ნიშანზე (იხ. ზემოთ, გამოცდის ტიპები, წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა), მაშინ საგნის წლიური ნიშანი სამი შეფასების საშუალო არითმეტიკულია (დამრგვალებული მთელის სიზუსტით).

**საერთო წლიური ნიშანი**
საერთო წლიური ნიშანი გამოითვლება საფეხურის ფარგლებში მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანის მიზნებისთვის.

საერთო წლიური ნიშანი ერთი ნიშნით უნდა გამოიხატებოდეს. ამ ნიშნის გამოთვლა ხდება შემდეგი ფორმულით: ვკრებთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგნის (მე-11 და მე-12 კლასების შემთხვევაში, აგრეთვე, სავალდებულო არჩევითი საგნის/საგნების/პროგრამის) წლიურ ნიშანს და ჯამს ვყოფთ ნიშნების საერთო რაოდენობაზე. საერთო წლიური ნიშანი მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგალითად, 7.14 მრგვალდება 7.1-მდე, 8.15 მრგვალდება 8.2-მდე, ხოლო 9.27 მრგვალდება 9.3-მდე). აღნიშნულიდან გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ნიშანი, რომელიც მეტია 5.0-ზე და ნაკლებია 5.1-ზე მრგვალდება 5.1-მდე.

**საფეხურის საერთო ნიშანი**
საფეხურის საერთო ნიშანი გამოითვლება იმავე პრინციპით, რომლითაც ითვლება საერთო წლიური ნიშანი, ანუ ვაჯამებთ საფეხურის მანძილზე ნასწავლი საგნების ყველა წლიურ ნიშანს (მაგ. მათემატიკა მე-10 კლასი, ქართული მე-10 კლასი, მათემატიკა მე-11 კლასი, ქართული მე-11 კლასი, მათემატიკა მე-12 კლასი, ქართული მე-12 კლასი და ა.შ.) და ვყოფთ ნიშნების საერთო რაოდენობაზე. საფეხურის საერთო ნიშანი მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგალითად, 6.55 მრგვალდება 6.6-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე, ხოლო 9.43 მრგვალდება 9.4-მდე). აღნიშნულიდან გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ნიშანი, რომელიც მეტია 5.0-ზე და ნაკლებია 5.1-ზე მრგვალდება 5.1-მდე.

საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული იმ მოსწავლეებისათვის, რომლებისთვისაც ვერ ხერხდება ზოგადი განათლების საფეხურებში შემავალი საგნების წლიური ნიშნების ამსახველი დოკუმენტაციის მოძიება, ზოგადი განათლების საფეხურის საერთო ნიშანი გამოითვლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ამ მოსწავლეთა მიერ გავლილი საგნების წლიური ნიშნების ამსახველი დოკუმენტაციის საფუძველზე.

## საფეხურის დაძლევა

**დაწყებითი საფეხური დაძლეულად** ჩაითვლება, თუ მოსწავლის საერთო საფეხურის ნიშანი (დამრგვალების შემდეგ) იქნება არანაკლებ 5.1-ისა, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
**საბაზო საფეხური დაძლეულად** ჩაითვლება, თუ მოსწავლის საერთო საფეხურის ნიშანი (დამრგვალების შემდეგ) იქნება არანაკლებ 5.1-ისა, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას.
**საშუალო საფეხური დაძლეულად** ჩაითვლება, თუ მოსწავლის საერთო საფეხურის ნიშანი (დამრგვალების შემდეგ) იქნება არანაკლებ 5.1-ისა, რაც აძლევს მას საატესტატო გამოცდაზე გასვლის უფლებას.

## მოსწავლეების აკადემიური მიღწევების აღიარება

საერთო წლიური ან საერთო საფეხურის ნიშანი 8, 9 და 10 გულისხმობს წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას. ყოველი წლის ბოლოს თითოეული საფეხურისათვის უნდა მოეწყოს საერთო შეკრება, რომელზეც წარჩინებულ მოსწავლეებს წარადგენენ წარჩინების ხარისხის მიხედვით. შესაძლებლობების მიხედვით, სკოლას შეუძლია ასეთი მოსწავლეების დაჯილდოვებაც. ასეთი ღონისძიებები მნიშვნელოვნად ზრდის აკადემიური მოსწრებისადმი ინტერესს მოსწავლეებში.

სკოლამ წლის ბოლოს საჯაროდ უნდა გამოაცხადოს მხოლოდ წარჩინებულების ვინაობა. დაუშვებელია ყველა მოსწავლის ქულების საჯაროდ გამოცხადება. ნაკლებად წარმატებულთა ვინაობის სკოლის მასშტაბით გამოცხადებამ შეიძლება მნიშვნელოვნად დათრგუნოს ასეთი მოსწავლეები და უარყოფითად იმოქმედოს მათ მომავალ წარმატებებზე. პირი, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ნიშანია 10 დამრგვალების გარეშე, იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს. პირი, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ნიშანი მეათედებამდე დამრგვალების შედეგად არის 9.8 და 9.9, იღებს სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს.

პირზე, რომელმაც წინამდებარე სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საშუალო საფეხურის საგანი/საგნები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის ფორმით, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნის ატესტატი არ გაიცემა.

საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებულ მოსწავლეზე სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატი გაიცემა, თუ ამ მოსწავლის ნიშნების ამსახველი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე, მისი საშუ-

ალო საფეხურის საერთო ნიშანია 10 დამრგვალების გარეშე, ხოლო თუ მოსწავლის საშუალო საფეხურის საერთო ნიშანი მეათედებამდე დამრგვალების შედეგად არის 9.8 და 9.9, მოსწავლეზე გაიცემა სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატი.

### სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასება

თუ სკოლას ყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (შემდგომში - სსსმ მოსწავლე), სკოლამ უნდა შეიმუშაოს მისი სასწავლო მიზნები, რაც გულისხმობს, რომ უნდა განისაზღვროს მოსწავლის მოსალოდნელი აკადემიური წინსვლა და სწავლისათვის შესაბამისი და აუცილებელი პირობები, გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის (გაუარესების) გავლენა აკადემიურ მოსწრებაზე.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასება ხდება იმავე პრინციპით, რომლითაც ხდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით, ფასდება მოსწავლის მიერ მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. მოსწავლე, რომელიც წარმატებით სძლევს მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.

### სკოლის მიერ მისაღები გადაწყვეტილებები შეფასებასთან დაკავშირებით

სკოლამ სასწავლო წლის დასაწყისში, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად, უნდა დააზუსტოს მოსწავლეების შეფასების ის სისტემა, რომლითაც იხელმძღვანელებს მისი ყველა მასწავლებელი. სკოლამ უნდა დაადგინოს:

ა) რა არის ის მინიმალური ბარიერი, რომელიც მოეთხოვება მოსწავლეს იმისათვის, რომ კლასიდან კლასში გადავიდეს;
ბ) რა არის ის მინიმალური ბარიერი, რომლის გადალახვაც მოეთხოვება მოსწავლეს იმისათვის, რომ საგანი დაძლეულად ჩაეთვალოს. მინიმალური ბარიერის დადგენისას, სკოლამ უნდა გაითვალისწინოს, რომ საფეხურის წარმატებით დამთავრებისთვის, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საერთო საფეხურის ქულა, არანაკლებ 5.1-ისა (დამრგვალების შემდეგ), გარდა ამ გეგმით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მისი ქულები კლასების მიხედვითაც საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ამ შედეგს მიაღწიოს;
გ) როგორ უნდა აღიდგინოს მოსწავლემ გაცდენილი მასალა, დასჭირდება თუ არა მას დამატებითი გაკვეთილები და სხვ.;
დ) ინიშნება თუ არა გამოცდა/გამოცდები? თუ სკოლა ნიშნავს ასეთ (წლიურ) გამოცდას, უნდა განისაზღვროს რომელ საფეხურზე და რომელ საგნებში? ექნება თუ არა ამ გამოცდაზე მიღებულ ქულას ზეგავლენა წლიურ ნიშანზე;
ე) სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგნის/ საგნების შეფასების პრინციპები.

## V. შეფასების რუბრიკის ნიმუშები:

### პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

ამ შემთხვევაში მოსწავლეებს თითოეულ კრიტერიუმში ენიჭება ნული ან ერთი ქულა და საბოლოო ქულის გამოსაყვანად ითვლება მათი ჯამი. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა.

| | მოსწავლის სახელი, გვარი | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | |
| საინტერესო შესავალი (პრობლემის იდენტიფიცირება) | 1 | | | | | | | | | |
| კვლევების/ნაშრომის წარმოჩენის უნარი | 1 | | | | | | | | | |
| შემოქმედებითი უნარი | 1 | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება | 0 | | | | | | | | | |
| თემის გასაგებად წარმოდგენა (ლოგიკური ჯაჭვი) | 0 | | | | | | | | | |
| საუბარი (გამართულობა, ტემბრი) | 1 | | | | | | | | | |
| თვალსაჩინოებების გამოყენება | 0 | | | | | | | | | |
| აუდიტორიასთან კონტაქტი | 1 | | | | | | | | | |
| ინფორმაციის ფლობის უნარი (ადეკვატური კითხვა-პასუხი) | 1 | | | | | | | | | |
| დროის ლიმიტის დაცვა | 0 | | | | | | | | | |
| ჯამი | 6 | | | | | | | | | |

## პროექტის შეფასების განზოგადებული რუბრიკა

მაქსიმალური ჯამური ქულის გაყოფით სამზე მოხდება მოგროვილი ქულების ათქულიან შეფასებაზე გადაყვანა

| | **ელემენტარული**<br>**1 ქულა** | **მისაღები**<br>**2 ქულა** | **ოსტატური**<br>**3 ქულა** |
|---|---|---|---|
| **1.მიზანი** | არ არის კარგად გამოკვეთილი, ბუნდოვანია | ხდება ერთ მიზანზე ფოკუსირება | კარგად გამოკვეთილი მიზნები, მარტივად აღსაქმელი |
| **2.ორგანიზება** | სუსტად ორგანიზებული, არ არის იდეებს შორის ლოგიკური ჯაჭვი, რაც აბნევს მკითხველს/ მსმენელს | გააზრებულია თანმიმდევრულობა, ორგანიზების ნიშნებით, ზოგი გადასვლა იდეებს შორის არის მარტივი, ზოგი გაუგებარი | კარგად ორგანიზებული ფორმატი, ლოგიკური გადასვლა ერთი იდეიდან მეორეზე, ორგანიზება ზრდის პროექტის ეფექტურობას |
| **3.შინაარსის კორექტულობა** | გვხვდება ხშირი შეუსაბამო, მცდარი ინფორმაცია, შეყავს შეცდომაში მკითხველი/ მსმენელი | ძირითადად კორექტულია, ზოგიერთი შეუსაბამო ან მცდარი ინფორმაციით | მთლიანად კორექტული, ფაქტები ზუსტი და მკაფიო |
| **4.ენობრივი გამართულობა** | ენობრივად გაუმართავი, ხშირი შეცდომებით | ენობრივად გამართული, მცირე შეცდომებით | ენობრივად გამართულია, დაცულია პუნქტუაციის ნიშნები |
| **5.კვლევა** | კვლევა არაეფექტურადაა დაგეგმილი, გამოყენებული წყარო არ არის სანდო, ანალიზი ზედაპირულია | კვლევა დაგეგმილია, მაგრამ ჯგუფის პოტენციალი მთლიანად არ არის გამოყენებული, შეზღუდული რაოდენობის წყაროებია გამოყენებული, ანალიზი მისაღებია | კვლევა სწორად არის დაგეგმილი, გამოყენებულია არაერთი წყარო (ავტორიტეტული კვლევები და მოპოვებული მასალები საველე კვლევიდან) და ანალიზი სიღრმისეულია |
| **6.თვალსაჩინოებები** | თვალსაჩინოებები ხშირად შინაარსთან შეუსაბამოა, ან არ არის ჯგუფის მიერ შექმნილი | თვალსაჩინოებების კავშირი შინაარსთან არის, მაგრამ ერთფეროვანია, გამოიყენება მოძიებული და ჯგუფის მიერ შექმნილი | მრავალფეროვანი, შინაარსის შესატყვისი, აკურატულად შესრულებული |
| **7.შემოქმედებითობა** | მცირე შემოქმედებითი ენერგიის დანახარჯი ჯგუფის მხრიდან | ზოგჯერ ჩანს ჯგუფის ორიგინალური აზრები და ეხმარება პროექტის უკეთ წარმოჩენაში | ჩანს ჯგუფის ორიგინალობა, სიახლე და თავისებური ხედვა, რაც პროექტს საინტერესოს ხდის |

| | | | |
|---|---|---|---|
| **8.კავშირები საგნებთან** | არ ჩანს ჯგუფის კომპეტენცია საგნებში, გვხვდება ფაქტების უზუსტო ინტერპრეტირება | არის მოსაზრებების კავშირი ერთ ან ორ საგნიდან მიღებულ ცოდნასთან | ხდება მთავარი მოსაზრებების დაკავშირება სხვადასხვა საგნებიდან მიღებულ ცოდნასთან, რაც მიუთითებს მრავალი მიმართულებით ჯგუფის კომპეტენტურობაზე |
| **9.დასკვნები** | არ არის ჩამოყალიბებული დასკვნები | დასკვნები ჩამოყალიბებულია კვლევის ადეკვატურად, მაგრამ არ არის მკაფიო | დასკვნებში არის სიახლე (ორიგინალობა), ლოგიკური კავშირი კვლევასთან და ჩამოყალიბებული მკაფიოდ |
| **10.პრეზენტაცია** | ეფექტურად არ არის წარმოჩენილი პროექტის არსი, უჭირს აზრის ჩამოყალიბება და პასუხების გაცემა, არ არის მიზნობრივად გამოყენებული თვალსაჩინოებები | ბუნდოვნად ჩამოყალიბებული პროექტის არსს, იყენებს თვალსაჩინოებებს, პასუხობს შეკითხვების უმეტესობას | ნათლად ჩამოყალიბებული პროექტის არსი, მკაფიო მეტყველება, აუდიტორიაზე გათვლილი, ძირითადი იდეებია გაშლილი, იყენებს თვალსაჩინოებებს და პასუხობს ყველა კითხვას |

## რეფერატის შეფასების რუბრიკა

ამ შემთხვევაში მე-3 და მე-5 კრიტერიუმები ფასდება 0-2 ქულით, ხოლო ყველა დანარჩენი 0 ან 1 ქულით. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა.

| | **მოსწავლის სახელი, გვარი** | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1. | | | | |
| 1.მიზანი/თეზისი – კვლევის შედეგად გამოთქმული ძირითადი იდეა | 1 | | | | |
| 2.რეფერატის ორგანიზება | 1 | | | | |
| 3.შინაარსის კორექტულობა, ფაქტობრივი საიმედოობა | 2 | | | | |
| 4.ენობრივი გამართულობა | 0 | | | | |
| 5.კვლევა | 2 | | | | |
| 6.ილუსტრაციები/ თვალსაჩინოებები[1] | 1 | | | | |
| 7.შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებითა და მაგალითებით გამყარება | 1 | | | | |
| 8.დასკვნები | 1 | | | | |
| ჯამი | 9 | | | | |

## დისკუსიის შეფასების რუბრიკა

კონკრეტულ მოსწავლეს თითოეული კრიტერიუმის გასწვრივ ენიჭება შესაბამისი ქულა, ჯამდება ყველა კრიტერიუმში მიღებული ქულები და იყოფა ექვსზე (გამოითვლება მათი საშუალო არითმეტიკული)

| | **III დონე (8-10 ქულა)** | **II დონე (5-7 ქულა)** | **I დონე (1-4 ქულა)** |
|---|---|---|---|
| **მოსმენა** | ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს | ხშირად უსმენს და უყურებს ორატორს | იშვიათად უსმენს და უყურებს ორატორს |
| **საუბარი** | მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელებს | ძირითადად მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელებს | მეტყველება არამკაფიოა, მსმენელებს უჭირთ გაგება |

| | | | |
|---|---|---|---|
| **არავერბალური კომუნიკაცია** | შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალით, ჟესტებით, გამომეტყველებით, ხმით) | ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კონტაქტი | იშვიათად იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს |
| **მონაწილეობა** | უჩვენებს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებითა და აზრების გამოთქმით | ძირითადად გამოხატავს ინტერესს. კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის გარშემო | მცირე ინტერესი აქვს. არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას |
| **კოოპერაცია** | თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს | ძირითადად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს | იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს. |
| **მოსაზრების არგუმენტირება** | მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან | მოსაზრების გასამყარებლად გამოყენებულია სადავო ფაქტები და ცნებები | მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით |

## შემაჯამებელი დავალების კონკრეტული მაგალითი ისტორიაში:

**დაწერეთ თემა : „პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა‘‘.**

ა) ჩამოაყალიბეთ კვლევის ძირითადი იდეა, თეზისი

ბ) დაიცავით რეფერატის სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა) და თემას დაურთეთ ბიბლიოგრაფია, რომელშიც მიუთითებთ გამოყენებულ ლიტერატურას.

გ) სათანადო ფაქტობრივი მასალა იმგვარად დაამუშავეთ, რომ საშუალება მოგეცეთ იმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:

- რატომ და როგორ განვითარდა ევროპელთა ექსპანსია ახლო აღმოსავლეთში
- რა იყო განმაპირობებლი მიზეზები
- რა შედეგები მოჰყვა ამ ლაშქრობას

დ) მსჯელობისას განიხილეთ განსხვავებული პოზიციები, შეაჯერეთ, ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია და დაასაბუთეთ იგი;

ე) რეფერატის სრულყოფილად დასამუშავებლად და არგუმენტირების შესაძლებლობისთვის: გაეცანით და დაამუშავეთ პირველადი და მეორადი წყაროები (მოიძიეთ სამეცნიერო ლიტერატურა/ სამეცნიერო ინტერნეტ-მასალა)

## რეფერატის შეფასების რუბრიკა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მიზანი/თეზისი – კვლევის ძირითადი იდეის ჩამოყალიბება** | 0-1 | 0 ქულა - კვლევის მიზანი არ არის განსაზვრული / სწორად არ არის კვლევის მიზნის განსაზღვრული. | – | 1 ქულა - შერჩეულ თემასთან მიმართებაში მკაფიოდ ხდება იმ კითხვების წარმოჩენა შესავალში, რომლებზეც არის პასუხი გაცემული რეფერატში |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **რეფერატის ორგანიზება (რეფერატის სტრუქტურა- შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნები) და გამოყენებული რესურსი, რის ბაზაზეც შეიქმნა რეფერატი** | 0-1 | 0 ქულა - არაა გამოკვეთილი რესურ-სები, რის საფუძველზეც შესრულდა რეფერატი, ნაშრომს არ აქვს სტრუქტურა, რეფერატს არ აქვს ადექვატური ბიბლიოგრაფია | – | 1 ქულა - კარგად ჩანს რა ბაზაზე შეასრულა მოსწავლემ რეფერატი; შემოთავაზებული ბიბლიოგრაფია სამეცნიერო ნაშრომებითაა დაკომპლექტებული. |
| **შინაარსის კორექტულობა, ფაქტობრივი საიმედოობა** | 0-2 | 0 ქულა - მოძიებული მასალა ძალიან მწირია, არ იცნობს პირველად წყაროებს, მეორადი წყაროებიც არაა დამუშავებული. | 1 ქულა - მოძიებული მასალა შეიცავს პირველად და მეორად წყაროებს, თუმცა წარმოდგენილი წყაროები ზედაპირულადაა დამუშავებული, ანუ მოსწავლე მხოლოდ ნაწილობრივად გაიაზრებს მასალას. | 2 ქულა - იცნობს პირველად და მეორად წყაროებს, მოხმობილი ფაქტები სანდოა,რადგან სწორად ხდება წყაროს ამოკითხვა; პირველადი და მეორადი წყაროები სათანადოდაა დამუშავებული, მოსწავლე ავლენს კრიტიკული დამოკიდებულებას წყაროსადმი |
| **ენობრივი გამართულობა** | 0-1 | 0 ქულა - ენა გაუმართავია, აზრები არათანმიმდევრულადაა გადმოცემული. | – | 1 ქულა - ენა ნათელი და გასაგებია,მსჯელობა თანამიმდევრული. |
| **კვლევა (წყაროების ურთიერთშეჯერებისა და შეპირისპირების საფუძველზე საკუთარი ვარაუდების შემუშავება)** | 0-2 | 0 ქულა - მოსწავლეს არ გააჩნია არავითარი ვარაუდი/ები თემასთან მიმართებაში, მისი რეფერატი ორიგინალური ნაშ-რომის შთაბეჭდილებას არ ქმნის; მოსწავლე არ ავლენს წყაროების ანალიზის უნარს, შეიმჩნევა პლაგიატობა. | 1 ქულა - მოსწავლე გარკვეულწილად ავლენს წყაროების ანალიზის უნარს, თუმცა უჭირს წყაროებში ფაქტებისა და ვარაუდების გარჩევა, შესაბამისად მათ მიერ გამოთქმული ზოგიერთი ვარაუდი საფუძველს მოკლებულია. | 2 ქულა - მოსწავლე კარგად განასხვავებს ფაქტსა და ვარაუდს, სათანადოდ ამუშავებს პირველად და მეორად წყაროებს, მათი გაანალიზების საფუძველზე გამოთქვამს სათანადო ვარაუდები, თანამიმ-დევრულად დალა-გებული მასალის საფუძველზე ახერხებს თავისთვის საინტერესო კითხვებზე პასუხი იპოვოს. |
| **ილუსტრაციები/ თვალსაჩინოებები2** | 0-1 | – | – | – |
| **შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებითა და მაგალითებით გამყარება** | 0-2 | 0 ქულა - არ აქვს საკუთარი პოზიცია/ საკუთარ პოზიციას ვერ ამყარებს არგუმენტებით, | 1 ქულა - ცდილობს შემოგვთავაზოს საკუთარი ხედვა საკითხთან მიმართებაში, თუმცა მყარად ვერ გრძნობს თავს მასალასთან დამოკიდებულებაში და საკუთარ პოზიციის დაცვა უჭირს. | 2 ქულა - ავლენს საგნის კარგ ცოდნას, დამუშავებული მა-სალის მოშველიებით კარგად აყალიბებს საკუთარ პოზიციას და ამყარებს მას არგუმენტებით; მსჯელობს თამამად, ანგარიშს უწევს, მაგრამ ბრმად არ ენდობა ავტორიტეტებს. |
| **8. დასკვნები** | 0-1 | 0 ქულა - რეფერატში მოცემული დასკვნები არაარგუმენტირებული და მცდარია | | 1 ქულა - აჯამებს იმ შედეგებს, რაც მისცა კვლევამ და კარგად ახერხებს ამის მკითხველამდე მიტანას. |
| | **ჯამური ქულა** | | | |

**სტანდართან შესაბამისობა** – მაგალითი შესაბამისობაშია X კლასის ისტორიის სტანდარტის მიმართულების – ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა – მე-4, მე-5, მე-6, მე –7 შედეგებსა და მიმართულების – კომუნიკაცია – მე-8 შედეგთან; ასევე XI კლასის ისტორიის სტანდარტის მიმართულების – სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა – მე-5 შედეგთან.

## შემაჯამებელი დავალების კონკრეტული მაგალითი გეოგრაფიაში:

**წარმოადგინეთ თემა – „ გერმანიის კომპლექსური დახასიათება",**

ა) განიხილეთ შემდეგი საკითხები: 1) გერმანიის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, 2) ბუნებრივი რესურსები, 3) მოსახლეობა (სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, მიგრაცია, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა) 4) ეკონომიკური მდგომარეობა (მეურნეობის დარგები, ტრანსპორტი), 5) პოლიტიკური მდგომარეობა (პოლიტიკური სტრუქტურა).
ბ) იმსჯელეთ და გამოიტანეთ დასკვნები (ქვეყნის ადგილი მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე და მისი განვითარების მომავალი პერსპექტივები).

### შეფასების კრიტერიუმები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| განიხილავს პირველ ხუთ საკითხს | 0-1-2 | 0 ქულა - ზედაპირულად განიხილავს მხოლოდ ერთ ან ორ საკითხს | 1 ქულა - განიხილავს დავალებაში მოცემული საკითხების ნახევარზე მეტს | 2 ქულა - განიხილავს ხუთივე საკითხს |
| იცავს შინაარსობრივ თანამიმდევრობას | 0-1 | 0 ქულა - არათანამიმდევრულად გადადის ერთი საკითხიდან მეორეზე. | ------------------ | 1 ქულა - თანმიმდევრულად განიხილავს საკითხებს |
| ავლენს ანალიზისა და კრიტიკულ აზროვნებს უნარს | 0-2 | 0 ქულა - ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ ფაქტებზე, არ ავლენს კრიტიკული აზროვნების უნარს. | 1 ქულა აანალიზებს ერთ-ორ საკიტხს და მათ მიმართ გამხატვს საკუთარ დამოკიდებულებას | 2 ქულა მოსწავლე აანალიზებს მასალაში მოცემულ საკითხებს, გამოხატავს მათთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას |
| იყენებს თვალსაჩინოებებს | 0-1 | 0 ქულა - თვალსაჩინოება არ არსებობს ან ძალიან მწირია | ------------------ | 1 ქულა - მოხსენებას ახლავს მრავალფეროვანი თვალსაჩინოება |
| საუბრობს გარკვევით და გამართულად | 0-1 | 0 ქულა - საუბრობს გაურკვევლად, ჭირს აზრის გამოტანა | | 1 ქულა - საუბრობს გარკვევით, გაართულად მეტყველებს |
| პასუხობს დასმულ კითხვებს, ავლენს შესწავლილი საკითხების ცოდნას | 0-1 | 0 ქულა-საერთოდ ვერ პასუხობს აუდიტორიის მიერ დასმულ კითხვებს, | | 1ქულა-ადეკვატურად პასუხობს კითხვებს, ავლენს ცოდნასა და ანალიზის უნარს |
| იცავს დროის ლიმიტს | 0-1 | 0 ქულა - არ იცავს დროის ლიმიტს | | 1 ქულა - დროის ლიმიტი დაცულია |
| გამოაქვს დასკვნა/ები | 0-1-2 | 0 ქულა - ვერ გამოაქვს დასკვნა/ გამოაქვს არადეკვატური დასკვნა/ები. | 1ქულა გამოაქვს გარკვეული დასკვნები, მაგრამ ვერ ასაბუთებს მათ. | 2 ქულა -გამოაქვს საინტერესო დასკვნები, განმარტავს მათ სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის და მნიშვნელოვანი ფაქტორების გაანალიზების საფუძველზე, მსჯელობა საინტერესოა და დამაჯერებელი. |

*სტანდართან შესაბამისობა – შემაჯამებელი დავალება შესაბამისობაშია XI კლასის გეოგრაფიის სტანდარტის მეორე შედეგთან: გეო.XI.2. მოსწავლეს შეუძლია სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის გლობალური პრობლემების*

# VI. მეთოდიკის ძირითადი ორიენტირები

## სწორი ლექსიკის გამოყენება

გაკვეთილზე სწორი ლექსიკის გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლების პრიორიტეტების გათავისებას. მნიშვნელოვანია, მასწავლებელი ხშირად იყენებდეს ისეთ ფრაზებს, რომლებიც შეიცავენ აზროვნებასთან დაკავშირებულ სიტყვებს: „მოვიფიქროთ, ამოვიცნოთ, გავიაზროთ, დავახარისხოთ, შევაფასოთ“. სწავლების პროცესში ასევე ხშირად უნდა დაისვას ისეთი შეკითხვები, რომლებიც ხელს უწყობს და სტიმულს აძლევს აზროვნებას. სკოლამ უნდა ჩამოაყალიბოს ფიქრის კულტურა და შესაბამისი გარემო ფიქრისათვის. მასწავლებელი ამას დავალებებსა და გაკვეთილებზე გამოყენებული ლექსიკით უნდა უწყობდეს ხელს. მოსწავლეს არ უნდა ეშინოდეს საკუთარი აზრის გამოთქმის.

## კავშირები საგნებს შორის

სკოლაში მიღებული გამოცდილება, ცოდნა და უნარ-ჩვევები ადამიანს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, სამყარო აღიქვას მთლიანობაში. შესაბამისად, საგნები, რომლებიც სკოლაში ისწავლება, უნდა ითვალისწინებდეს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირს. უნარ-ჩვევები და საბაზო ცოდნა, რომელთა განვითარებაც უნდა მოხდეს სკოლაში, უნდა იყოს იმდენად ფართო პროფილის, რომ დაეხმაროს მოსწავლეს წარმატების მიღწევაში არა ერთ რომელიმე, არამედ ნებისმიერ სფეროში, რომელშიც ის გააგრძელებს მოღვაწეობას.

## აქცენტი მრავალმხრივ პერსპექტივაზე

მოვლენების შეფასება, იქნება ეს ისტორიული, ფიზიკური თუ ესთეტიკური, უნდა მოხდეს მრავალი კუთხით. სასწავლო მასალის მრავალი კუთხით შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც აუცილებელია სტერეოტიპების დაძლევისათვის. სააზროვნო კითხვას მრავალი სწორი პასუხი აქვს. სკოლის მოვალეობაა, დაეხმაროს მოსწავლეებს ამ სწორი პასუხების აღმოჩენაში პრობლემის სხვადასხვა კუთხით შეფასებისას. სკოლამ აუცილებლად უნდა შეუწყოს ხელი სასწავლო დაწესებულებაში მრავალფეროვნების არსებობას არა მარტო მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, არამედ ენობრივი, რელიგიური თუ ეთნიკური განსხვავებულობისადმი პატივისცემის გზით და სხვადასხვა იდეისა და აღმოჩენის დაფასებით.

## აქცენტი პიროვნული ღირსებების განვითარებაზე

სკოლამ განსაკუთრებულად უნდა მიაქციოს ყურადღება ისეთი ღირებულებების განვითარებას, როგორიცაა ღირსება, სამართლიანობა, ურთიერთპატივისცემა, სხვისი აზრის მოსმენა და აღიარება. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში დიდი ყურადღება მიექცეს ისეთი გავრცელებული სენის აღმოფხვრას, როგორიცაა პლაგიატობა (ანუ სხვისი აზრების მითვისება). სკოლა უნდა ქმნიდეს ისეთ ატმოსფეროს, სადაც სხვისი, მოსწავლისა თუ მასწავლებლის, მეცნიერისა თუ მწერლის აზრების საკუთრად გასაღება სირცხვილად ითვლება. მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რომ სხვისი ნაშრომის მითვისება და საკუთარ მიღწევად გამოცხადება ისეთივე ქურდობაა, როგორიც სხვისი ნივთის მისაკუთრება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი პირად მაგალითზე აჩვენებდეს მოსწავლეს, რას ნიშნავს სამართლიანობა და ურთიერთპატივისცემა.

## დისციპლინა

სკოლამ უნდა განუვითაროს მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევები. მასწავლებლების მაგალითი გადამწყვეტია სკოლაში მშვიდი და საქმიანი გარემოს შესაქმნელად. სკოლაში ნორმალური ატმოსფეროს დასანერგად ასევე გადამწყვეტია მოსწავლეებისათვის იმის ჩანერგვაც, რომ სკოლა მათი საკუთრებაა. მხოლოდ ამის გააზრებით შეიძლება მათ უარი თქვან სასკოლო ინვენტარისა თუ შენობის განზრახ დაზიანებაზე, სკოლებში უხეში კონფლიქტების წამოწყებაზე და სხვა. ადმინისტრაციული ზომები, რომლებსაც სკოლა იყენებს მოსწავლეების დასასჯელად, ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მოსწავლეთა ღირსება არ შეილახოს. სკოლაში დისციპლინის მხრივ მნიშვნელოვან სახელმძღვანელოს უნდა წარმოადგენდეს სკოლის შინაგანაწესი და ქცევის კოდექსი, რომელსაც ყველა მოსწავლე უნდა იცნობდეს. ემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე მოსწავლეებს სოციალური ქცევის სპეციფიკური ინსტრუქციები სჭირდებათ. მათ ნაკლებად მკაცრი გარემო უნდა შევუქმნათ და გავითვალისწინოთ, რომ ყურადღების გაფანტულობა, იმპულსური ქცევა, ჰიპერაქტიურობა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ბავშვებში.

## მოსწავლეთა დასწრება

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოითხოვს მოსწავლეების მხრივ განსაკუთრებულ აქტიურობა. ეს გულისხმობს მოსწავლეების მიერ არა მხოლოდ აქტიურ მონაწილეობას განათლების მიღების პროცესში, არამედ თანატოლების სწავლის პროცესში მონაწილეობასაც. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, წარმოდგენების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთესად გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებაში და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, მოსწავლეების დასწრების უზრუნველყოფა სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია. მოსწავლეების დასწრების რეგულარული აღრიცხვა, მისი ანალიზი და პრობლემებზე რეაგირება სკოლის დირექციის პასუხისმგებლობაა. დამრიგებელი ვალდებულია, მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს დასწრების წესების შესახებ ზუსტი ინფორმაცია, რასაც ზედამხედველობას უწევს სკოლის დირექტორი. დამრიგებლის წარდგინების საფუძველზე სკოლის დირექტორი ვალდებულია წერილობითი ფორმით დრო-

ულად შეატყობინოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მიერ გაკვეთილის/გაკვეთილების გაცდენის ფაქტისა და მისგან გამომდინარე მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

### დასწრების აღრიცხვა

მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ჟურნალში. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი.

### სსსმ მოსწავლეების დასწრება და გაცდენები

სკოლამ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გასწიოს იმისათვის, რომ მოსწავლეები რეგულარულად დაესწრონ გაკვეთილებს. სსსმ მოსწავლეების მიერ გამოწვეული გაცდენები საპატიოდ ჩაითვლება, თუკი ეს გამოწვეულია ავადმყოფობით, მშობლის ან მეურვის უუნარობით, მოკლევადიანი მოგზაურობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით. თუ გაკვეთილების გაცდენა აღემატება ორ თვეს, მაშინ სკოლა ვალდებულია სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო მომსახურება უზრუნველყოს სახლის ან საავადმყოფოს პირობებში. თუ სსსმ მოსწავლე მნიშვნელოვნად ჩამორჩა მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით დასახულ წლიურ მიზნებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი და მოსწავლის მშობელი/მეურვე ერთად იღებენ გადაწყვეტილებას, რომ მოსწავლემ გაიმეოროს აღნიშნული კლასი.

## გაკვეთილის დაგეგმვა

მასწავლებელი გაკვეთილის დაგეგმვისას გამოყოფს იმ ძირითად მომენტებს, რომლის შესრულებასაც საჭიროდ მიიჩნევს გაკვეთილზე. ამ მიზნით იგი წინდაწინ ადგენს გეგმას. გეგმის შედგენისას იგი ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

1. რას უნდა მიაღწიონ მოსწავლეებმა გაკვეთილზე? (შედეგი)
2. როგორ უნდა მივაღწიოთ სასურველ შედეგს?
3. როგორ გავიგოთ, მიღწეულია თუ არა შედეგი?

მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესს წარმართავს ამ კითხვებზე პასუხებიდან გამომდინარე. იგი ვალდებულია წინდაწინ განსაზღვროს, რა თანმიმდევრობით ჩაატარებს ამა თუ იმ სამუშაოს და როგორ გაანაწილებს მას დროში. შინაარსობრივად გაკვეთილი შედგება სამი ფაზისაგან:

**პროვოცირება** – ამ დროს მასწავლებელი ახდენს მოსწავლეთა ცოდნის მობილიზებას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით;

**სიღრმისეული წვდომა** – იგულისხმება მასალის შესწავლა სხვადასხვა ფორმით – ლექცია, დისკუსია, სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტისა და წყაროების გაცნობა, სქემების გარჩევა-გაანალიზება, რუკის შესწავლა და სხვა.

**რეფლექსია ანუ გააზრება** – შემაჯამებელი ეტაპი, რომლის დროსაც ხდება მოსწავლის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარება, პარალელების გავლება, მოსაზრებების გამოთქმა და დასაბუთება, მსჯელობა, გადაწყვეტილების მიღება, შეჯამება.

მასწავლებლის წიგნში ჩვენს მიერ შემოთავაზებულ გაკვეთილის მოდელებში "გაკვეთილის მიზანი" მითითებული არ გვაქვს. იგი ნაწილობრივ წარმოდგენილია მოსწავლის წიგნის ყოველი გაკვეთილის დასაწყისში (თემატური მიზანი ანუ რას შეიტყობს მოსწავლე მოცემული გაკვეთილიდან), ნაწილობრივ – ყოველი გაკვეთილის სცენარში მოცემულ "განსავითარებელ უნარებში" (რა უნარები უნდა განუვითაროს მასწავლებელმა მოსწავლეებს), ნაწილობრივ კი – "შინაარსისა და მისაღწევი შედეგების რუკაში" (გვ. 11-21).

რაც შეეხება გაკვეთილზე გამოსაყენებელ მასალას – სახელმძღვანელო, რვეული, პასტა – ჩავთვალეთ, რომ მოსწავლეს ყველა გაკვეთილზე თან უნდა ჰქონდეს, ხოლო სხვა დამხმარე მასალები – რუკა, ცარცი, დაფა, თაბახის ფურცლები, ფლომასტერები, სქემები და სხვა თვალსაჩინოება – გამოიყენება მასწავლებლის შეხედულებისამებრ და ამას ის თავად გეგმავს ყოველი გაკვეთილისათვის (იხ. XI. საგაკვეთილო პროცესში გამოსაყენებელი რესურსების სარეკომენდაციო ჩამონათვალი).

ასევე, მითითებული არა გვაქვს, მაგრამ ვგულისხმობთ, რომ ყოველი გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი ახდენს გაკვეთილის შეჯამებას და მოსწავლეთა პასუხების არგუმენტირებულ შეფასებას, რასაც საგანგებოდ განვმარტავთ მომდევნო ქვეთავებში.

## გაკვეთილის, თემის, თავის შეჯამება

გაკვეთილის შეჯამება ხდება პრობლემურ კითხვებზე პასუხების გაცემით, მასწავლებლის მიერ დისკუსიების დასრულებითა და მათთვის შემაჯამებელი განმარტებების მიცემით, დიაგრამების შედგენით (როგორ გაართვა თავი კლასმა სამუშაოს). საამისოდ გაკვეთილების უმრავლესობას (მოსწავლის წიგნში) ახლავს შემაჯამებელი დავალებები – საკითხის კვლევა, თხზულების დაწერა, დისკუსია და სხვ.

ყოველი თავის ბოლოს მოსწავლის წიგნში მოცემულია თავის შემაჯამებელი სავარჯიშოები: ტესტები და დავალებები, რომელიც მასწავლებელს ეხმარება მოსწავლის ცოდნის დადგენაში და, ამავე დროს, შესაძლებლობას აძლევს შეამოწმოს საკუთარი თავი: რამდენად შეძლო გაკვეთილში, თემაში თუ თავში განსაზღვრული მიზნების განხორციელება.

## VII. გაკვეთილების სცენარებში გამოყენებული ინტერაქტიული მეთოდები

**1. გ.ი. – გონებრივი იერიში.** ამ მეთოდით მასწავლებელი სასწავლო მიზნის შესაბამისად ახდენს თემის წინასწარ შერჩევასა და შეკითხვის სახით ჩამოყალიბებას.

**2. ვ.დ. – ვენის დიაგრამა.** მეთოდის სახელწოდება უკავშირდება ინგლისელი მათემატიკოსის, ჯონ ვენის სახელს. ვენის დიაგრამა შედგება ორი ან მეტი რგოლისაგან და იძლევა შედარებითი ანალიზის საშუალებას.

**3. დ.დ. – დროის დიაგრამა.** მეთოდი გამოიყენება ფაქტებისა და მოვლენების დროსთან დასაკავშირებლად. იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს თვალსაჩინოდ დაამუშავონ ისტორიული ფაქტების, მოვლენების შემცველი დიდი ტექსტები და საკითხები.

**4. 3-2-1 სტრატეგია.** მეთოდი გამოიყენება ტექსტის წაკითხვის, თვალსაჩინოების დათვალიერების, ფილმის ნახვის, პროექტების დასრულების შემდეგ. მეთოდის გამოყენება შემდეგი სახით ხდება: ტექსტის ან/და წყაროების გაცნობის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს 2-3 წინადადებით ჩამოწერონ:

- 3 რამ, რამაც დამაინტერესა;
- 2 რამ, რის შესახებაც მინდა გავიგო;
- 1 რამ, რის შესახებაც სიამოვნებით ვიმსჯელებდი.

ეს მეთოდი ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას გაკვეთილის პროცესში. მისი მიზანია მოსწავლის განწყობა საგაკვეთილო პროცესისადმი და თემის მიმართ ინტერესის გაღვიძება. იგი ხელს უწყობს აზრის მობილიზებას და სხარტად გამოთქმის უნარის გამომუშავებას.

**5. კ.ნ.ს. – კითხვა ნიშანთა სისტემით.** მეთოდი გამოიყენება ახალი გაკვეთილის ტექსტზე მუშაობისას, ხელს უწყობს მასალის ათვისებას, ააქტიურებს საკითხის შესახებ არსებულ ცოდნას, ავითარებს კრიტიკული აზროვნებისა და ინფორმაციის დახარისხების უნარს. მეთოდის აღწერა:

მოსწავლეები ტექსტის კითხვისას კიდეებზე აკეთებენ აღნიშვნებს (სასურველია – უბრალო ფანქრით): "✓" – თუ ინფორმაცია ნაცნობია, "+" – თუ ინფორმაცია ახალია, "–" თუ ინფორმაცია მათი აზრის საპირისპიროა, "?" – თუ არ ეთანხმებიან ან გაუგებარია, შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს შეავსონ სქემა:

| ✓ | + | – | ? |
|---|---|---|---|
| | | | |

შემდეგ კი მართავენ დისკუსიას და პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს:

- რა იყო ისეთი, რაც ტექსტის წაკითხვამდე იცოდით?
- რა აღმოჩნდა ისეთი, რაც ტექსტის წაკითხვამ გასწავლათ?
- რა იყო ისეთი, რისი საპირისპიროც იცოდით (ან; რასაც არ ეთანხმებით)?
- რა შეკითხვები დაგებადათ?

**6. T-სქემა** – გამოიყენება საპირისპირო მოსაზრებათა გამოსათქმელად, მოვლენებისა თუ ფაქტების შესაპირისპირებლად და შესადარებლად, მოქმედ გმირთა დასახასიათებლად, ინფორმაციის დასახარისხებლად.

**7. ვ.მ.ვ. – ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე.** მეთოდი გამოიყენება საგაკვეთილო ტექსტზე მუშაობისას. გვიჩვენებს, რა ისწავლა მოსწავლემ ამ ტექსტით, აძლიერებს ტექსტის კითხვისა და მასზე მუშაობის მოტივაციას, ავითარებს კითხვის დასმისა და წერითი მეტყველების უნარ-ჩვევებს.

**8. ა.კ.რ. – ასოციაციური კავშირების რუკა.** დაფის ან ფურცლის ცენტრში, სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, იწერება სიტყვა ან ფრაზა, რომელსაც ლოგიკურად უკავშირებენ იმას, რის ასოციაციასაც გამოიწვევს იგი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. ხელს უწყობს ინფორმაციის შეკრებისა და დაჯგუფების, თემის გააზრების, დასკვნების გაკეთების, შემოქმედებითი და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

**9. შეკითხვები – ღია ან დახურული ტიპის.** დახურული კითხვა მოითხოვს მხოლოდ "დიახ" და "არა" პასუხს. იგი გამოიყენება, ძირითადად, ცოდნის შესამოწმებლად და ფაქტის კონსტატაციისათვის. ღია შეკითხვა მოწოდებულია სხვადასხვა აზრთა გამოსავლენად, საკამათოდ. იგი შეიძლება დავყოთ ჯგუფებად: ჰიპოთეტური, განსჯითი, წამახალისებელი, მასტიმულირებელი, შემაჯამებელი, კვლევითი, შემათანხმებელი.

*ჰიპოთეტური* – "რას იფიქრებ ან მოიმოქმედებ შენ, თუ...?" ასეთი მეთოდი მოსწავლეს ეხმარება წარმოსახვის უნარის განვითარებაში, მიმართავს მის გონებას ფიქრისა და განსჯისაკენ.

*განსჯითი* – "როგორ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ ამ პრობლემის გადაჭრას?"

*წამახალისებელი* – "საინტერესოა, რა მოხდა შემდეგ?" მოსწავლე ადგენს შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების გაზიარებას.

*მასტიმულირებელი* – "რა აზრის ხარ?" მასწავლებელი აგრძნობინებს მოსწავლეს, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანია.

*კვლევითი* – "რატომ ფიქრობ ასე?" ხელს უწყობს მოსწავლეს დაუფიქრდეს საკითხს, შეძლოს საკუთარი აზრის დასაბუთება.

*შემაჯამებელი* – მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა გაანალიზონ მეგობრის მოსაზრება, განსაზღვრონ, ეთანხმებიან თუ არა მას. კითხვა: "რატომ ფიქრობთ ასე?"

*შემათანხმებელი* – "ეთანხმებით თუ არა გამოთქმულ მოსაზრებას?" ამ შეკითხვით შეიძლება კამათის პროვოცირება ან კამათის დასრულება. მასწავლებელი უნდა ეცადოს კონსენსუსის მიღწევას ან, თუ ეს შეუძლებელია, ახდენს განსხვავებული აზრის დაფიქსირებას და საკითხს ტოვებს ღიად. მეორე შემთხვევაში ამას ახდენს შეკითხვით – "შეიძლება თუ არა ეს საკითხი გარკვეულად ჩაითვალოს?"

**10. დისკუსია** – იწყება მოტივაციით, რომელიც გულისხმობს პრობლემის ან კონკრეტული შემთხვევის აღწერას, გათვალსაჩინოებას. მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს: რა? როგორ? რატომ? რა მოხდებოდა, რომ? რამ იქონია გავლენა? არის თუ არა ალტერნატივა? ტრადიციული მეთოდით სწავლებისაგან განსხვავებით, შესაძლებლობას იძლევა დავინახოთ, რომ ყოველი მტკიცება მრავალ სათუო მხარეს შეიცავს.

**11. როლში ჩაყენება.** მეთოდი გულისხმობს მოსწავლის ჩაყენებას გარკვეული პერსონაჟის ან მკვლევრის როლში საკითხის უკეთ გათავისების, გაგების მიზნით.

**12. დებატები** – აგებულია მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე. წარმომადგენლები არჩეულნი უნდა იყვნენ თითოეული ჯგუფიდან. კამათში მონაწილეობს ჯგუფის თითო წარმომადგენელი რიგრიგობით.

**13. ინტერვიუ** – მის ჩასატარებლად საჭიროა წინდაწინ მომზადება: მიზნის დასახვა და კითხვების შედგენა. იგეგმება ტექნიკური მხარეც. ინტერვიუს აღება შესაძლებელია ოჯახის წევრების, მეზობლის, უბრალოდ ნაცნობის ან უცნობისაგან. მისი ჩატარება შეუძლია ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს. აუცილებელია შედეგების განხილვა და შეჯამება.

## ბლუმის ტაქსონომია

ბლუმის ტაქსონომია არის აზროვნების სისტემა დაბალი დონის აზროვნებიდან მაღალი დონის აზროვნებისკენ, რომელიც ცნობილია პედაგოგიური ტაქსონომიის სახელწოდებით. მას სათავე დაუდო ამერიკელმა მეცნიერმა ბენჯამენ ბლუმმა. იგი აზროვნების განმავითარებელი ექვსსაფეხურიანი მოდელია. შემოგთავაზებთ ბლუმის ტაქსონომიის სქემას, რომელზედაც მოცემულია სასწავლო მიზნების ძირითადი კატეგორიები:




**I – ამოცნობა-გახსენება:** ამ ეტაპზე მოსწავლე საგაკვეთილო თემასთან დაკავშირებულ მისთვის ნაცნობ ინფორმაციას გონებაში აღიდგენს. პასუხობს კითხვებზე: ვინ? რა? რამდენი? სად?; კითხვებზე სავარაუდოდ გამოსაყენებელი ზმნებია: გაიმეორე, გაიხსენე, აღწერე, ჩამოთვალე, დაასახელე.

**II – გაგება:** ამ ეტაპზე მოსწავლე ახალ მასალას იძენს და ცოდნის შემეცნებას ახდენს (მასალის არსში წვდომის უნარი). პასუხობს კითხვაზე "როგორ? " კითვებზე სავარაუდოდ გამოსაყენებელი ზმნებია: განმარტე, ახსენი, ჩაანაცვლე, მიაკვლიე, გადმოეცი დედააზრი, განასხვავე, შეცვალე ფრაზა.

**III – გამოყენება:** ეს კატეგორია მიუთითებს შესწავლილი მასალის გამოყენების უნარზე კონკრეტულ პირობებში და ახალ სიტუაციებში. კითხვებია: რომელი? როგორი?

გამოსაყენებელი ზმნებია: დაამტკიცე, დაადგინე, გამოთვალე, მოამზადე, გადაწყვიტე, აჩვენე, დააკავშირე, აღმოაჩინე, მიუსადაგე, გარდაქმენი, დაალაგე.

**IV – ანალიზი:** ეს კატეგორია მიუთითებს მთლიანი მასალის სტრუქტურულ ელემენტებად დაშლის უნარზე. აქ იგულისხმება ერთი მთელიდან ნაწილების გამოყოფა, მათ შორის ურთიერთკავშირების დადგენა, მთელის ორგანიზაციის პრინციპების დანახვა.

კითხვაა: რატომ?

გამოსაყენებელი ზმნებია: გააანალიზე, დაყავი, გამოყავი ძირითადი, დაარწმუნე, დაახასიათე, იპოვე, შეაპირისპირე, განსაზღვრე.

**V – სინთეზი:** ეს კატეგორია მიუთითებს ელემენტების კომბინირების ისეთ უნარზე, როცა ხდება ახალი მთლიანობის შექმნა. ასეთი ახალი პროდუქტი შეიძლება იყოს მოხსენება, მოქმედებათა გეგმა ან მონაცემთა მოწესრიგებული სქემა, პროექტი და ა. შ. კითხვებია: რა მოხდება, თუ...? როგორ შეამოწმებ ამ შეხედულებას? როგორ შეადგენ ცხრილს? კიდევ როგორ შეიძლება პრობლემის გადაწყვეტა? როგორ დააჯგუფე?

გამოსაყენებელი ზმნებია: განაზოგადე, შეადგინე, გადააჯგუფე, შეაჯამე, გაამთლიანე, შეამოწმე, დაახარისხე, გაამარტივე, დაასრულე.

**VI – შეფასება:** ეს კატეგორია გულისხმობს ამა თუ იმ მასალის მნიშვნელობის შედარებას კონკრეტული მიზნის მისაღწევად. მოსწავლის მსჯელობა უნდა ემყარებოდეს მკაფიო კრიტერიუმებს. შეფასების დონე გულისხმობს ყველა წინა სასწავლო მიზნის მიღწევას პლიუს შეფასებით მსჯელობას.

კითხვებია: როგორ შეაფასებდი... საქციელს? რამდენად სამართლიანია... გადაწყვეტილება? რა დასკვნების გამოტანა შეიძლება? შენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყო?

გამოსაყენებელი ზმნებია: შეაფასე, იმსჯელე, აწონდაწონე, გამოიტანე დასკვნა, გააკრიტიკე, უარყავი...

# VIII. შინაარსისა და მისაღწევი შედეგების რუკა

| პარაგრაფის დასახელება | სტანდარტის შესაბამისი შედეგები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კითხულობს და იყენებს რუკებს. | იყენებს და ქმნის ინფორმაციის გადმოცემის სხვადასხვა საშუალებებს (ცხრილი, გრაფიკი, ფოტო, სქემა, ჩანახატი). | ადგენს სქემატურ რუკებს. | განმარტავს და იყენებს ქრონოლოგიურ ერთეულებსა (წელიწადი, საუკუნე, ათასწლეული) და წელთაღრიცხვის სისტემას (ძველი და ახალი ერა). | აკავშირებს ისტორიულ ფაქტებს შესაბამის ეპოქებთან. | ახასიათებს სხვადასხვა ეპოქაში საქართველოში დამკვიდრებულ მმართველობის ფორმებს. | ახასიათებს საქართველოს ისტორიაში გამორჩეულ, მნიშვნელოვან პიროვნებებს, რომლებიც მონაწილეობდნენ მმართველობაში. | ადარებს სხვადასხვა ეპოქაში საქართველოს მცხოვრებთა მონაწილეობას საქვეყნო/საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეებში. | ადარებს ომისა და მშვიდობის შედეგებს მოსახლეობისათვის საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში. | იკვლევს საქართველოს მოსახლეობის მახასიათებლებს. | აკავშირებს საქართველოს გეოგრაფიულ ობიექტებს დასახლებების ტიპებთან. | ახასიათებს მხარეს ბუნებრივი რესურსების მიხედვით და მსჯელობს მათ მნიშვნელობაზე. | მსჯელობს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მრავალმხრივ გამოყენებაზე. | მსჯელობს კომუნიკაციების განვითარებაზე უძველესი დროიდან დღემდე. | ახასიათებს ადამიანის სხვადასხვა საზოგადოებებისადმი მიკუთვნების ნიშან-თვისებებსა და პირობებს. | ადარებს სხვადასხვა საზოგადოებებს მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებისა და წესების მიხედვით. | ადარებს ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვას სხვადასხვა ეპოქაში. | ბავშვის უფლება-მოვალეობების გამოყენებას მიუსადაგებს სხვადასხვა საზოგადოების წესებს. | აკავშირებს კანონიერებას, დემოკრატიასა და სამოქალაქო საზოგადოებას. | აღწერს საქართველოში არსებულ რელიგიებს. | ასხვავებს კულტურის კომპონენტებს და განიხილავს მათ ურთიერთკავშირს. | ახასიათებს საქართველოს მოსახლეობის კულტურათა მსგავსება-განსხვავებების გამოვლინებებს და განიხილავს შესაბამის მიზეზებს. | მსჯელობს სხვადასხვა მასშტაბის მოგზაურობების გავლენაზე საქართველოს კულტურაზე. |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| 1. რა დაგეხმარება შენი სამშობლოს წარსულისა და დღევანდელობის შესწავლაში? | | ● | | | ● | | | | | | | | | | ● | | | | | | | | |
| 2. ჩვენი სამშობლო – საქართველო | | | | | | ● | | | | | | | | | | | | | | | | | ● |
| 3. სად მდებარეობს და ვის ემეზობლება საქართველო? | ● | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4. საქართველოს ბუნებრივი პირობები | | | | | | | | | | | | ● | | | | | | | | | | | |
| 5. საქართველოს რელიეფი | ● | | | | | | | | | | ● | | | | | | | | | | | | |
| 6. საქართველოს ბუნებრივი რესურსები | | | | | | | | | | | | ● | ● | | | | | | | | | | |
| 7. საქართველოს დაცული ტერიტორიები | | | | | | | | | | | | ● | ● | | | | | | | | | | |
| 8. დმანისი | ● | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

| პარაგრაფის დასახელება | სტანდარტის შესაბამისი შედეგები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| 9. თრიალეთის კულტურა | | ● | | | | | | ● | | | | ● | ● | | | ● | | | | | ● | ● | |
| 10. რა როლს ასრულებდა შავი ზღვა საქართველოსთვის ძველად? | | | | | | | | | | | | | | ● | | | | | | | | | ● |
| 11. შავი ზღვის დღევანდელი მნიშვნელობა საქართველოსთვის | | | | | | | | | | | | | ● | ● | | | | | | | | | |
| 12. პირველი ქართული სახელმწიფო. მეფე ფარნავაზი | | | | | | | ● | | | | | ● | ● | | | ● | | | | | ● | ● | |
| 13. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში | | | | | | | | ● | | | | | | | | | | | | ● | | | |
| 14. ასურელი მამების ნაკვალევზე | ● | | | | | | | | | | | | | | | | | | | | ● | | |
| 15. კლდეში ნაკვეთი დასახლებები | | | | | | | | | | | | | | | | ● | | | | | ● | ● | |
| 16/17. თამარ მეფე | | | | | ● | | ● | | | | | | | | | | | | | | | | |
| 18. გზები და მიმოსვლის საშუალებები | | | | | | | | | | | | | | ● | | | | | | | | | |
| 19. საქართველოს ციხესიმაგრეები | | | | | ● | | | | ● | | | | | | | | | | | | | | |
| 20/21. თბილისი – საქართველოს დედაქალაქი | | | | | | | | | | ● | | | | ● | | | | | | | | | |
| 22. მტკვარი | ● | | | | | | | | | | | | ● | ● | | | | | | | | | |
| 23/24. შიდა ქართლი | ● | | | | | ● | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 25/26. ქვემო ქართლი | ● | | | | | | | ● | | | | | | | | | | | | | | | |
| 27/28. კახეთი | ● | | | | | | | | | ● | | ● | | | | | | | | | | | |
| 29/30. თუშეთი | ● | ● | ● | | | | | | | ● | ● | | | | | | | | | | | | |
| 31/32. ფშავი | ● | | | | | | | | | | | ● | | | | ● | | | | | | | |

| პარაგრაფის დასახელება | სტანდარტის შესაბამისი შედეგები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| 33/34. ხევსურეთი | ● | ● | ● | | | | | | | ● | ● | | | | | ● | | | | | | | |
| 35/36. ხევი | ● | ● | ● | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 37/38. მთიულეთი | | | ● | | | | | | | ● | ● | ● | ● | ● | | | | | | | | | |
| 39/40. იმერეთი | ● | | | | | | | | | ● | | ● | | | | | | | | | | | |
| 41/42. სამეგრელო | | ● | ● | | | | | | | | ● | ● | | | | | | | | | | | |
| 43/44. გურია | ● | ● | | | | | | | | | | ● | | ● | | | | | | | | | |
| 45/46. სვანეთი | ● | ● | ● | | | | | | | | | ● | | | | | | | | | | | |
| 47/48. რაჭა | ● | | ● | | | | | | | | ● | | | | | | | | | | | | |
| 49/50. ლეჩხუმი | ● | | ● | | | | | | | ● | ● | | | | | | | | | | | | |
| 51/52. აფხაზეთი | ● | ● | ● | | | | | | | | | ● | ● | | | | | | | | | | |
| 53/54. სამცხე | | ● | | | | | | | | | ● | | | | | | | | | | | | |
| 55/56. ჯავახეთი | ● | | | | | | | | | ● | | | ● | | | | | | | | | | |
| 57/58. აჭარა | ● | ● | | | | | | | | ● | | ● | | ● | | | | | | | | | |
| 59. საქართველოს ისტორიული მიწები | ● | | | | | | | | ● | ● | | | | | | | | | | | | | |
| 60. აღმოსავლეთი საქართველოს ისტო-რიული ქალაქები | ● | | | | | | | | | | ● | | | ● | | | | | | | | | |
| 61. დასავლეთი საქართველოს ისტო-რიული ქალაქები | ● | | | | | | | | | | | ● | | | | | | | | | | | |
| 62. ხვნა-თესვა | | ● | | | | | | ● | | | | | ● | | | ● | | | | | ● | ● | |
| 63. მარცვლეულის მოსავლის აღება | | ● | | | | | | ● | | | | | | | | ● | | | | | ● | ● | |
| 64. რას ამზადებდნენ მარცვლეულისგან საქართველოში? | | ● | | | | | | ● | | | | | ● | | | ● | | | | | ● | ● | |
| 65. რთველი | | ● | | | | | | ● | | | | | | | | ● | | | | | ● | ● | |
| 66. მეცხვარეობა | | ● | | | | | | ● | | | | | | | | ● | | | | | ● | ● | |

| პარაგრაფის დასახელება | სტანდარტის შესაბამისი შედეგები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| 67. რას ამზადებენ მატყლისგან მთაში? | | ● | | | | | | | | | | | | | | ● | | | | | ● | ● | |
| 68. თიბვა | | | | | | | | | ● | | | | | | | ● | | | | | ● | ● | |
| 69. მეთუნეობა | | | | | | | | | ● | | | | ● | | | ● | | | | | ● | ● | |
| 70. ქართული საცხოვრებელი სახლი | | ● | | | | | | ● | | | ● | | | | | ● | | | | | ● | ● | |
| 71. ტრადიციული და თანამედროვე ოჯახი | | | | | | | | | ● | | | | | | | ● | | | | | ● | ● | |
| 72. სტუმარ-მასპინძლობა | | ● | | | | | | ● | | | | | | | | ● | | | | | ● | ● | |
| 73. ქორწილი საქართველოში | | ● | | | | | | ● | | | | | | | | ● | | | | | ● | ● | |
| 74. შობა-ახალწელიწადი აქართველოში | | | | | | | | | ● | | | | | | | ● | | | | | ● | ● | |
| 75. ქართული ხალხური მუსიკა და ცეკვა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | ● | ● | |
| 76. ბერიკაობა-ყეენობა თბილისში | | ● | | | | | | ● | | | | | | | | ● | | | | ● | ● | ● | |
| 77. სახადიანი ავადმყოფის მოვლა ძველ საქართველოში | | ● | | | | | | ● | | | | | | | | ● | | | | ● | ● | ● | |
| 78. აღზრდის ხალხური წესები | | | | | | | | | ● | | | | | | | ● | ● | | | | ● | ● | |
| 79. სპორტული საქართველო | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 80. განათლების კერები საქართველოში | | | | | | | ● | | | | | | | | | | | ● | | | | | |
| 81. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან უნივერსიტეტამდე | | | | | | | | ● | | | | | | | | | | | | | | | |

## IX. გაკვეთილების სცენარები, კომენტარები და სავარჯიშოების პასუხები

### გაკვეთილი 1. რა დაგეხმარება შენი სამშობლოს წარსულისა და დღევანდელობის შესწავლაში?

**განსავითარებელი უნარები:** ტექსტზე მუშაობის, დაკვირვების, წყაროზე მუშაობის, შესაბამისობის დადგენის.

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები ეცნობიან გაკვეთილში მოცემულ ტექსტს (7 წთ). კითხვების საშუალებით მასწავლებელი არკვევს, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა სახელმძღვანელოს სწავლების მეთოდი და მიზანი (5 წთ).

შემდეგ მასწავლებელი მოკლედ საუბრობს წყაროს რაობაზე, მის მრავალფეროვნებაზე და მოსწავლეებს სთხოვს, დაასახელონ შესაბამისი მაგალითები (7 წთ). განიხილავენ ცნობა 1-ს და შემდეგ მუშაობენ წყარო ა-ზე (17 წთ). ბოლოს ასრულებენ გაკვეთილის შემაჯამებელ დავალებას (8 წთ). გაკვეთილის მსვლელობისას წყარო ა-ს მონაცემებზე დაყრდნობით საუბრობენ უძველეს რწმენა-წარმოდგენებზე.

### გაკვეთილი 2. ჩვენი სამშობლო – საქართველო

**განსავითარებელი უნარები:** ტექსტზე მუშაობის, დაკვირვების, მსჯელობის და დასკვნის გაკეთების.

**გაკვეთილის მსვლელობა:** სასურველია გაკვეთილის დაწყება მასწავლებლის მინი-ლექციით, კერძოდ: პედაგოგი განმარტავს, რომ ქვეყნის უკეთ მართვის მიზნით სხვადასხვა დროს საქართველო იყოფოდა 1. სამეფო
2. საერისთავო
3. სამთავრო
4. სათავადო
5. სადროშო
6. რაიონი
(ჩამოწერს დაფაზე) (5 წთ).

მასწავლებლის თხოვნით, მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს (კუთხეებიდან წყარო ა-ს ჩათვლით) (10 წთ). შემდეგ მსჯელობენ წყარო ა-ს ქვეშ მოთავსებულ სავარჯიშოებზე (6 წთ). მუშაობას აგრძელებენ წყარო ბ, გ-ს განხილვით (6 წთ). შემდეგ წერილობით ასრულებენ წყარო გ-ს ქვეშ მოთავსებულ სავარჯიშოს (8 წთ). სამუშაოს დაასრულებენ შემაჯამებელი სავარჯიშოების პასუხების მომზადებით (7 წთ).

**კომენტარი მასწავლებლებისთვის:** წყარო გ-ს განხილვისას საქართველო სამეფო-სამთავროების გერბების შესახებ მცირე ინფორმაციის მიწოდებაა დასაშვები (3 წთ).

### გაკვეთილი 3 სად მდებარეობს და ვის ემეზობლება საქართველო?

**განსავითარებელი უნარები**: რუკაზე მუშაობის, დაკვირვების, მსჯელობის, დასკვნის გაკეთების.

**გაკვეთილის მსვლელობა**: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით (10 წთ.). მოსწავლეებს უსვამს კითხვებს, რომელთა პასუხები დაფაზე იწერება (პასუხის გასაცემად მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ საქართველოს ფიზიკური რუკა – კედლის ან სახელმძღვანელოს დანართი №1): 1) რომელი ოთხი ქვეყანა ემეზობლება საქართველოს? 2) დაალაგე ისინი ჰორიზონტის მხარეების მიხედვით. 3) რომელ ზღვაზე აქვს საქართველოს გასასვლელი? 4) თქვენი სიტყვებით ახსენით, რა არის საზღვარი? 5) როგორ ფიქრობთ, რომელ ქვეყანასთან აქვს საქართველოს ყველაზე გრძელი საზღვარი? 6) რას ნიშნავს “სასაზღვრო-გამშვები პუნქტი”? 7) იცით თუ არა სად მდებარეობს საქართველოში სასაზღვრო-გამშვები პუნქტები? მოიყვანეთ მაგალითი. შემდეგ, შინაარსის რეალიზაციისთვის, მოსწავლეებს 8 წუთი ეძლევათ, რომ ყურადღებით წაიკითხონ წყარო ა და პასუხი გასცენ შეკითხვებს. დავალების შემოწმების შემდეგ კლასი ჯგუფებად იყოფა: 15-18 წუთის განმავლობაში მუშაობენ კონტურულ რუკაზე, რომელზეც უნდა დაიტანონ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნების, რუსეთის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკებისა და მხარეების სახელები, აღნიშნონ მოსაზღვრე ბუნებრივი ზღუდეები (მდინარეები, ტბები, უღელტეხილები), რომლებზეც გადის საქართველოს საზღვარი. მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ ის ადგილები, სადაც გახსნილი უნდა იყოს საბაჟო და სასაზღვრო-გამშვები პუნქტი. შესრულებული დავალების პრეზენტაციას 5-7 წუთი ეთმობა. საშინაო დავალებად ეძლევათ გაკვეთილის ბოლოს დართულ სავარჯიშოებზე წერილობითი პასუხების გაცემა.

### გაკვეთილი 4. საქართველოს ბუნებრივი პირობები

**განსავითარებელი უნარები:** რუკასა და ტექსტზე მუშაობის, შედარების, მსჯელობის, საკუთარი აზრის გამოთქმის.

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს, ა და ბ წყაროებს. საჭირო ობიექტებს ეძებენ რუკაზე (შესაძლებელია მასწავლებლის დახმარება) (7 წთ). შემდეგ მსჯელობენ წყარო ბ-ს ქვეშ მოთავსებულ სავარჯიშოებზე (7 წთ). გაკვეთილის მასალას ეცნობიან ბოლომდე (7 წთ) და თანმიმდევრობით პასუხობენ ცნობა 2-ის ქვეშ და ტექსტის დასასრულს მოთავსებულ სავარჯიშოებს. (10 წთ). პასუხების გაცნობის (4 წთ) შემდეგ ამოარჩევენ 1-ლი შემაჯამებელი სავარჯიშოს შემოთავაზებულ ერთ-ერთ ვარიანტს და ახსნიან საკუთარ არჩევანს (6 წთ).

**საშინაო დავალება:** მე-2 შემაჯამებელი სავარჯიშო (მითითებისთვის 2 წთ).

### გაკვეთილი 5 საქართველოს რელიეფი

**განსავითარებელი უნარები**: წყაროებსა და რუკებზე მუშაობის, დაკვირვების საფუძველზე დასკვნების გამოტანის, წერილობითი მსჯელობის, ინდივიდუალურად, წყვილში და ჯგუფურად მუშაობის.

**გაკვეთილის მსვლელობა**: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გონებრივი იერიშის მეთოდით. მოსწავლეებმა ინდივიდუალურად, განვლილი მასალის საფუძველზე, 5-7 წუთის განმავლობაში კონტურულ რუკაზე უნდა აღნიშნონ საქართველოს რელიეფის ძირითადი ფორმები: მთები, ქედები, დაბლობები, ვაკეები, უღელტეხილები და ა.შ. ნამუშევრების შემოწმების (4 წთ.) შემდეგ მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს მთების სახელწოდებებს და მოსწავლეებს სთხოვს, უკარნახონ თითოეუ-

ლი მათგანის დანიშნულება. მაგალითად: ლიხის ქედი – დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს გამყოფი; კავკასიონი – ბარიერული საზღვარი და ა.შ. (5 წთ.). მომდევნო 5 წუთის განმავლობაში მოსწავლეებმა რუკაზე უნდა იპოვონ: კავკასიონი, თრიალეთის და მესხეთის ქედები, შიდა ქართლის ვაკე და წყალტუბო. რუკის გამოყენებით გაარკვიონ, რომელი ქედები, მთები თუ დაბლობები საზღვრავენ მათ.

შემდეგი 10 წუთის განმავლობაში მოსწავლეები წყვილად მუშაობენ. წყაროების წაკითხვის შემდეგ დამატებით ობიექტებს უმატებენ კონტურულ რუკას.

გაკვეთილის მიწურულს მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და აძლევს საპრეზენტაციოდ დავალებას: "საქართველოს რელიეფის მრავალფეროვნება". დავალება შეიძლება შესრულდეს წერილობით ან ნახატით (10 წთ) პრეზენტაციას 5 წუთი ეთმობა. საშინაო დავალებად ეძლევათ გაკვეთილის ბოლოს დართული სავარჯიშოები.

## გაკვეთილი 6. საქართველოს ბუნებრივი რესურსები

**განსავითარებელი უნარები:** ტექსტსა და რუკაზე მუშაობის, მსჯელობის, შედარების.

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ლექსიკონიდან ამოიკითხავენ ტერმინს "რესურსი", გაიაზრებენ მის მნიშვნელობას (3 წთ). პედაგოგის თხოვნით რვეულში ჩამოწერენ იმ რესურსებს, რომლებიც მათ გაკვეთილის წარმატებით წარმართვისთვის გამოადგებათ (სასურველია დაფაზე დაფიქსირება) (6 წთ). შემდეგ კვლავ მასწავლებლის თხოვნით რვეულში ჩამოთვლიან მათთვის ცნობილ ბუნებრივ რესურსებს (5 წთ). მოსწავლეები ეცნობიან გაკვეთილის მასალას (წყარო ა-ს ჩათვლით) (5 წთ) და მოამზადებენ 1-ლი ბულიტიანი სავარჯიშოს პასუხს (სამუშაო სრულდება ჯგუფებში) (6 წთ). ამის შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან მასალას სქემა 1-ის ჩათვლით (6 წთ) და პასუხობენ სავარჯიშოებს. შემდეგ წერილობით პასუხობენ შემაჯამებელ სავარჯიშოს (10 წთ).

## გაკვეთილი 7. საქართველოს დაცული ტერიტორიები

**განსავითარებელი უნარები:** ჯგუფში მუშაობის, პრეზენტაციის, მსჯელობის, შედარების, საკუთარი აზრის გამოთქმის, რუკასა და ტექსტზე მუშაობის.

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი გაკვეთილს თემის დასახელებით იწყებს – "საქართველოს დაცული ტერიტორიები" და მოსწავლეებს სთხოვს, გამოთქვან მოსაზრებები დაცული ტერიტორიების შესახებ. სასურველია, მოსწავლეთა მოსაზრებები დაფაზე ჩამოწერონ (5 წთ). ამ საკითხზე მეტი ინფორმაციის მისაღებად მასწავლებლის მითითებით ინდივიდუალურად ეცნობიან ტექსტს ქვეთავამდე "ლაგოდეხის ნაკრძალი" (5 წთ) და ავსებენ შეთავაზებულ ცხრილს.

| დაცული ტერიტორია | დასაშვებია | აკრძალულია |
|---|---|---|
| | | |

ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები ოთხ ჯგუფში ნაწილდებიან (უმჯობესია, გადანაწილდნენ სურვილისამებრ) და მუშაობენ: I ჯგუფი – ლაგოდეხის ნაკრძალი, II – ვაშლოვნის დაცული ტერიტორიები, III – ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, IV კოლხეთის ეროვნული პარკი. თითოეული ჯგუფი ასევე უპასუხებს მითითებულ მასალაში დასმულ შეკითხვას (8 წთ). პრეზენტაციისას მასალის წარმოდგენასთან ერთად აუცილებელია რუკის გამოყენება (8 წთ). განხილვისას დასაშვებია სხვა ჯგუფის წევრის მოსაზრების მოსმენაც. II ჯგუფის პრეზენტაციისას საჭიროა ლექსიკონის დახმარებით განიმარტოს სტეპისა და ჭალის მნიშვნელობები.

სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს წარუდგინოს სპეციალური რუკა, რომელიც მათ წარმოდგენას შეუქმნით საქართველოში დაცული ტერიტორიების სიმრავლესა და მრავალფეროვნებაზე. დასაშვებია მინი-ლექციაც (5 წთ). შემდეგ მოსწავლეები წერილობით უპასუხებენ შემაჯამებელ სავარჯიშოებს (6 წთ). პასუხების შეჯერებისთვის 3 წუთი.

საშინაო დავალება: მათთვის ხელმისაწვდომი საშუალებით (ინტერნეტი, წიგნი) მოიპოვონ ინფორმაცია საქართველოს რომელიმე დაცული ტერიტორიის შესახებ და, შეძლებისდაგვარად, წარმოადგინონ ფოტომასალაც. სასურველია, გამოფენის მოწყობაც.

**პასუხები შემაჯამებელი სავარჯიშოებისთვის:**

**სავ. 1:** ა).

**სავ. 2:** შავი კლდის ტბა – ლაგოდეხის ნაკრძალი. პალიასტომის ტბა – კოლხეთის ეროვნული პარკი.

**სავ. 3:** ა) სწორია, ბ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ლეოპარდი ვაშლოვნის დაცულ ტერიტორიებზე ბინადრობს, გ) სწორია, დ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ირემი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ბინადრობს. ე) სწორია, ვ) სწორია: პალიასტომის ტბა უწინ ზღვის ყურე იყო, ზ) სწორია. თ) სწორია: ვაშლოვნის დაცული ტერიტორიები დედოფლისწყაროს რაიონში მდებარეობს, დედოფლისწყარო კი კახეთს ეკუთვნის, ი) შეცდომაა, სწორი პასუხია: ბუნების შესწავლა და მეცნიერული კვლევები ორივეგან დაშვებულია.

## გაკვეთილი 8. დმანისი

**განსავითარებელი უნარები:** მოსმენის, დაკვირვების, აზრის გამოხატვის, მსჯელობის, რუკაზე მუშაობის.

**გაკვეთილის მსვლელობა:** გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ მეცნიერების დარგები. შემდეგ გაეცნონ წყარო ა-ს და მოიფიქრონ, რა ტიპის წყაროა წარმოდგენილი ფოტომასალაზე და მეცნიერების რომელი დარგი სწავლობს მას (7 წთ).

პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი მოკლედ საუბრობს დმანისის აღმოჩენის მნიშვნელობაზე (5 წთ), წყარო ბ და ცნობა 1-ის განხილვისა და მათ ქვეშ მოთავსებული ბულიტიანი სავარჯიშოების შესრულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გამოთქვან ვარაუდი, რატომ წამოვიდნენ უძველესი ადამიანები აფრიკიდან ჩრდილოეთით, ჩრდილო-დასავლეთით? (12 წთ).

მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება, თუ როგორ ახდენენ პალეოანთროპოლოგები თავის ქალების მიხედვით ადამიანის სავარაუდო გარეგნობის აღდგენას. შემდეგ აკვირდებიან "დმანისელ მზიას და ზეზვას" და ადარებენ თანამედროვე ადამიანის გარეგნობას, გამოყოფენ განმასხვავებელ ნიშნებს (10 წთ).

გაკვეთილის ბოლოს ათვალიერებენ სურათზე წარმოდ-

გენილ “დმანისელი ადამიანის” იარაღს და უპასუხებენ კითხვებს (7 წთ). გაკვეთილის მსვლელობისას იყენებენ რუკებს (დანართი № 3, 4).

## გაკვეთილი 9. თრიალეთის კულტურა

**განსავითარებელი უნარები:** წყაროზე მუშაობის, დაკვირვების, მსჯელობის, აზრის გამოხატვის, რუკაზე მუშაობის.

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტსა და წყარო ა-ს. იყენებენ რუკას (დანართი 1) და ეძებენ დასახელებულ ტერიტორიას – ქვემო ქართლი, თრიალეთის ზეგანი (7 წთ).

ყორღანის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ყორღანები განსხვავებული ზომისაა? (5 წთ).

სავარაუდო პასუხების მოსმენის შემდეგ ყურადღებით ეცნობიან წყარო ბ-ს: აღწერენ ყორღანის სამშენებლო მასალას, ასახელებენ ყორღანში ჩატანებულ ნივთებს, ადარებენ თრიალეთის კულტურის მატარებელთა დაკრძალვის ტრადიციას თანამედროვეს. შესაძლებელია გაკეთდეს მცირე ექსკურსი იმდროინდელი ადამიანების რელიგიური წარმოდგენების შესახებ (10 წთ).

წყარო გ-ს დათვალიერების შემდეგ მსჯელობენ, ხელოსნობის რომელი დარგის განვითარებაზე მეტყველებს სურათებზე (2, 3, 4, 5) წარმოდგენილი ნივთები (5 წთ). მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან ვარაუდი, კიდევ რა ინფორმაციის შემცველია წყარო გ (ვ)-ზე წარმოდგენილი ექსპონატი (7 წთ). სავარაუდოდ პასუხების მოსმენის შემდეგ ასრულებენ გაკვეთილში მოთავსებულ სავარჯიშოებს (8 წთ).

**პასუხები ზოგიერთი შემაჯამებელი სავარჯიშოსთვის:**

**სავ. 2:** ბ).

**სავ. 3:** დ).

**სავ. 4:** ა) შეცდომაა, სწორი პასუხია: თრიალეთის ყორღანების გათხრების შედეგად არქეოლოგებმა აღმოაჩინეს შრომის იარაღები, ჭურჭელი და ფუფუნების საგნები, ბ) სწორია, გ) სწორია, დ) სწორია, ე) სწორია.

## გაკვეთილი 10. რა როლს ასრულებდა შავი ზღვა საქართველოსთვის ძველად?

**განსავითარებელი უნარები:** ტექსტზე და წყაროებზე მუშაობის, დაკვირვების, მსჯელობის, აზრის გამოთქმის, დასკვნის გაკეთების, რუკის გამოყენების.

**გაკვეთილის მსვლელობა:** გაკვეთილი იყოფა ორ ნაწილად.

**I გაკვეთილზე** მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ეცნობიან გაკვეთილის ტექსტსა და ცნობა 1-ს (ცნობაზე მუშაობენ კ.ნ.ს. მეთოდით) (15 წთ). შემდეგ ცნობა 1-დან ამოიწერენ დასახელებულ პირთა სახელებს და აჯგუფებენ მათ წარმომავლობის მიხედვით (მაგ: ბერძენი – კოლხი) (10 წთ). მოსწავლეები აკვირდებიან წყარო ა-ს და გამოთქვამენ ვარაუდს, რა ხერხით ეხმარება მედეა იასონს (მასწავლებელმა იკითხოს, თუ იციან რაიმე მედეას საქმიანობის შესახებ) (7 წთ). შემდეგ მსჯელობენ წყარო ა-ს ქვემოთ მოცემული ბულიტიანი სავარჯიშოს შესახებ (10 წთ).

**II გაკვეთილი** იწყება ბ და გ წყაროების განხილვით. მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები ადარებენ აღნიშნულ წყაროებს და გამოყოფენ მათ შორის საერთოს (10 წთ). შემდეგ I გაკვეთილზე განხილული ტექსტისა და წყაროების (ბ, გ) მიხედვით ახასიათებენ კოლხეთის ეკონომიკურ მდგომარეობას, ასრულებენ წყარო გ-ს ქვეშ მოცემულ დავალებას (10 წთ).

მოსწავლეები განაგრძობენ ტექსტზე მუშაობას და ასახელებენ ბერძენთა საქმიანობის სფეროებს. იყენებენ წყარო ე-ს და ტექსტში ეძებენ დასახელებულ ბერძნულ ახალშენებს (7 წთ). შემდეგ ეცნობიან წყარო დ-ს და აჯგუფებენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბერძნულ კოლონიებს. უპასუხებენ ე წყაროს ქვეშ მოთავსებულ ბულიტიან კითხვას (10 წთ).

მოსწავლეები ასრულებენ შემაჯამებელ სავარჯიშოს და აკეთებენ დასკვნებს (10 წთ).

## გაკვეთილი 11. შავი ზღვის დღევანდელი მნიშვნელობა საქართველოსთვის

**განსავითარებელი უნარები:** ჯგუფში მუშაობის, მსჯელობის, საკუთარი აზრის გამოთქმის, ტექსტზე მუშაობის.

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ეცნობიან გაკვეთილის განკუთვნილ მასალას (12 წთ). შემდეგ ავსებენ დაფაზე მომზადებულ ცხრილს (3 წთ).

| ბუნებრივი რესურსი | მნიშვნელობა საქართველოსთვის |
|---|---|
| შავი ზღვა | 1.<br>2.<br>3.<br>4. |

ჩამოთვლილი მნიშვნელობების შესაბამისად კლასი იყოფა 4 ჯგუფად: 1-ლი მსჯელობს ნავსადგურებისა და ტვირთების გადაზიდვის შესახებ, მე-2 ამუშავებს თევზჭერას, მე-3 საუბრობს სუბტროპიკულ კულტურებზე, მე-4 აკეთებს კურორტების ანალიზს. თითოეული დაწვრილებით განიხილავს საკითხს და ასევე უპასუხებს შესაბამის სავარჯიშოს. მეოთხე ჯგუფის წევრებმა უნდა უპასუხონ კითხვას: გარდა ბუნებრივი პირობებისა, კიდევ რა დამატებითი საჭიროებებია გასათვალისწინებელი შავ ზღვაზე დამსვენებელთა მისაზიდად?

ჯგუფებს სამუშაოდ ეძლევათ 12 წთ, პრეზენტაცია 10 წთ.

დასასრულს მთელი კლასი ასრულებს შემაჯამებელ სავარჯიშოს (6 წთ).

## გაკვეთილი 14. ასურელი მამების ნაკვალევზე

**განსავითარებელი უნარები:** დაკვირვების, მსჯელობის, აზრის გამოხატვის, დასკვნის გაკეთების, რუკაზე მუშაობის.

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტსა და წყარო ა-ს, ჩამოთვლიან ყველა მონასტერს (წყარო ა-ს გამოყენებით), რომელიც ასურელ მამებს დაუარსებიათ. ამავე დროს მიუთითებენ საქართველოს რომელ კუთხეშია თითოეული მათგანი (ასრულებენ წყარო ა-ს ქვეშ მოთავსებულ ბულიტიან სავარჯიშოს) (10 წთ).

შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან ტექსტის დარჩენილ

ნაწილს და ჩამოთვლიან, რას აერთიანებდა სამონასტრო კომპლექსი. მასწავლებლის დახმარებით მსჯელობენ, რატომ ცდილობდნენ ბერები დასახლებისაგან შორს ყოფნას, რატომ ხდებოდა წიგნების თარგმნა და გადაწერა ძირითადად მონასტრებში (10 წთ).

მოსწავლეები დაკვირვებით განიხილავენ ფოტომასალას, ადარებენ ასურელ მამათა მიერ დაარსებულ მონასტრებს ერთმანეთს, წყაროებიდან იწერენ ასურელ მამათა სახელებს (7 წთ). ასრულებენ გაკვეთილის ბოლოს არსებულ სავარჯიშოებს (15 წთ).

### გაკვეთილი 15. კლდეში ნაკვეთი დასახლებები

**განსავითარებელი უნარები:** ტექსტზე და წყაროზე მუშაობის, შედარების, წერითი მეტყველების.

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს კლდის ძეგლებზე საუბრით. აღნიშნავს, რომ ტრადიცია უძველესი დროიდან მოდის, როცა ადამიანმა ბუნებრივი მღვიმეებისა და გამოქვაბულების რეკონსტრუქცია მოახდინა (შეიძლება მოიყვანოს მაგალითები) (10 წთ).

შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს, გაეცნონ სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტსა და წყაროებს (იყენებს კ. ნ. ს. მეთოდს) (15 წთ).

თითოეული წყაროს განხილვისას მოსწავლეები იყენებენ რუკებს (დანართ 1-3) და ეძებენ ტერიტორიას, სადაც ეს ძეგლები მდებარეობს (5 წთ). შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ გაკვეთილის ბოლოს მოთავსებულ სავარჯიშოებს. სასურველია, მეორე შემაჯამებელი სავარჯიშო შეასრულონ ვენის დიაგრამის მეთოდით (12 წთ).

მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ საშიშროების შემთხვევაში ამ ტიპის ნაგებობები მთელ მოსახლეობას იტევდა.

საშინაო დავალებად შეასრულონ მოკლე საექსკურსიო ტექსტი კლდეში ნაკვეთ ერთ-ერთ დასახლებაზე.

### გაკვეთილი 17. გზები და მიმოსვლის საშუალებები

**განსავითარებელი უნარები:** წყაროზე მუშაობის, დაკვირვების, მსჯელობის, დასკვნის გამოტანის.

**გაკვეთილის მსვლელობა:** გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ, მაღალმთიან სოფლებში მოგზაურობისას თუ შეუნიშნავთ განსხვავება მთისა და ბარის სოფლის გზებს შორის (5 წთ). მიღებული პასუხების განხილვის შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან წყარო ა და წყარო ბ-ს, ცნობა 1-ს.

მასალის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები ჩამოთვლიან გზების ტიპებს: საცალფეხო, საურმე, სამარხილე; ადარებენ უბორბლო და ბორბლიან ტრანსპორტს და უპასუხებენ კითხვას: რატომ იყენებდნენ უბორბლო ტრანსპორტს ძირითადად მთის სოფლებში? (15 წთ).

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ურემზე და სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან ვარაუდი, რატომ აქვს ურემს ორი ბორბალი (მთაგორიანი რელიეფის პირობებში ორბორბლიანი ურემი უფრო მოხერხებულად გადაადგილდებოდა) მასწავლებელმა ხაზი უნდა გაუსვას, რომ ბუნებრივი გარემო განსაზღვრავს ტრანპორტის ტიპს (10 წთ).

შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან სამდინარო გზებს (წყარო გ) და ჩამოთვლიან მდინარეზე გადასასვლელ საშუალებებს – ფონი, ბოგირი, ბონდის ხიდი, თაღოვანი ხიდი (7 წთ), ასრულებენ გაკვეთილში მოცემულ დავალებას (7 წთ).

### გაკვეთილი 18. საქართველოს ციხესიმაგრეები

**განსავითარებელი უნარები:** წყაროებზე მუშაობის, მოსმენის, დაკვირვების, შედარების, დასკვნის გაკეთების.

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს ტექსტზე და წყარო ა-ზე მუშაობით (5 წთ). შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ პირველ ბულიტიან სავარჯიშოს, კითხულობენ და უსმენენ ერთმანეთს (10 წთ).

მასწავლებლის მითითებით ეცნობიან წყაროებს (ბ, გ, დ, ე, ვ), მსჯელობენ მათ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე და გამოკვეთენ მათ დანიშნულებას: ციხე, ციხე-ქალაქი, ციხე-გალავანი, ციხე-დარბაზი (15 წთ). ბოლოს ასრულებენ გაკვეთილში მოთავსებულ სავარჯიშოებს. ახდენენ მეორე სავარჯიშოს პრეზენტაციას (15 წთ).

**პასუხები პირველი შემაჯამებელი სავარჯიშოსთვის:**

**სავ. 1:** ა) სწორია, ბ) სწორია, გ) სწორია, დ) შეცდომაა, სწორი პასუხია: სნოს ციხე ხევის ღირსშესანიშნაობაა, ე) სწორია, ვ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ყვარლის ციხე დღევანდელი ქალაქის ცენტრში დგას, ზ) სწორია.

### გაკვეთილები 20/21. თბილისი – საქართველოს დედაქალაქი

**განსავითარებელი უნარები:** დაკვირვების, რუკაზე მუშაობის, მსჯელობის, დასკვნების გამოტანის.

**გაკვეთილი 20-ის მსვლელობა:** მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს რუკაზე საქართველოს დედაქალაქის ჩვენებით. შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, რა იციან ქალაქ თბილისის შესახებ (5 წთ.).

ამის შემდეგ მოსწავლეებს ავალებს, დახედონ თბილისის რუკას და განსაზღვრონ, რომელი კუთხეები ესაზღვრება ამ ქალაქს. დავალება სრულდება წერილობით (7 წთ.).

ვ.მ.ვ. (ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე) მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები ეცნობიან წყარო ა-ს. ამის შემდეგ მასწავლებელი ცოდნის შესამოწმებლად იყენებს დახურულ კითხვებს. მოსწავლეები უპასუხებენ წყარო ა-ს ბოლოს მოთავსებულ ბულიტიან სავარჯიშოებს (15 წთ.).

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება თბილისის ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე და სთხოვს, გამოთქვან თავიანთი აზრი, რამ გამოიწვია ასეთი ეთნიკური სიჭრელე თბილისში. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი აქვე მოკლედ მიმოიხილავს იმ რელიგიებს, რომელთა სალოცავებსაც დღეს ვხვდებით ქალაქის ძველ უბნებში. აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ რელიგიური და ეთნიკური განსხვავება არ უნდა იყოს ხალხთა დაპირისპირების მიზეზი და თბილისი ამის ერთ-ერთი მაგალითია (10 წთ.).

**გაკვეთილი 21**

**გაკვეთილის მსვლელობა:** გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, გაეცნონ წყარო გ-ს და მის ფოტომასალას (7 წთ.). შემდეგ მოსწავლეებს

სთხოვს გამოთქვან აზრი, რატომ აღარ არსებობს თავ-შეყრის მოედანი, სადაც ხალხი ერთმანეთს ხვდებოდა და ახალ ამბებს იგებდა? სთხოვს ისაუბრონ იმაზე, რა გზით ვრცელდება ინფორმაცია დღეს. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, გააანალიზონ თანაკლასელის მოსაზრე-ბა და აღნიშნონ, ეთანხმებიან თუ არა მას (7 წთ.).

თბილისის ღირსშესანიშნაობებზე საუბრისას მოს-წავლეები იყენებენ წყარო დ-ს და მის შესაბამის ფოტო-მასალას. წყარო ე-ს გაცნობის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ, რამდენად შეიძლება შეესაბამებოდეს სინამდვილეს ლეგენდა თბილისის და-არსების შესახებ (7 წთ.).

მოსწავლეები აკვირდებიან თბილისის გერბს და მსჯელობენ, როგორ არის ასახული თბილისის გერბზე ისტორიული სინამდვილე, რამდენად საინტერესო ის-ტორიული წყაროა ის (5 წთ.) (მასწავლებელმა უნდა აღნიშნოს, რომ გერბიც ისტორიული წყაროა).

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები ასრულებენ სა-ვარჯიშოებს და მასწავლებლისაგან იღებენ დავალებას (8 წთ.) – შეადგინონ მოკლე საექსკურსიო ტექსტი თბი-ლისზე.

**პასუხები შემაჯამებელი სავარჯიშოებისთვის:**

გოგირდის აბანოებს.

**სავ. 2:** სოლოლაკი, მთაწმინდა, ავლაბარი, დიდუბე-ნაძალადევი, ვერე.

**სავ. 3:** ელმავლებს, კვების პროდუქტებს, სამშენებ-ლო მასალებს.

**სავ. 4:** ა) სწორია, ბ) შეცდომაა, სწორი პასუხია: თბილისი სასმელი წყლით თბილისის ზღვიდან მარაგ-დება, გ) შეცდომაა, სწორი პასუხია: მთაწმინდაზე ას-ვლა მანქანის გარდა ფუნიკულიორითაც შეიძლება, დ) შეცდომაა, სწორი პასუხია: პანთეონი, ე) სწორია, ვ) სწორია, ზ) სწორია, თ) შეცდომაა, სწორი პასუხია: გოგირდის აბანოებს სამკურნალო თვისებები აქვთ, ი) სწორია, კ) სწორია, ლ) სწორია: იგი მდინარე ივრის დაგუბებით შექმნეს.

## გაკვეთილი 22. მტკვარი

**მე-2 ბულიტიანი სავ. წყარო ბ-ს ქვეშ:**

მდინარე შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სა-ტრანსპორტო და ტვირთის გადასაზიდი საშუალება. მდინარეს შეუძლია მოსახლეობა მოამარაგოს საკვები პროდუქტით (თევზით). დიდი მდინარის წყალი, რო-გორც წესი, სასმელად უვარგისია, სამაგიეროდ მისი სარწყავად გამოყენებაა შესაძლებელი. მდინარის მე-შვეობით შესაძლებელია ელექტროენერგიის გამომუშა-ვება. აგრეთვე ის შესაძლოა სანახაობათა და სპორტუ-ლი შეჯიბრებების ადგილადაც იქცეს. ძველად მდინა-რეს წისქვილის ასამუშავებლადაც იყენებდნენ.

## გაკვეთილები 25/26. ქვემო ქართლი

**განსავითარებელი უნარები:** რუკებზე, ტექსტსა და წყა-როებზე მუშაობის, შედარების, დისკუსიის, საკუთარი აზრის გამოთქმის.

**გაკვეთილი 25**

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს ა.კ.რ. (ასოციაციური კავშირების რუკა) აქტი-ვობით და სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, რა იციან ქვემო ქართლის შესახებ. მასწავლებელი დაფის ცენ-ტრში წერს სიტყვა ქვემო ქართლს. რასაც მოსწავლეე-ბი ჩამოთვლიან, მასწავლებელი ყველაფერს ჩამოწერს დაფაზე ამ სიტყვის გარშემო. (5 წთ). ამ აქტივობის შემდეგ მოსწავლეები რუკის დახმარებით დაადგენენ ქვემო ქართლის მოსაზღვრე კუთხეებს და ქვეყნებს: ქვემო ქართლს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება: სამცხე, შიდა ქართლი, თბილისი; აღმოსავლეთიდან კახეთი; სამხრეთ-აღმოსავლეთით აზერბაიჯანი; სამხრეთით სომხეთი; დასავლეთით ჯავახეთი (5 წთ). ამის შემდეგ მასწავლებელი კლასს 4 ჯგუფად ყოფს და თითოეულ მათგანს აძლევს დავალებას, გაეცნონ ქვემო ქართლის მდებარეობას და მოსახლეობას სახელმძღვანელოდან. ქვემო ქართლის რუკის დახმარებით და მისი ლეგენდის გამოყენებით დაადგინონ და ფურცელზე ამოწერონ შემდეგი გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები:

1. ჯგუფმა – ქვემო ქართლის მდინარეები,
2. ჯგუფმა – ტბები და წყალსაცავები,
3. ჯგუფმა – ქედები და მწვერვალები,
4. ჯგუფმა – ქალაქები და ტექსტში ნახსენები სოფლები (15 წუთი).

მასწავლებელი წინასწარ მოამზადებს ცხრილს, რო-მელსაც დაფაზე დახაზავს:

| მდინარეები | ტბები და წყალსაცა-ვები | ქედები და მწვერვა-ლები | ქალაქები და სოფ-ლები |
|---|---|---|---|
| | | | |

ყოველი ჯგუფის მიერ ფურცელზე (თაბახის ან ნე-ბისმიერი ზომის, რომელიც თვალსაჩინოებისათვის გა-მოდგება) შესრულებული დავალება დამაგრდება ჭი-კარტით შესაბამის გრაფაში. თითოეული ჯგუფიდან ერთი მოსწავლე მოახდენს თავისი დავალების პრეზენ-ტაციას (მაგ., ქვ. ქართლის მდინარეები, რომლებსაც საქართველოს ფიზიკურ რუკაზეც აჩვენებს) (20 წთ).

სახლში მიეცემათ წერილობითი დავალება – წყარო ბ-ს ქვეშ ბულიტიანი სავარჯიშოები.

**გაკვეთილი 26**

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი ახალ გაკვე-თილს დაიწყებს მინი-ლექციით: რა არის მეცხოველე-ობა, მემცენარეობა და ბუნებრივი რესურსები, რითაც მდიდარია ქვემო ქართლი (5 წთ).

დანართი №5-ის გამოყენებით დაადგინონ: სოფლის მეურნეობის რომელი დარგებია მნიშვნელოვნად განვი-თარებული ქვემო ქართლში და მათგან რომელია გა-მორჩეული სხვა კუთხეებთან შედარებით. მოსწავლე-ებმა დავალება შეასრულონ წყვილებში (10 წთ).

მოსწავლეები აგრძელებენ ტექსტზე მუშაობას “ვი-ცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე” მეთოდის მიხედვით. მოსწავლეები თანმიმდევრობით ავსებენ სამივე გრა-ფას: “ვიცი“ გრაფაში წერენ ყველაფერს, რაც მათ იციან განსახილველი საკითხის შესახებ ახალი მასა-ლის მიწოდებამდე. ახალი მასალის გაცნობის შემდეგ “ვისწავლე” გრაფაში წერენ იმას, რაც შეიტყვეს ახალი, ხოლო “მინდა ვიცოდე” გრაფაში წერენ იმას, რაც მათ აინტერესებთ.

| ვიცი | მინდა ვიცოდე | ვისწავლე |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

დავალებას მოსწავლეები წყვილებში შეასრულებენ და ბოლოს რამდენიმე მათგანი კლასის წინაშე წარმოადგენს შესრულებულ დავალებას (30 წთ).

საშინაო დავალებად წერილობით მიეცემათ შემაჯამებელი დავალება.

**სავარჯიშოების პასუხები:**

**ბულიტიანი სავ. წყარო დ-ს ქვეშ**

ქვ. ქართლის ტერიტორიაზე გადის სომხეთთან და აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი საავტომობილო და სარკინიგზო გზები.

**პასუხები ზოგიერთი შემაჯამებელი სავარჯიშოსთვის:**

**სავ. 1:** გ)

**სავ. 2:** ვარძია, ხიდისთავი.

**სავ. 3:** ა) სწორია, ბ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ქართველებთან ერთად ცხოვრობენ სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, გერმანელები, გ) სწორია, დ) სწორია, ე) სწორია, ვ) სწორია, ზ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ბეთანიის ტაძარი მდინარე ვერეს ხეობაში დგას, თ) სწორია, ი) შეცდომაა, სწორი პასუხია: ჯანდარის ტბა საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარეობს.

## გაკვეთილები 27/28. კახეთი

**განსავითარებელი უნარები:** რუკებზე, ტექსტსა და წყაროებზე მუშაობის, შედარების, დისკუსიის, საკუთარი აზრის გამოთქმის.

**გაკვეთილი 27**

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მოსწავლეებისადმი თხოვნით, დაასახელონ ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ფოროსმანის მშობლიური კუთხე (2 წთ.). პასუხების მიღების შემდეგ საქართველოს რუკის დახმარებით განსაზღვრავენ ჰორიზონტის მხარეს, რომელიც მათ საკუთარი დასახლებული პუნქტიდან კახეთის მიმართულებით გადაადგილების საშუალებას მისცემთ (2 წთ.). შემდეგ კვლავ რუკის გამოყენებით წერილობით ასრულებენ ქვეთავი “მდებარეობის” ქვემოთ მოცემულ 1-ლ ბულიტიან სავარჯიშოს, კერძოდ ასახელებენ კახეთის მოსაზღვრე კუთხეებსა და ქვეყნებს (6 წთ.). პრეზენტაციის შემდეგ (3 წთ.) მოსწავლეები ინდივიდუალურად ეცნობიან ქვეთავს “მდებარეობა”, წყარო ა-ს (5 წთ.) და კონტურულ რუკაზე მასწავლებლის დახმარებით აღნიშნავენ კახეთის მნიშვნელოვან ფიზიკურ ერთეულებს (ქვეთავის “მდებარეობა” ქვეშ მოთავსებული მე-2 ბულიტიანი სავარჯიშო) (8 წთ.), რის შემდეგაც კვლავ რუკის დახმარებით პასუხობენ წყარო ა-ს ქვეშ მოთავსებული 1-ლ სავარჯიშოს (3 წთ.) და წერილობით ასრულებენ მე-2 სავარჯიშოს (3 წთ). პრეზენტაციის (2 წთ.) შემდეგ ინდივიდუალურად განიხილავენ ქვეთავს “მოსახლეობა” და წყარო ბ-ს (8 წთ.).

საშინაო დავალება – რის გაგება გსურთ კახეთის შესახებ?

**კომენტარი მასწავლებლებისათვის:**

ირანში გადასახლებული ფერეიდნელი ქართველების შესახებ მცირეოდენი ინფორმაციის მიწოდება – ფერეიდანი ირანის შუაგულში მდებარე ერთ-ერთი პროვინციაა და იქ მე-17 საუკუნეში საქართველოდან გადასახლებული ქართველები ცხოვრობენ. კომპაქტურად დასახლების წყალობით მათ დღემდე შეინარჩუნეს ქართული ენა და ეროვნული თვითშეგნება. ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდა თურქეთში, აზერბაიჯანში.

**გაკვეთილი 28**

**გაკვეთილის მსვლელობა:** სასურველია, მე-2 გაკვეთილი დაიწყოს საშინაო დავალების განხილვით, ვინაიდან იგი მოსწავლეთა ინტერესს, მზაობას გამოხატავს კახეთის შესახებ ინფორმაციის მისაღებად (შესაძლებელია, წარიმართოს დისკუსიის ან კითხვა-პასუხის რეჟიმში) (8 წთ.). ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები ინდივიდუალურად ეცნობიან ქვეთავს “მეურნეობა” და წყარო გ-ს (5 წთ.), რის შემდეგაც მსჯელობენ წყაროს ქვემოთ მოცემულ კითხვაზე (3 წთ.). მასწავლებლის მითითებით ეცნობიან კახეთის ღირსშესანიშნაობებს (5 წთ.), რის შემდეგაც წერილობით ასრულებენ ბულიტიან და შემაჯამებელ სავარჯიშოებს (4 წთ.). დასასრულს, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, თითოეულმა მათგანმა თავი წარმოიდგინოს ექსკურსიამძღოლად და ჩამოთვალოს, რას აჩვენებდა, დაათვალიერებინებდა უცხოელ ტურისტებს ან თანატოლებს კახეთის გასაცნობად (10 წთ.) (სამუშაო სრულდება წერილობით). დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები აწყობენ თავიანთი ნაფიქრალის პრეზენტაციას (10 წთ.)

**პასუხები ზოგიერთი შემაჯამებელი სავარჯიშოსთვის:**

**სავ. 1.** სამშვილდის.

**სავ. 2.** ყვარელი.

**სავ. 3.** ბ).

**სავ. 4.** გ).

**სავ.** 5. ა) შეცდომაა, სწორი პასუხია: მდინარეები იორი და ალაზანი მინგეჩაურის წყალსაცავში ჩედინება, ბ) სწორია, გ) სწორია, დ) შეცდომაა, სწორი პასუხია: კახეთი საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, ე) სწორია, ვ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ყვარელში ილია ჭავჭავაძე დაიბადა, ზ) სწორია, თ) სწორია, ი) სწორია, კ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ბოდბის მონასტერში წმინდა ნინოა დაკრძალული.

## გაკვეთილები 29/30. თუშეთი

**განსავითარებელი უნარები:** ტექსტსა და რუკაზე მუშაობის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისა და არგუმენტირებული მსჯელობის, საკუთარი აზრის გამოთქმისა და სხვისი მოსაზრების მოსმენის, ჯგუფში მუშაობის.

**გაკვეთილი 29**

**გაკვეთილის მსვლელობა:** სასურველია, მასწავლებელმა გაკვეთილი დაიწყოს ინტერაქტიული მეთოდებიდან ერთ-ერთის, კერძოდ, ასოციაციური კავშირების რუკის (ა.კ.რ.) საშუალებით. ამისთვის დაფის ან ფურცლის ცენტრში, სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, დაწეროს სიტყვები: ცხვარი, ნაბადი, ხალიჩა-ფარდაგი ან შესთავაზოს მათი სურათები (1 წთ.). ამის შემდეგ მოისმინოს მოსწავლეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ამ სიტყვების კავშირის შესახებ. მასწავლებელი იყენებს ღია ტიპის კითხვებს (ჰიპოთეტურს – რას ფიქრობთ? მასტიმულირებელს – რა აზრის ხართ? შემათანხმებელს – ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას?) (6

წთ.). შემდეგ მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: გაინტერესებთ, საქართველოს რომელ კუთხესთან შეიძლება თქვენი ნაზრევის დაკავშირება? ეს გახლავთ თუშეთი (1 წთ.). მისი უკეთ გაცნობისა და ადგილმდებარეობის დადგენის მიზნით მოსწავლეები აკვირდებიან თემის დასაწყისში მოთავსებულ საქართველოს სქემატურ რუკას (2 წთ.), მოიმარჯვებენ მათთვის სასურველი ფერის ფანქარს და კონტურულ რუკაზე აფერადებენ თუშეთს (3 წთ.) (ამით სრულდება მუშაობა პირველ ბულიტიან სავარჯიშოზე).

ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ ინდივიდუალურად ეცნობიან ქვეთავს "მდებარეობა" (3 წთ.) და თუშეთის სქემატური რუკის გამოყენებით ავსებენ მასწავლებლის მიერ დაფაზე წინასწარ მომზადებულ ცხრილს (7 წთ.) (მე-2 ბულიტიანი სავარჯიშო).

ცხრილი №1

| ჰორიზონტის მხარე | თუშეთის მოსაზღვრე გეოგრაფიული ობიექტები |
|---|---|
| 1. ჩრდილოეთი<br>2. სამხრეთი<br>3. აღმოსავლეთი<br>4. დასავლეთი | |

ამის შემდეგ ინდივიდუალურად ეცნობიან წყარო ა-ს (4 წთ.), იყოფიან 3 ჯგუფად. I ჯგუფს ანალიზისთვის ეძლევა 1-ლი, II ჯგუფს – მე-2, III ჯგუფს – მე-3 და მე-4 სურათები (5 წთ.), რის შემდეგაც აკეთებენ პრეზენტაციას (6 წთ.).

საშინაო დავალებად რვეულებში იხაზავენ მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებულ ცხრილს (5 წთ.), რომელიც ითვალისწინებს ტექსტიდან თუშეთის ბუნებრივი პირობების ამოწერასა და საკუთარი აზრის გამოხატვას.

ცხრილი №2

| ბუნებრივი პირობები | აადვილებს თუ აძნელებს მოსახლეობის არსებობა-საქმიანობას? |
|---|---|
| | |

**გაკვეთილი 30**

**გაკვეთილის მსვლელობა:** გაკვეთილი დაიწყება საშინაო დავალების განხილვით, მოხდება აზრთა შეჯერება (ღია ტიპის კითხვის საშუალებით) (5 წთ.) და მასწავლებლის თხოვნით ეცნობიან ქვეთავს "მოსახლეობა", წყარო ბ-ს და აკვირდებიან სურათებს (7 წთ.). თითოეული ჯგუფი აკეთებს ერთი სურათის პრეზენტაციას. მე-3 ჯგუფი ასევე უპასუხებს ამ ქვეთავის მე-2 ბულიტიან სავარჯიშოს (6 წთ.), რის შემდეგაც ინდივიდუალურად ასრულებენ ქვეთავის 1-ლ ბულიტიან სავარჯიშოს (4 წთ). შემდეგ ეცნობიან ქვეთავებს: მეურნეობა და ღირსშესანიშნაობები (6 წთ.). ამის შემდეგ I ჯგუფი მუშაობს წყარო გ-ზე, II – დ-ზე, III – ე-ზე და აკეთებენ პრეზენტაციას (6 წთ.). ამის შემდგომ მოსწავლეები ინდივიდუალურად წერილობით უპასუხებენ: ქვეთავის "მოსახლეობა" მე-3 ბულიტიან სავარჯიშოს, შემაჯამებლის მე-3, 4, 5-ს (7 წთ.). პასუხების შეჯერებისთვის 2 წთ.

**მე-3 ბულიტიანი სავ. წყარო ბ-ს ქვეშ:** არღუნის ხეობა, სნოს ხეობა,

**ბულიტიანი სავ. წყარო გ-ს ქვეშ:** საოჯახო სასტუმრო იმავე შენობაში (სახლში) მდებარეობს, სადაც თავად ოჯახის წევრები ცხოვრობენ. სწორედ ისინი ზრუნავენ სტუმრების საკვებით და სასტუმრო პირობების უზრუნველყოფისთვის. დიასახლისი ამზადებს საუზმეს, სადილს, ვახშამს. დანარჩენები ალაგებენ სტუმრების ოთახებს და ა. შ.

**პასუხები ზოგიერთი შემაჯამებელი სავარჯიშოსთვის:**

**სავ. 3:** მთავარ ალაზანს.

**სავ. 4:** კახეთში, ახმეტის რაიონში, ალვანის ველზე; ზემო ალვანი.

**სავ. 5:** ა) შეცდომაა, სწორი პასუხია: თუშეთი კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ კალთებზე მდებარეობს, ბ) სწორია, გ) სწორია, ე) შეცდომაა, სწორი პასუხია: ზამთარში თუშეთში მოხვედრა მხოლოდ ვერტმფრენით შეიძლება, ვ) შეცდომაა, სწორი პასუხია: აბანოს უღელტეხილით თუშეთში გადასვლა კახეთიდან შეიძლება, ზ) სწორია, თ) სწორია, ი) შეცდომაა, სწორი პასუხია: ორეთის ტბა სოფელ ომალოსთან მდებარეობს, კ) სწორია.

## გაკვეთილი 31/32 ფშავი

**ბულიტიანი სავ. წყარო ა-ს ქვეშ:** მურა დათვი, კავკასიური ირემი.

**პასუხები ზოგიერთი შემაჯამებელი სავარჯიშოსთვის:**

**სავ. 3:** ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი ჩარგალში, ვაჟას წყარო, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია სოფელ მაღაროსკარში.

**სავ. 4:** ჩარგალი, მაღაროსკარი, უკანაფშავი.

**სავ. 5:** ა) შეცდომაა, სწორი პასუხია: ფშავის მოსახლეობის კლებასთან ერთად მცირდება სოფლების რაოდენობაც, ბ) სწორია, გ) შეცდომაა, სწორი პასუხია: სახნავ-სათესი მიწის სიმწირის გამო ფშავში ბაღვენახებს არ აშენებენ, დ) სწორია, ე) სწორია, ვ) შეცდომაა, სწორი პასუხია: წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია სოფელ მაღაროსკარში მდებარეობს, ზ) სწორია, თ) სწორია.

## გაკვეთილები 33/34. ხევსურეთი

**განსავითარებელი უნარები:** რუკებზე, ტექსტსა და წყაროებზე მუშაობის, შედარების, დისკუსიის, საკუთარი აზრის გამოთქმის.

**გაკვეთილი 33**

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი გაკვეთილს დაიწყებს აქტივობით – გონებრივი იერიში. დაწერს დაფაზე სიტყვა ხევსურეთს და სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ რა იციან და რა წაუკითხავთ ხევსურეთის შესახებ. მოსწავლეთა პასუხებს მასწავლებელი წერს დაფაზე სიტყვა ხევსურეთის გარშემო (5 წუთი). ამის შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ წიგნიდან ტექსტს ხევსურეთის მდებარეობის შესახებ. საქართველოს ფიზიკური რუკისა და სახელმძღვანელოში მოცემული ხევსურეთის რუკის დახმარებით ჩამოთვლიან ხევსურეთის მოსაზღვრე კუთხეებსა და ქვეყანას (15 წუთი).

ხევსურეთის მოსაზღვრე კუთხეებია: ხევი, მთიულეთი, ფშავი, თუშეთი. ქვეყანა – რუსეთი (ინგუშეთი, ჩეჩნეთი)

გაკვეთილი გრძელდება წყარო ა-ზე მუშაობით, რომლის მიხედვითაც მოსწავლეები აღწერენ ხევსურეთის ბუნებას (10 წუთი).

გაეცნობიან წყარო ბ-ს ხევსურეთის მოსახლეობას. მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს წყაროზე დაყრდნობით, როგორ ეხამება ხევსურეთის სოფლები გარემოს (5 წუთი).

გაკვეთილის ბოლო ნაწილი დაეთმობა შედარებას – მოსწავლე ადარებს ერთმანეთს ხევსურეთისა და თავისი საკუთარი საცხოვრებელი ადგილის ბუნებრივ პირობებს. ამისათვის მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ვენის დიაგრამა. ვენის დიაგრამა შედგება ორი გადამკვეთი რგოლისგან და იძლევა შედარებითი ანალიზის საშუალებას. წრეების გადაკვეთის სექტორში მოსწავლეები ჩამოწერენ მსგავსებას, ხოლო იქ, სადაც წრეები არ კვეთენ ერთმანეთს განმასხვავებელ ნიშნებს (10 წუთი).

**გაკვეთილი 34**

**გაკვეთილის მსვლელობა:** გაკვეთილის დარჩენილი ნაწილები – ხევსურეთის მეურნეობა და ღირსშესანიშნაობები მასწავლებელს შეუძლია დაამუშავებინოს კითხვა-ნიშანთა სისტემით (კ.ნ.ს.). მოსწავლე ტექსტის კითხვისას ფანქრით მონიშნავს იმ ინფორმაციას, რომელიც მისთვის ნაცნობია, ნიშანს "პლუსი" (+) დასვამს მისთვის ახალ ინფორმაციასთან, ხოლო კითხვის ნიშანს (?) თუ ინფორმაცია მისთვის გაუგებარია ან არ ეთანხმება. შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს: რა იყო ნაცნობი ტექსტში? ახალი რა შეისწავლეთ? რა იყო გაუგებარი ან რას არ დაეთანხმეთ? (20 წუთი). მასწავლებელი შემაჯამებელი დავალების მე-2 კითხვაზე – შენი აზრით, რამ განაპირობა ხევსურეთის მოსახლეობის ბარში ჩასახლება? – გამართავს საკლასო დისკუსიას. დისკუსია ხელს შეუწყობს ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: აქტიური მოსმენა, საკუთარი აზრის გამოთქმა და არგუმენტაცია, მსჯელობა, განსხვავებული აზრის გაზიარების უნარი (20 წუთი).

წყარო დ-ს ქვემოთ მოცემულ ბულიტიან სავარჯიშოებს, რომლებიც კონტურულ რუკაზე მუშაობას მოითხოვს, მასწავლებელი მოსწავლეებს სახლში სამუშაოდ მისცემს.

ასევე წერილობით საშინაო დავალებად მიეცემათ შემაჯამებელი დავალება-კითხვები.

**მე-3 ბულიტიანი სავ. წყარო ე-ს ქვეშ:**

ტბები და ჭაუხები – სამხრეთ-დასავლეთით,

სოფელი შატილი – ჩრდილო-აღმოსავლეთით,

სოფელი ლებაისკარი – სამხრეთით.

**პასუხები ზოგიერთი შემაჯამებელი სავარჯიშოსთვის:**

**სავ. 3.** ჭაუხი.

**სავ. 4.** ბ)

**სავ. 5.** ა) სწორია, ბ) შეცდომაა, სწორი პასუხია: არხოტისწყალი და არღუნი პირიქითა ხევსურეთის მდინარეებია, გ) შეცდომაა, სწორი პასუხია: აბუდელაურის ტბები დამდნარი ყინულისგან წარმოიქმნა. დ) სწორია, ე) სწორია, ვ) სწორია, ზ) შეცდომაა, სწორი პასუხია: დიდთოვლობის გამო ხევსურეთის საავტომობილო გზა მხოლოდ ზაფხულობით მოქმედებს, თ) შეცდომაა, სწორი პასუხია: როშკის ლოდები მთიდან მყინვარმა ჩამოიტანა. ი) შეცდომაა, სწორი პასუხია: ჭაუხები კლდოვანი მთებია.

## გაკვეთილები 35/36. ხევი

**განსავითარებელი უნარები:** სხვადასხვა სახით მიწოდებული ინფორმაციის დამუშავების, შედარების, მსჯელობის, წყაროებსა და რუკებზე მუშაობის, დასკვნის გამოტანის.

**გაკვეთილი 35**

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები ათვალიერებენ ყველა ფოტოსურათს (2 წთ.), რის შემდეგაც კითხვაზე – ფოტოების განხილვის შემდეგ როგორ დაახასიათებდით ხევს? – გამოთქვამენ შთაბეჭდილებებს (3 წთ.) (თითოეულის ნააზრევი, სასურველია, ჩამოიწეროს დაფაზე), მდებარეობის დადგენის მიზნით კითხულობენ ქვეთავს – მდებარეობა და ეცნობიან რუკას (5 წთ.), რის შემდეგაც წერილობით ასრულებენ წყარო ა-ს ქვეშ მოთავსებულ 1-ლ ბულიტიან სავარჯიშოს (5 წთ.). მასწავლებლის მითითებით ეცნობიან წყარო ა-ს (3 წთ.), რის მიხედვითაც რვეულში წერილობით ახასიათებენ ხევის ბუნებას (5 წთ.) (პრეზენტაცია 3 წთ.). კვლავ ყურადღებით ათვალიერებენ რუკას და პასუხობენ წყარო ა-ს ქვეშ მოთავსებულ მე-2 ბულიტიან სავარჯიშოს, რის შემდეგაც კითხულობენ ქვეთავს – მოსახლეობა და წყარო ბ-ს (6 წთ.). რუკაზე მოძებნიან სოფელ ჯუთას და დაბა სტეფანწმინდას და შეასრულებენ აღნიშნული წყაროს ქვეშ მოთავსებულ ბულიტიან სავარჯიშოს (4 წთ.). (მასწავლებელს შეუძლია სოფელ ჯუთაზე მიაწოდოს ინფორმაცია, რომ იგი დღეისათვის, გუდაურთან ერთად, ყველაზე მაღლა, 2200 მ-ზე მდებარე მუდმივი სამოსახლოა. ასევე შესაძლებელია ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. (2 წთ.)

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს, რომ კუთხე ტურიზმისა და მთამსვლელობის ცნობილი ცენტრია. თუ ვინმეს ეს ადგილები მონახულებული აქვს, შეუძლია, პირადი განცდების, შთაბეჭდილებების გაზიარება თანაკლასელებისთვის (3 წთ.).

საშინაო დავალების კითხვას იწერენ რვეულში – როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება გაკეთდეს, რომ ხევის სოფლები არ დაიცალოს ზამთარში? მასწავლებელი მიანიშნებს საყოფაცხოვრებო პირობებზე, მიმოსვლის საშუალებებზე და ა. შ. (მითითებისთვის 2 წთ.).

**გაკვეთილი 36**

**გაკვეთილის მსვლელობა:** გაკვეთილი იწყება საშინაო დავალების განხილვით (7 წთ.), რის შემდეგაც მოსწავლეები ჩამოთვლიან ხევის ბუნების თავისებურებებს (3 წთ.) და ეცნობიან ამ პირობებისთვის დამახასიათებელ მეურნეობას (ქვეთავი – მეურნეობა) (5 წთ.) და პასუხობენ ბულიტიან სავარჯიშოს (3 წთ.). ხევის ღირსშესანიშნაობების გაცნობის მიზნით ინდივიდუალურად კითხულობენ წყარო გ-ს, დასახელებულ ობიექტებს ეძებენ რუკაზე (6 წთ.), რის შემდეგაც მსჯელობენ წყაროს ქვეშ მოთავსებული ბულიტიანი სავარჯიშოს სავარაუდო პასუხებზე (6 წთ.). მსჯელობის დასრულების შემდეგ წერილობით ასრულებენ შემაჯამებელ სავარჯიშოებს (10 წთ.).

საშინაო დავალება – 1. მოგზაურობა ხევში, 2. ცნობილი მოხევეები

(ამოირჩიონ და წარმოადგინონ მცირე თხზულების სახით) (მითითებისთვის 2 წთ.).

**პასუხები ზოგიერთი შემაჯამებელი სავარჯიშოს-თვის:**

**სავ. 1:** ტყარშეთი, მყინვარწვერი.

**სავ. 2:** თერგი, სნოსწყალი, დევდარაკი.

**სავ. 3:** გ)

**სავ. 4:** ა) სწორია, ბ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ტყარშეთის მთა თავად არის ჩამქრალი ვულკანი, გ) სწორია, დ) სწორია, ე) შეცდომაა, სწორი პასუხია: ხევის ადგილობრივ მოსახლეობას "მოხევეებს" უწოდე-ბენ, ვ) სწორია, ზ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ქეთერი-სი თრუსოს ხეობაში არსებული მინერალური წყლების სახელწოდებაა, თ) სწორია, ი) სწორია, კ) სწორია.

## გაკვეთილები 37/38. მთიულეთი

**განსავითარებელი უნარები:** დაკვირვების, მსჯელო-ბის, შედარების, ანალიზის, რუკებსა და ტექსტზე მუ-შაობის, დასკვნის გამოტანის, ინდივიდუალურად და წყვილში მუშაობის.

**გაკვეთილი 37**

**გაკვეთილის მსვლელობა:** გაკვეთილის დაწყებისას, სა-სურველია, მასწავლებელს მომზადებული ჰქონდეს სა-ქართველოს ფიზიკური და კონტურული რუკები, ხო-ლო მოსწავლეებს – კონტურული. მასწავლებელი მათ აცნობებს, რომ შეისწავლიან საქართველოს კუთხეს – მთიულეთს, რომელიც გუდამაყრისა და ლომისის ქე-დებს შორის მდებარეობს. მასწავლებლისავე დახმარე-ბით (გეოგრაფიულ ობიექტებს აჩვენებს რუკაზე) მოს-წავლეები კონტურულ რუკებზე სასურველი ფერით დაიტანენ მთიულეთს (5 წუთი).

რუკის დახმარებით გაარკვევენ მთიულეთის მო-საზღვრე კუთხეებს: ხევსურეთი, ფშავი, შიდა ქართლი, ხევი (3 წუთი).

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ინდივიდუა-ლურად გაეცნონ წყარო ა-ს, (5 წუთი), რის შემდეგაც მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ წყარო ა-ს ქვემოთ მოცემულ ბულიტებზე (5 წუთი).

ჩამოთვლილი მდინარეებიდან მთიულეთს არ ეკუთ-ვნის: არხოტისწყალი, ხევსურეთის არაგვი.

მოსწავლეები აგრძელებენ მთიულეთის მოსახლე-ობის შესახებ ტექსტზე ინდივიდუალურად მუშაობას, ხოლო წყარო ბ-ს განხილვის შემდეგ (10 წუთი) წერი-ლობით აღწერენ სოფელ ქვეშეთის პეიზაჟს (5 წუთი).

გაკვეთილის ბოლო ეტაპზე გაიმართება საკლასო მსჯელობა თემაზე (15 წუთი), თუ როგორ აუმჯობე-სებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს გზის გაყვანა. მასწავლებლი მოისმენს რამდენიმე მოსწავლის არგუმენტირებულ პასუხს და შეაფასებს მათ. წყარო გ-ს მონაცემებისა და საქართველოს რუკის გამოყენე-ბით მოსწავლეები განსაზღვრავენ, რომ საქართველოს სამხედრო გზა გადის: შიდა ქართლზე, მთიულეთზე და ხევზე.

საშინაო დავალებად მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, T სქემის მეთოდის გამოყენებით, წერილობით ჩამოაყალიბონ, რა დადებითი და უარყოფითი შედეგე-ბი შეიძლება მოჰყვეს გზების გაყვანას.

**გაკვეთილი 38**

**გაკვეთილის მსვლელობა:** სასურველია, გაკვეთილი და-იწყოს საშინაო დავალების განხილვითა და შეფასებით (10 წუთი).

გაკვეთილი გრძელდება მთიულეთის მეურნეობისა და ღირსშესანიშნაობების შესწავლით. მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს (10 წუთი).

შემაჯამებელ ფაზაში მოსწავლეები უპასუხებენ კითხვებს, რომლებიც მოცემულია სახელმძღვანელო-ში გაკვეთილის ბოლოს (1, 2, 3 კითხვები) (10-15 წუ-თი), ხოლო რვეულებში წერილობით შეასრულებენ მე-4 კითხვას.

**მე-2 ბულიტიანი სავ. წყარო ა-ს ქვეშ:** არხოტის წყა-ლი, ხევსურეთის არაგვი.

**მე-2 ბულიტიანი სავ. წყარო გ-ს ქვეშ:** საქართველოს სამხედრო გზა გადის ხევზე.

**ბულიტიანი სავ. წყარო დ-ს ქვეშ:** გუდამაყრის ჩან-ჩქერი, ლომისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია ქვე-მო მლეთაში, გუდაური.

**პასუხები ზოგიერთი შემაჯამებელი სავარჯიშოს-თვის:**

**სავ. 3:** გუდაური.

**სავ. 4:** ა) შეცდომაა, სწორი პასუხია: მთიულეთი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით მდებარეობს; მთიულეთი მდებარეობს გუდამაყრისა და ლომისის ქე-დებს შორის. თავად გუდამაყრის ქედი კი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით არის, ბ) სწორია, გ) შეც-დომაა, სწორი პასუხია: უწინ საფოსტო ცხენების გა-მოსაცვლელი სადგური გუდაური იყო, დ) სწორია, ე) სწორია, ვ) შეცდომაა. სწორი პასუხია: მთიულების ძი-რითადი სამეურნეო საქმიანობა მეცხოველეობაა; ხორ-ბლეული კი მცირე რაოდენობით მოჰყავთ, ზ) სწორია.

## გაკვეთილი 39/40. იმერეთი

**განსავითარებელი უნარები:** რუკაზე მუშაობის, მასა-ლის დამუშავების, შედარების, არგუმენტირებული მსჯელობის.

**გაკვეთილი 39**

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი საქართვე-ლოს ფიზიკურ რუკაზე მოსწავლეებს აჩვენებს ლიხის ქედს და მინი-ლექციით გააცნობს ლიხსიქითა მხარეს, იმიერს ანუ იმერეთს (3 წუთი). შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს, გაეცნონ ქვეთავს – მდებარეობა და წყარო ა-ს და დაეხმარონ იმერეთის საზღვრების დასახელე-ბაში.

ასევე წერილობით ასრულებენ წყაროს ქვეშ მო-თავსებულ 1-ლ ბულიტიან სავარჯიშოს, რომელიც მოსაზღვრე კუთხეების დასახელებას გულისხმობს (6 წუთი). ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლე-ები წყარო ა-ში განხილულ თითოეულ გეოგრაფიულ ობიექტს აჩვენებენ რუკაზე (მასწავლებლის დახმარე-ბით), ასახელებენ კუთხის ყველაზე გრძელ მდინარესა და იმ ქალაქებს, რომლებიც ამ მდინარის ნაპირებზეა გაშენებული (8 წუთი). წყარო ა-დან მიღებული ინფორ-მაციის საფუძველზე ახასიათებენ იმერეთის ბუნებას (5 წუთი).

იმერეთის მოსახლეობისა და სამოსახლო ადგილე-ბის გაცნობის მიზნით კითხულობენ ქვეთავს – მოსახ-ლეობა და წყაროებს ბ და გ (6 წუთი), რის შემდეგაც ორივე წყაროს გამოყენებით ასახელებენ (დაფაზე ჩა-მოწერენ) იმერეთის ხუთ მდინარეს (1-ლი ბულიტია-ნი წყარო ბ-ს ქვეშ) და აჩვენებენ რუკაზე (საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლის დახმარებით) (5 წუთი). ამის შემდეგ მასწავლებლის თხოვნით, დაასახელებენ

ქალაქს, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა მოუტანა მადნის მოპოვებამ (3 წუთი).

საშინაო დავალება – წყარო ბ-ს ქვეშ მე-2 ბულიტიანი სავარჯიშო – იმერეთის რომელი ღირსშესანიშნაობის ნახვას მოისურვებდი ყველაზე მეტად და რატომ? (მითითებისთვის 2 წუთი).

**გაკვეთილი 40**

**გაკვეთილის მსვლელობა:** გაკვეთილი დაიწყება საშინაო დავალების განხილვით (8 წუთი). რადგან საკითხი ღირსშესანიშნაობებს ეხებოდა, უმჯობესია, სამუშაო ამ ქვეთავის განხილვით გაგრძელდეს (10 წუთი). სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს გელათზე, კარსტულ მღვიმეებსა და მოწამეთას მონასტერზე მინილექცია შესთავაზოს, ხოლო კაცხის სვეტის განხილვისას საბერძნეთში არსებულ "მეტეორაზეც" მიაწოდოს ინფორმაცია (6 წუთი) (თუ მოსწავლეს უნახავს რომელიმე მათგანი უნდა მიეცეს შთაბეჭდილებების გაზიარების შესაძლებლობა 4 წთ). მასწავლებელი აგრძელებს – ასეთი ღირსშესანიშნაობების გაცნობის შემდეგ ალბათ გაინტერესებთ რა საქმიანობით არის დაკავებული იქაური მოსახლეობა? ამისთვის ეცნობიან ქვეთავს – მეურნეობა და წყარო დ-ს (6 წუთი) და შემდეგ ასრულებენ შემაჯამებელ სავარჯიშოებს (8 წუთი).

საშინაო დავალება – ერთი კვირის შემდეგ უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია მშობლიური კუთხეების ღირსშესანიშნაობების შესახებ.

შეფასებისას, სასურველია, ყურადღება მიექცეს რუკაზე მუშაობის, ტექსტის დამუშავების, ანალიზის უნარს, საკუთარი მოსაზრების წარმოჩენისა და სხვისი აზრის გაზიარების შესაძლებლობას.

**პასუხები შემაჯამებელი სავარჯიშოებისთვის:**

**სავ. 1:** ხაშური

**სავ. 2:** გელათი, უბისა, მოწამეთა.

**სავ. 3:** ყვირილა, რიონი, ძირულა, ტყიბული, წყალწითელა.

**სავ. 4:** ა) სწორია, ბ) სწორია, გ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ტყიბული ქალაქია, დ) შეცდომაა, სწორი პასუხია: სოფელ შროშაში ჭურჭელს თიხისგან ამზადებენ ე) სწორია, ვ) სწორია, ზ) სწორია, თ) სწორია, ი) სწორია: იმერეთის დაბლობი კოლხეთის აღმოსავლეთი ნაწილია. კ) სწორია.

## გაკვეთილები 41/42. სამეგრელო

**განსავითარებელი უნარები:** საკუთარი აზრის გამოთქმის, მსჯელობის, რუკასა და წყაროებზე მუშაობის.

**გაკვეთილი 41**

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს – საქართველოს კიდევ ერთი კუთხეა სამეგრელო. მისი ადგილმდებარეობის დასადგენად გაეცანით ქვეთავს – მდებარეობა, გამოიყენეთ რუკა და უპასუხეთ 1-ლ ბულიტიან სავარჯიშოს (8 წთ.). შესრულებული დავალების შემოწმების (4 წთ.) შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან წყარო ა-ს, ათვალიერებენ ფოტომასალას, უპასუხებენ ქვემოთ მოცემულ სავარჯიშოს და დასახელებულ ობიექტებს აჩვენებენ რუკაზე (10 წთ.).

სამეგრელოს მოსახლეობისა და მისი თავისებურებების გასაცნობად კითხულობენ ქვეთავს "მოსახლეობა" (5 წთ.). სამეგრელოს ზოგიერთი მნიშვნელოვანი დასახლებული ადგილის გაცნობა ხდება წყარო ბ-ს საშუალებით (10 წთ.), რის შემდეგაც რუკის დახმარებით უპასუხებენ წყაროს ქვეშ მოთავსებულ სავარჯიშოს (4 წთ.).

საშინაო დავალება – უფროსების დახმარებით მოიძიეთ საინტერესო მასალა სამეგრელოს ბუნების, მოსახლეობისა და მათი საქმიანობის შესახებ.

**გაკვეთილი 42**

**გაკვეთილის მსვლელობა:** სასურველია, გაკვეთილი დაიწყოს საშინაო დავალების განხილვით (8 წთ.). მასწავლებელი მოსწავლეებს მიუთითებს, რომ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გაეცნონ ქვეთავს მეურნეობა და წყარო გ-ს (8 წთ.). სამუშაოს დასრულების შემდეგ დაფაზე ჩამოწერონ მეურნეობის ის დარგები, რომლებიც კუთხის დახასიათების საშუალებას იძლევა (4 წთ.). მასწავლებელი მიმართავს კლასს – სამეგრელოში მრავალი ღირსშესანიშნაობაა. წყარო დ-ს და ფოტომასალის საშუალებით თქვენ გაეცნობით ზოგიერთ მათგანს (10 წთ.). შემდეგ მოსწავლეები წერილობით ასრულებენ შემაჯამებელ სავარჯიშოს (5 წთ.). მასწავლებელი სვამს კითხვას – ექსკურსიამძღოლი რომ იყოთ, რას აჩვენებდით სტუმარს სამეგრელოს გასაცნობად? მოსწავლეები ჩანაწერს აკეთებენ რვეულში (7 წთ.), შემდეგ კი აწყობენ თავიანთი ნაშრომის მოკლე პრეზენტაციას (3 წთ.).

**პასუხები შემაჯამებელი სავარჯიშოებისთვის:**

**სავ. 1:** ცხენისწყალი, ტეხური, აბაშა, ხობი, ენგური.

**სავ. 2:** გ).

**სავ. 3:** სამტრედია, ზესტაფონი.

**სავ. 4:** დ).

**სავ. 5:** ა) სწორია, ბ) შეცდომაა, სწორი პასუხია: სტრაბონი ბერძენი გეოგრაფი იყო, გ) სწორია, დ) სწორია, ე) შეცდომაა, სწორი პასუხია: ანაკლია ზღვისპირა სოფელია, ვ) სწორია, ზ) სწორია, თ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ეგრისის ქედი სამეგრელოს ჩრდილოეთიდან აკრავს, ი) შეცდომაა, სწორი პასუხია: ენგურჰესი ყველაზე მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.

## გაკვეთილები 43/44. გურია

**განსავითარებელი უნარები:** შედარების, ანალიზის, დასკვნის გამოტანის, რუკაზე მუშაობის.

**გაკვეთილი 43**

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები წარმოსახვით მოგზაურობენ შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ და ჩერდებიან კუთხეზე, რომელიც მოიცავს ჩოხატაურის, ოზურგეთისა და ლანჩხუთის რაიონებს (3 წთ.). მასწავლებელი სვამს კითხვას – საქართველოს რომელ კუთხეზეა საუბარი? პასუხის მიღების შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან ქვეთავს "მდებარეობა" და კონტურულ რუკაზე აფერადებენ დასახლებული კუთხის ტერიტორიას (6 წთ.). რუკაზე მუშაობის დასრულების შემდეგ წერილობით უპასუხებენ ქვეთავის ქვემოთ მოცემულ მე-2 სავარჯიშოს (5 წთ.), (პასუხების შეჯერებისთვის 2 წთ.). მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები იწყებენ წყარო ა-ს განხილვას და ყველა დასახელებულ ობიექტს აჩვენებენ რუკაზე (6 წთ.). შემდეგ ეცნობიან ქვეთავს "მოსახლეობა" და გამოყოფენ გურულების განსაკუთრებულ თვისებებს (6 წთ.). წყარო ბ-ს თითოეული ობიექტის შესახებ კითხულობენ და საჭიროებისამებრ მუშაობენ რუკაზე (10 წთ.). დარჩენილი დრო, შესაძლებელია, მასწავლებელმა

გამოიყენოს გურული სიმღერის მოსასმენად (დაახლ. 7 წთ.).

**გაკვეთილი 44**

**გაკვეთილის მსვლელობა:** გაკვეთილი იწყება ქვეთავის "მეურნეობა" განხილვით და წყარო გ-ს გაცნობით (8 წთ.). მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები დაფაზე ჩამოწერენ იმ კულტურებს, რომელთა მოყვანითაც არიან დასაქმებული გურიაში და მიუთითებენ იმ ფაქტორებზე, რომელიც მათ არსებობას უწყობენ ხელს (6 წთ.). შემდეგ მოსწავლეები ჩამოთვლიან სამრეწველო და საკურორტო დანიშნულების ობიექტებს და მასწავლებლის დახმარებით განსაზღვრავენ მათ როლს საქართველოსთვის (6 წთ.). მასწავლებლის მითითებით ეცნობიან გურიის ღირსშესანიშნაობებს (წყარო დ) და აკვირდებიან ფოტოებს (6 წთ.). მოსწავლეები წერილობით ასრულებენ წყაროს ქვემოთ მოთავსებულ სავარჯიშოს (5 წთ.), რის შემდეგაც ინდივიდუალურად ასრულებენ შემაჯამებელ სავარჯიშოებს (10 წთ.). (პასუხების შეჯერებისთვის 3 წთ.).

**ბულიტიანი სავ. წყარო ა-ს ქვეშ:** მეფისწყარო

**პასუხები შემაჯამებელი სავარჯიშოებისთვის:**

**სავ. 1:** შემოქმედის, ჯუმათის.

**სავ. 2:** ა) სწორია, ბ) შეცდომაა, სწორი პასუხია: გურიის ტერიტორიაზე გადის ბათუმისა და ოზურგეთისკენ მიმავალი რკინიგზა, გ) სწორია, დ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ჯუმათის მონასტერი მდინარე სუფსის ხეობაში მთის წვერზე მდებარეობს, ე) სწორია, ვ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ნაბეღლავი მინერალური წყაროს წყალია, ზ) სწორია, თ) შეცდომაა, სწორი პასუხია: გურიის ჰავა თბილი და ტენიანია.

**სავ. 3:** ბ)

**სავ. 4:** ბ)

## გაკვეთილები 45/46. სვანეთი

**განსავითარებელი უნარები:** ტექსტზე მუშაობის, დაკვირვების, შედარების, აზრის გამოთქმის, დასკვნების გაკეთების.

**გაკვეთილი 45**

**გაკვეთილის მსვლელობა:** აქტივობა – მასწავლებელი გაკვეთილს დაიწყებს გონებრივი იერიშით. დაფაზე დაწერს სიტყვა სვანეთს, რომლის გარშემოც ჩამოწერს, რაც იციან, გაგებული აქვთ და რა ასოციაციებს იწვევს მოსწავლეებში სვანეთი (5 წუთი.) მასწავლებელი გაკვეთილს აგრძელებს და იყენებს მეთოდს "ჯიქსო", ამისათვის კლასს დაყოფს ოთხკაციან ჯგუფებად. მაგ., შემთხვევითი შერჩევის გზით. ( გაითვალეთ პირველიდან მეოთხემდე და დაჯგუფდით ერთად პირველები, მეორეები და ა.შ. ) ჯგუფის ყოველ წევრს ინდივიდუალურად დაევალება კონკრეტული თემის დამუშავება და თემასთან მოცემული ბულიტის შესრულება. ეს თემებია: 1. სვანეთის გეოგრაფიული მდებარება, 2. მოსახლეობა, 3. მეურნეობა 4. ღირშესანიშნავი ადგილები (10 წუთი).

ამის შემდეგ მასწავლებლის მითითებით ყოველი მოსწავლე ჯგუფის ყველა წევრს გააცნობს თავის თემას (15- 20 წუთი) და მთლიანობაში გააერთიანებენ მას საერთო პრეზენტაციის სახით. ე.ი. ყოველ ჯგუფს ექნება თითო საერთო ნაშრომი (15-20 წუთი).

შეფასდება მოსწავლეთა ინფორმაციის მოძიებისა და მასზე მუშაობის უნარი, ჯგუფური მუშაობის უნარი და ჩართულობა.

საშინაო დავალებად მიეცემათ შემაჯამებელი სავარჯიშო – სვანეთისა და აფხაზეთის მეურნეობების შედარება. ასევე დამატებითი (მაგ., ფოტოების, ჩანახატების) ინფორმაციის მოძიება გზამკვლევის შესაქმნელად.

**გაკვეთილი 46**

**გაკვეთილის მსვლელობა:** გაკვეთილს მასწავლებელი დაიწყებს მასალის გამეორებით. ამისათვის ის მოსწავლეებს დაუსვამს წინასწარ მომზადებულ კითხვებს: მაგ., დაიხმარეთ რუკა და უპასუხეთ კითხვებს: 1. სად მდებარეობს სვანეთი? 2. ჩამოთვალეთ სვანეთის მოსაზღვრე კუთხეები. 3. რომელი მდინარეები მიედინება სვანეთში? 4. კავკასიონის ქედის რომელ მხარეს მოიცავს სვანეთი? 5. რამდენ და რომელ ნაწილებად იყოფა სვანეთი? 6. რომელი ცნობილი მწვერვალები გვხვდება სვანეთში? 7. რა ღირსშესანიშნაობებით არის ცნობილი სვანეთი? 8. რა გავლენას ახდენს სვანეთის ბუნება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაზე? 9. ჩამოთვალეთ სვანეთის მეურნეობის მთავარი დარგები (10 წუთი).

წინა გაკვეთილზე ჯგუფური საერთო პრეზენტაციების, დამატებით მოძიებული ინფორმაციისა და ვიზუალური მასალების გამოყენებით მოამზადებენ ერთ საერთო პრეზენტაციას, მინი-გზამკვლევს – სვანეთი (20 წუთი). პრეზენტაცია გამოიფინება თვალსაჩინო ადგილას – საკლასო ოთახში, კედელზე. ამ პრეზენტაცია-გზამკვლევით შეჯამდება მთლიანი თემა, გაკეთდება დასკვნები (მაგ., სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარების პერსპექტივები სვანეთში). შეფასება მოხდება მოსწავლეთა მონაწილეობით და თვითშეფასებით (10 წუთი).

**ბულიტიანი სავ. წყარო ა-ს წინ:**

სვანეთის მოსაზღვრე მხარეებია: რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელო, აფხაზეთი.

მოსაზღვრე ქვეყანა რუსეთი (ყარაჩაეთ-ჩერქეზეთი, ყაბარდო-ბალყარეთი).

სვანეთის მოსაზღვრე ქედებია: კავკასიონის მთავარი ქედი, ლეჩხუმის ქედი, ეგრისის ქედი, კოდორის ქედი.

**ბულიტიანი სავ. წყარო ა-ს ქვეშ:** მდინარე ენგური მიედინება სამეგრელოში და აფხაზეთის საზღვარზე, მდინარე ცხენისწყალი: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვ. სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და იმერეთის საზღვარზე.

**ბულიტიანი სავ. წყარო ბ-ს ქვეშ:**

მთავარი საავტომობილო გზის გასწვრივ მდებარე დასახლებული პუნქტებია: მესტია, იენაში, ლახამულა, ხაიში.

**ბულიტიანი სავ. ქვეთავის "მეურნეობა" ქვეშ:**

უფრო მეტ ფართობზე ტყეები გავრცელებულია სვანეთში ვიდრე ქვემო ქართლში.

| სვანეთი | საერთო | აფხაზეთი |
|---|---|---|
| მეძროხეობა მეღორეობა | მეხილეობა, ნადირობა, მეფუტკრეობა, მესაქონლეობა | მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მევენახეობა, მეთამბაქოეობა |
| მემცენარეობა: ქერი, ჭვავი, კარტოფილი | | ქვანახშირის მოპოვება |

| ხე-ტყის ჭრა და დამზადება | | |
|---|---|---|

**პასუხები მე-3 შემაჯამებელი სავარჯიშოსთვის**

ა) შეცდომაა, ბ) სწორია, გ) შეცდომაა, სწორი პასუხია: მდინარე ენგურის სათავე შხარის ძირშია. დ) სწორია, ე) შეცდომაა, სწორი პასუხია: სვანეთში მოჰყავთ ქერი, ჭვავი, კარტოფილი, ვ) სწორია.

## გაკვეთილები 47/48. რაჭა

**განსავითარებელი უნარები:** რუკაზე მუშაობის, ინფორმაციის დამუშავების, მასალის მოძიების, მსჯელობის.

**გაკვეთილი 47**

**გაკვეთილის მსვლელობა:** სასურველია, მასწავლებელმა გაკვეთილი დაიწყოს მინი-ლექციით: რაჭა დასავლეთი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა, მის განუმეორებელ თავისებურებას ქმნის კავკასიონი, მდინარე რიონი, მთის ფერდობზე შეფენილი სოფლები, განსაკუთრებული დახვეწილობით ნაგები ეკლესია-მონასტრები (3 წთ.). თვალსაჩინოებისთვის მოსწავლეები ათვალიერებენ თემის ფოტომასალას (3 წთ.), შემდეგ ეცნობიან შემოთავაზებულ რუკებსა და ქვეთავს "მდებარეობა" (5 წთ.). პრეზენტაციისას მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებენ რაჭის ადგილმდებარეობაზე, მოსაზღვრე კუთხეებსა და ქვეყანაზე (6 წთ.). პრეზენტაციის შემდეგ წყარო ა-ს საშუალებით ეცნობიან კუთხის ბუნების ზოგიერთ მნიშვნელოვან ობიექტს და ძებნიან რუკაზე (6 წთ.). ამ სამუშაოს დასრულებისას პასუხობენ 1-ლ სავარჯიშოს (კვლავ რუკის დახმარებით) (3 წთ.). მასწავლებელი განაგრძობს გაკვეთილს და მოსწავლეებს სთხოვს, თუ ვინმეს შეხება აქვს რაჭველებთან, გაიხსენოს მათი ცხოვრებისეული რაიმე დეტალი, საქმიანობა (4 წთ.), რის შემდეგაც აცნობს ქვეთავს "მოსახლეობა" და წყარო ბ-ს (8 წთ.).

საშინაო დავალების მითითებისთვის 3 წთ.

1. ვისთვისაც ხელმისაწვდომია ინტერნეტით სარგებლობა, მოიძიოს საინტერესო მასალა რაჭის შესახებ.

2. სახლში უფროსების დახმარებით მოიძიონ და გაეცნონ გალაკტიონ ტაბიძის ლექსს "ქებათა ქება ნიკორწმინდას".

**გაკვეთილი 48**

**გაკვეთილის მსვლელობა:** გაკვეთილი იწყება საშინაო დავალების განხილვით (6 წთ.) (თავდაპირველად მხოლოდ 1-ლი), შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ქვეთავს – მეურნეობა და პასუხობენ მის ქვემოთ მოცემულ სავარჯიშოს (6 წთ.). პრეზენტაციის შემდეგ ეცნობიან რაჭის ღირსშესანიშნაობებს (წყარო გ) (6 წთ.). კლასში კითხულობენ ლექსს "ქებათა ქება ნიკორწმინდას" (6 წთ.) და წერილობით პასუხობენ შემაჯამებელი სავარჯიშოს მე-2 კითხვას (5 წთ.) პრეზენტაციის (6 წთ.) შემდეგ ეცნობიან (4 წთ.) და პასუხობენ (4 წთ.) წყარო გ-ს ქვემოთ მოცემულ კითხვას და 1-ლ შემაჯამებელ სავარჯიშოს.

**სავარჯიშოების პასუხები**

**1-ლი ბულიტიანი სავ. წყარო ბ-ს ქვეშ:** ზვავს, მეწყერს, წყალდიდობას, სეტყვას.

**პასუხები ზოგიერთი შემაჯამებელი სავარჯიშოსთვის:**

**სავ. 2.** ჭანჭახი.

**სავ. 3.** შაორი, ლუხუნი, შარეულა.

**სავ. 4.** გ).

**სავ. 5.** ა) სწორია: რაჭას ჩრდილოეთიდან კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილი აკრავს, ბ) სწორია, გ) შეცდომაა, სწორი პასუხია: რაჭა საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, დ) სწორია, ე) შეცდომაა, სწორი პასუხია: ღები რაჭის უდიდესი სოფელია, ვ) სწორია, ზ) შეცდომაა, სწორი პასუხია: მინდაციხე და ბარაკონის ეკლესია სოფ. წესის ღირსშესანიშნაობებია. თ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ნიკორწმინდის ეკლესია სოფ. ნიკორწმინდაში მდებარეობს.

**სავ. 6:** ბ).

## გაკვეთილები 49/50. ლეჩხუმი

**განსავითარებელი უნარები:** დაკვირვების, მსჯელობის, შედარების, ანალიზის, რუკებსა და ტექსტზე მუშაობის, დასკვნის გაკეთების, ჯგუფში მუშაობის.

**გაკვეთილი 49**

**გაკვეთილის მსვლელობა:** აქტივობა – "ასოციაციური რუკა" (10 წუთი).

მასწავლებელი დაფის ცენტრში წერს სიტყვებს – დასავლეთ საქართველოს კუთხეები. მოსწავლეები თავიანთი ცოდნის მიხედვით ამ სიტყვების გარშემო შეავსებენ საქართველოს კუთხეების ჩამონათვალს.

"პაუზებით კითხვა" – (25 წუთი). გაკვეთილი გრძელდება "პაუზებით კითხვით" წყვილებში – წყარო ა. ყოველ გეოგრაფიულ ობიექტს პოულობენ რუკაზე. ასრულებენ ბულიტების დავალებებს:

ლეჩხუმის მოსაზღვრე კუთხეებია: სამეგრელო, იმერეთი, სვანეთი, რაჭა. მოსაზღვრე ქედები: ლეჩხუმის, ეგრისის, რაჭის.

მაგ. თრიალეთის კლდეკარი ქვემო ქართლში წყარო ა.) 1.

მდინარე ცხენისწყალი სათავეს იღებს კავკასიონის წყალგამყოფი ქედიდან, ქვემო სვანეთი. იგი მდინარე რიონის მარჯვენა შენაკადია და ჩაედინება შავ ზღვაში.

ცხრილის შევსება რუკის დახმარებით (10 წუთი).

| მდინარეები | წყალსაცავები |
|---|---|
| შაორი | შაორის |
| ლაჯანური | ლაჯანურის |
| ენგური | ჯვრის |

**გაკვეთილი 50**

**გაკვეთილის მსვლელობა:** სასწავლო რესურსები: http://xvamli.ge (დოკუმენტური ფილმი ხვამლის მთის შესახებ)

გაკვეთილი დაიწყება ლეჩხუმის მდებარეობასთან დაკავშირებული წინა მასალის განმეორებითა და ცოდნის შეფასებით (10-15 წუთი).

მასწავლებელი კლასის ერთ ნაწილს შესთავაზებს თემას ლეჩხუმის მოსახლეობა, მეორეს – მეურნეობა და ღირსშესანიშნაობები. თემების დამუშავებისა და შესწავლისათვის მიეცემათ (10 წუთი), რის შემდეგაც 3-2-1- სტრატეგიის მიხედვით ჩამოწერენ რვეულებში: 3 რამ რამაც დააინტერესა, 2 რამ რის შესახებაც უნდა რომ გაიგოს და 1 რამ რაზეც იმსჯელებდა (15 წუთი). გაკვეთილის დასასრულს იმსჯელებენ, რა იყო მათთვის საინტერესო, შეფასდება მათი წერითი დავალება, აქტივობა 3-2-1-ის მიხედვით და ჩართულობა გაკვეთილის მსვლელობაში.

საშინაო დავალებად მიეცემათ სახელმძღვანელოში

მოცემული შემაჯამებელი დავალება.

**პასუხები ზოგიერთი სავარჯიშოსთვის**

**ბულიტიანი სავ. წყარო ა-ს თავზე:** ფშავი, ხევსურეთი, მთიულეთი, ხევი, თუშეთი, სვანეთი.

**მე-2 ბულიტიანი სავ. ქვეთავის "მეურნეობა" ქვეშ:** რაჭა, კახეთი, იმერეთი.

**პასუხები შემაჯამებელი სავარჯიშოებისთვის:**

**სავ. 1:** ცაგერი.

**სავ. 2:** მეღვინეობა.

**სავ. 3:** ლაჯანური, ცხენისწყალი, ასკისწყალი.

**სავ. 4:** ა) შეცდომაა, სწორი პასუხია: ლეჩხუმის ერთადერთი ქალაქი ცაგერია, ბ) სწორია, გ) სწორია, დ) სწორია, ე) შეცდომაა, სწორი პასუხია: ლეჩხუმი მთაგორიანი კუთხეა, ვ) სწორია, ზ) შეცდომაა, სწორი პასუხია: არქეოლოგიური გათხრების შედეგად ძვირფასი განძი, სოფელ ლაილაშის გარდა, ქალაქ ცაგერთანაც აღმოაჩინეს.

**სავ. 5:**

| | |
|---|---|
| სოფ. ზედა საირმე | სვეტისებური კლდეები |
| სოფ. ლაილაში | ბრინჯაოს ცულები |
| ხვამლის მთა | გამოქვაბული |
| სოფ. ღვირიში | ჩანჩქერი |

## გაკვეთილი 51/52. აფხაზეთი

**განსავითარებელი უნარები:** დაკვირვების, მსჯელობის, შედარების, ანალიზის, რუკებსა და ტექსტზე მუშაობის, დასკვნის გაკეთების, ჯგუფში მუშაობის.

**გაკვეთილი 51**

**გაკვეთილის მსვლელობა:**

გაკვეთილის დაწყებისას, სასურველია, მასწავლებელს მომზადებული ჰქონდეს საქართველოს ფიზიკური და კონტურული რუკები, ხოლო მოსწავლეებს – კონტურული. მასწავლებელი მათ აცნობებს, რომ შეისწავლიან საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე კუთხეს – აფხაზეთს. მასწავლებლისავე დახმარებით (გეოგრაფიულ ობიექტებს აჩვენებს რუკაზე) მოსწავლეები კონტურულ რუკებზე აღნიშნავენ: შავ ზღვას, კავკასიონის ქედს, სამეგრელო-ზემო სვანეთს. (მეტი თვალსაჩინოებისთვის იმავე სამუშაოს ასრულებს მასწავლებელი კონტურულ რუკაზე) (3 წუთი). ამის შემდეგ მოსწავლეები აფერადებენ ჩამოთვლილ საზღვრებში მოქცეულ აფხაზეთის ტერიტორიას (2 წუთი), ეცნობიან პირველ ბულიტიან სავარჯიშოს და აღნიშვნებს აკეთებენ კონტურულ რუკაზე (თუ საჭირო გახდა მასწავლებლის დახმარებით) (4 წუთი). ამის შემდეგ განიხილავენ წყარო ა-ს. სამუშაო ნაწილდება 4 ჯგუფში: I განიხილავს 1-ს; II ჯგუფი – 2-ს, III ჯგუფი – 3-ს, IV ჯგუფი – 4, 5-ს (4 წუთი). პირველი ჯგუფი დამატებით ასრულებს წყაროს ქვეშ 1-ლ ბულიტიან სავარჯიშოს. პრეზენტაციისას (6 წუთი) ხდება განხილული მასალისთვის საჭირო გეოგრაფიული ობიექტების რუკაზე ჩვენება და პარალელურად კონტურულ რუკებზე მუშაობა (6 წუთი). ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ ყველა ინდივიდუალურად ასრულებს წყარო ა-ს ქვეშ მოთავსებულ მე-2 ბულიტიან სავარჯიშოს (2 წუთი). მასწავლებელი მუშაობას განაგრძობს ღია კითხვის დასმით: როგორია თქვენი შთაბეჭდილებები აფხაზეთის ბუნებაზე? სასურველია, პასუხები ჩამოიწეროს დაფაზე (2 წუთი). თქვენი აზრით, ასეთი ბუნება თუ მიიზიდავდა ადამიანს საცხოვრებლად? რატომ? (3 წუთი) არგუმენტირებული პასუხების მიღების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ ქვეთავს – მოსახლეობა. ვიდრე მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს, მასწავლებელი დაფაზე ამზადებს ცხრილს, რომელიც მოსწავლეებმა უნდა შეავსონ.

| აფხაზეთის მოსახლეობის შემადგენლობა | |
|---|---|
| ომამდე (1992-1993) | ომის შემდგომი პერიოდი |
| მკვიდრი ჩამოსახლებული | |

შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას – როგორ ფიქრობთ, მხოლოდ აფხაზეთშია მოსახლეობის ასეთი მრავალეროვანი შემადგენლობა, თუ მთელ საქართველოში? (პასუხისას შესაძლებელია ჩამოთვალონ ქვეყანაში მცხოვრები კიდევ სხვა ეროვნების ხალხები). როგორ ფიქრობთ, ახერხებენ თუ არა ისინი (ყველა ერთად) მშვიდობიან ცხოვრებას? პასუხები ჩამოიწერება დაფაზე.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გამოთქვან მშვიდობიანი ცხოვრებისთვის საჭირო ვერსიები (5 წუთი). (ამას ითვალისწინებს ქვეთავის – მოსახლეობა – ქვეშ მოთავსებული ბულიტიანი სავარჯიშო). შემდეგ ჯგუფებში (2 ჯგუფი) – I ჯგუფი და II ჯგუფი ერთად იხილავს სოხუმს, III, IV ჯგუფი – გაგრას. პრეზენტაციისას იყენებენ რუკას და სათანადო აღნიშვნებს აკეთებენ კონტურულ რუკაზე (3 წუთი).

საშინაო დავალება – თქვენი აზრით, რა პრობლემები შეიქმნა ომის შემდეგ აფხაზეთში მოსახლეობისა და ბუნებისთვის? მოიფიქრეთ ამ პრობლემების მოგვარებისთვის აუცილებელი პირობები. ნააზრევის გადმოცემა შეგიძლიათ: ჩანახატით, დღიურით, ფოტომასალით, მიმართვით, წერილით და თქვენ მიერ მოფიქრებული სხვა საშუალებით.

**გაკვეთილი 52**

**გაკვეთილის მსვლელობა:**

სასურველია, გაკვეთილი დაიწყოს საშინაო დავალების განხილვით (10 წუთი) მასწავლებელი მადლობას გადაუხდის მათ იდეებისათვის და გამოთქვამს ვარაუდს, რომ მომავალი მშვიდობიანი თანაცხოვრებით გაგრძელდება. შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს, განიხილონ ქვეთავი – მეურნეობა, რომელითაც ისინი გაიგებენ, აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობა ომამდე პერიოდში რა საქმიანობით იყო დაკავებული, შეადარონ კახეთის სოფლის მეურნეობას (1-ლი შემაჯამებელი) (სამუშაო სრულდება ცხრილის სახით) (10 წუთი).

| სოფლის მეურნეობის დარგებში | |
|---|---|
| კახეთში | აფხაზეთში |
| | |

(პრეზენტაციისთვის 6 წუთი)

შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან ქვეთავს – ღირსშესანიშნაობები – წყარო გ (6 წუთი). მუშაობენ 4 ჯგუფად I – 1, II – 2, III – 3, 4, IV – 5, 6 (სასურველია მასწავლებელმა ბედიის მონასტრის შესახებ დამატებით მიაწოდოს ინფორმაცია, რომ აქ დაკრძალულია ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III) ჯგუფების პრეზენტაციისთვის უნდა გამოიყოს 8 წუთი – თითოეულს 2 წუთი. დასასრულს მოსწავლეები წერი-

ლობით პასუხობენ ბოლო ორ ბულიტიან სავარჯიშოს (5 წუთი).

ქვეთავიდან "მოსახლეობა" მოსწავლეები ასახელებენ თბილისის ძველ უბნებს. იყოფიან ჯგუფებად და თითოეული ჯგუფი იღებს დავალებას: მოიძიონ სხვადასხვა ტიპის მასალა თბილისის ძველი უბნებისა და ქუჩების შესახებ (I ჯგუფი – სოლოლაკის შესახებ, II ჯგუფი – აბანოთუბნის და ა. შ.) (5 წთ.). დავალება სრულდება ერთი კვირის განმავლობაში.

**პასუხები ზოგიერთი შემაჯამებელი სავარჯიშოსთვის:**

**სავ. 1:** ამტყელი, ბზიფი.

**სავ. 2:** ბედიის.

**სავ. 3:** ზუგდიდი.

**სავ. 4:** ა) სწორია, ბ) სწორია, გ) სწორია, დ) სწორია, ე) სწორია, ვ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ქვანახშირს ტყვარჩელში მოიპოვებენ, ზ) შეცდომაა, სწორი პასუხია: აფხაზეთში დღეს ძირითადად აფხაზები, რუსები და სომხები ცხოვრობენ, თ) აფხაზეთის ჰავა თბილი და ტენიანია.

## გაკვეთილები 53/54. სამცხე

**განსავითარებელი უნარები:** წყაროებსა და რუკაზე მუშაობის, მასალის მოძიების, მსჯელობის, საკუთარი აზრის გამოთქმის.

**გაკვეთილი 53**

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, რუკაზე აჩვენონ მდინარე მტკვარი და მისი ხეობის ზემო ნაწილი (3 წთ.). ამის შემდეგ განიხილონ ქვეთავი "მდებარეობა" და იქ ჩამოთვლილი ობიექტების რუკაზე ჩვენებით გამოყონ სამცხის ტერიტორია (5 წთ.). ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ ეცნობიან წყარო ა-ს და დასახელებულ ფიზიკურ ერთეულებს აჩვენებენ რუკაზე (8 წთ.). მუშაობის პროცესში იყენებენ წარმოდგენილ ფოტომასალას. შემდეგ ეცნობიან ქვეთავს "მოსახლეობა" (4 წთ.). მასწავლებელი მცირე კომენტარს აკეთებს ამ კუთხეში სომხური მოსახლეობის თავმოყრის მიზეზებზე და მიუთითებს, რომ ქართველებმა და სომხებმა ხანგრძლივი თანაცხოვრების პერიოდი მშვიდობიანად განვლეს (3 წთ.). კლასში მუშაობა გრძელდება წყარო ბ-ს გაცნობით. მოსწავლეები აქტიურად იყენებენ რუკას დასახელებული ობიექტების საჩვენებლად (8 წთ.) (ამ ადგილების უკეთ წარმოდგენისთვის მათ ეხმარება ფოტომასალა).

სამცხის მოსახლეობის საქმიანობას ეცნობიან ქვეთავიდან "მეურნეობა" (5 წთ.). მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები დაფაზე ჩამოწერენ დარგებს, რომლებიც ამ კუთხის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაზე უქმნით წარმოდგენას (5 წთ.). მუშაობის დასასრულს განიხილავენ წყარო გ-ს და უპასუხებენ მის ქვემოთ მოცემულ სავარჯიშოს (4 წთ.).

საშინაო დავალება – ინტერნეტის ან ენციკლოპედიის საშუალებით მოიპოვე ცნობები ბორჯომის ხეობის შესახებ, გააცანი კლასს. დავალება შეასრულე ერთი კვირის ვადაში.

**გაკვეთილი 54**

**გაკვეთილის მსვლელობა:** სასურველია, გაკვეთილი დაიწყოს მასწავლებლის კითხვით, როგორ დაახასიათებდით სამცხის ბუნებას რამდენიმე წინადადებით? პასუხები ფიქსირდება დაფაზე (6 წთ.). სამუშაო გრძელდება მასწავლებლის მითითებით – სამცხის ბუნებრივ სილამაზეს ადამიანის საქმიანობით შექმნილი ღირსშესანიშნაობებიც ემატება. ამაში დასარწმუნებლად განიხილეთ წყარო დ (3 წთ.). წყაროს განხილვა ხდება ყველას გასაგონად (8 წთ.). მასწავლებელი მცირე კომენტარს აკეთებს ვარძიისა და ვანის ქვაბების შესახებ (მაგ., ვანის ქვაბების კედლებმა შემოგვინახეს "ვეფხისტყაოსნის" სტროფების უძველესი წარწერები) (3 წთ). მოსწავლეები უპასუხებენ წყაროს ქვეშ მოთავსებულ 1-ლ და მე-2 სავარჯიშოს და მსჯელობენ (6 წთ.). ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ წერილობით ასრულებენ შემაჯამებელ სავარჯიშოებს (10 წთ.) (პასუხების შეჯერებისთვის 4 წთ.).

**პასუხები შემაჯამებელი სავარჯიშოებისთვის:**

**სავ. 1:** ხერთვისი.

**სავ. 2:** გ).

**სავ. 3:** ბ).

**სავ. 4:** კარტოფილი.

**სავ. 5:** ა) სწორია, ბ) სწორია, გ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ქ. ახალციხეში მდინარე ფოცხოვი მოედინება, დ) შეცდომაა, სწორი პასუხია: სამცხეში ძირითადად ქართველები და სომხები ცხოვრობენ, ვ) სწორია.

## გაკვეთილები 55/56. ჯავახეთი

**განსავითარებელი უნარები:** წყაროებსა და რუკებზე მუშაობის, დაკვირვების, ანალიზის, შედარების, დასკვნის გამოტანის.

**გაკვეთილი 55**

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი ტექსტში შემოთავაზებული ხალხური ლექსით (წყარო ა) ცდილობს მოსწავლეების ყურადღება მიიქციოს (2 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, კუთხის ადგილმდებარეობის გასარკვევად გაეცნონ ქვეთავს — მდებარეობა, კონტურულ რუკაზე სასურველი ფერით მონიშნონ ჯავახეთი და უპასუხონ ქვეთავის მე-2 ბულიტიან სავარჯიშოს, რომელსაც ცხრილის სახით წარმოადგენენ (მითითებისთვის – 2 წთ., სამუშაოს შესასრულებლად კი მოსწავლეებს ეძლევათ 10 წთ.):

| ჰორიზონტის მხარე | საქართველოს კუთხეები | სხვა ტერიტორიები |
|---|---|---|
| | | |

ამის შემდეგ ინდივიდუალურად ეცნობიან წყარო ბ და გ-ს და კვლავ ავსებენ მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ ცხრილს, შემდეგ კი წარწერებს უკეთებენ ჩამოთვლილ ტბებს (10 წთ.).

| გეოგრაფიული ობიექტი | დამახასიათებელი თავისებურება |
|---|---|
| | |

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ვისაც შესაძლებლობა ექნება, ინტერნეტის საშუალებით მოიძიონ და ერთი კვირის შემდეგ წარმოადგინონ ინფორმაცია ფარავნისა და ტაბაწყურის ტბების შესახებ. შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან ქვეთავს – მოსახლეობა – წყარო გ-სთან ერთად (10 წთ.). მასწავლებელი ღია კითხვების საშუალებით ამოწმებს მოსწავლეების ტექსტზე მუშაობის ხარისხს და მსჯელობის უნარს. (სვამს კითხ-

ვებს, ისმენს მოსწავლეთა თუნდაც მცირე კომენტარებს და თვითონაც აძლევს განმარტებებს) (8 წთ.).

**კომენტარი მასწავლებლისთვის:**

მასწავლებელმა თავი უნდა აარიდოს საკითხის ზედმეტ პოლიტიზებას, რადგან მოსწავლეებს ჯერ არ გააჩნიათ სათანადო ცოდნა და უნარები ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების სწორად შეფასებისა და გაანალიზებისთვის. შესაბამისად, ამ ისტორიულ თემატიკას მოსწავლეები მომდევნო კლასებში გაეცნობიან

საშინაო დავალება: ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წერილობით დაახასიათეთ ჯავახეთის ბუნებრივი პირობები (მითითებისთვის 3 წთ.).

**გაკვეთილი 56**

**გაკვეთილის მსვლელობა:** სასურველია, მასწავლებელმა გაკვეთილი საშინაო დავალების განხილვით დაიწყოს (8 წთ.). შემდეგ იგი სვამს კითხვას – როგორ ფიქრობთ, ასეთ გეოგრაფიულ გარემოში მეურნეობის რა დარგები შეიძლება განვითარებულიყო ჯავახეთში? მცირე კომენტარების მოსმენის შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან ქვეთავს – მეურნეობა, წყარო დ-ს და ავსებენ ცხრილს (10 წთ.):

| ჯავახეთის მეურნეობის დარგები ძველი დროიდან დღემდე | თანამედროვე ჯავახეთის მეურნეობის დარგები |
|---|---|
| | |

(სასურველია წყარო დ-ს ქვეშ მოთავსებულ ბულიტიან სავარჯიშოზე პასუხი გაეცეს შედარების ხერხით)

შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან ღირსშესანიშნაობებს – წყარო დ – (8 წთ.) და მასწავლებლის თხოვნით ჩამოწერენ:

| ვიცოდი | გავიგე |
|---|---|
| | |

(3 წთ.)

პრეზენტაციისთვის გამოეყოფათ 5 წთ. შემდეგ ინდივიდუალურად ასრულებენ წყარო დ-ს ქვეშ მოთავსებულ და შემაჯამებელ სავარჯიშოებს (10 წთ.).

საშინაო დავალება (მითითებისთვის 1 წთ.)

ვთქვათ, დაგავალეს ექსკურსიამძღოლობა. ჯავახეთის უკეთ გასაცნობად ჯგუფის წევრებს რომელი ობიექტების ნახვას შესთავაზებდი? რატომ?

**პასუხები შემაჯამებელი სავარჯიშოებისთვის:**

**სავ. 1:** ყელის და ბაზალეთის.

**სავ. 2:** ფოკა.

**სავ. 3:** გ).

**სავ. 4:** ა) შეცდომაა, სწორი პასუხია: ჯავახეთში ფართობით ყველაზე დიდი ტბა ფარავანია, ბ) სწორია, გ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ჯავახეთი თურქეთს ჰქონდა დაპყრობილი. დ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ახალქალაქი საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ძველ ქალაქად არის მიჩნეული. ე) სწორია, ვ) შეცდომაა, სწორი პასუხია: წმინდა ნინოს სახელს ფოკის ეკლესიის მშენებლობა უკავშირდება, ზ) სწორია, თ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ჯავახეთის მოსახლეობა ქართლში, იმერეთსა და გურიაში გადასახლებულა, ი) სწორია.

## გაკვეთილები 57/58. აჭარა

**განსავითარებელი უნარები:** დაკვირვების, მსჯელობის, რუკაზე მუშაობის, დასკვნის გაკეთების.

**გაკვეთილი 57**

**გაკვეთილის მსვლელობა:** გაკვეთილი იწყება მასწავლებლის მიმართვით მოსწავლეებისადმი – კუთხე, რომელსაც დღეს გაეცნობით, თქვენთვის განსაკუთრებით ცნობილია საზღვაო კურორტებით. შესაძლებელია, ზოგიერთს დაგისვენიათ კიდეც ამ მხარეში. დაფიქრდით, რომელ კუთხეზეა საუბარი. რომელ ზღვაზე აქვს მას გასასვლელი (3 წთ.)? პასუხის მიღების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რუკის დახმარებით ჩამოთვალონ საზღვაო კურორტები (3 წთ.). ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ ეცნობიან ქვეთავს "მეურნეობა" და უპასუხებენ 1-ლ სავარჯიშოს (6 წთ.). წყარო ა-ს განხილვისას დასახელებულ გეოგრაფიულ ობიექტებს აჩვენებენ რუკაზე (5 წთ.). აჭარის მოსახლეობის გასაცნობად ინდივიდუალურად კითხულობენ ქვეთავს "მოსახლეობა" (6 წთ.). მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, თვითონ დაასრულონ დაფაზე შეთავაზებული წინადადებები: 1. აჭარის მოსახლეობა ............. ბატონობის ქვეშ იყო. 2. აჭარა საქართველოს კუთხეებს შორის ყველაზე ............. დასახლებულია. 3. განსხვავებული ............. გამო მოსახლეობა არათანაბრადაა განაწილებული (8 წთ.). ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ ეცნობიან წყარო ბ-ს და ჩამოთვლილ გეოგრაფიულ ობიექტებს აჩვენებენ რუკაზე (5 წთ.). სამუშაოს აგრძელებენ ბათუმის შესახებ ინფორმაციის განხილვით (3 წთ.). მასწავლებელი სვამს კითხვას – ვინმეს ხომ არ უნახავს თანამედროვე ბათუმი, რა შთაბეჭდილება გაქვთ? ისმენენ ყველა მსურველის აზრს (3 წთ.).

საშინაო დავალება – თქვენი აზრით, რატომ ინტერესდება ყოველწლიურად უფრო მეტი ადამიანი აჭარით?

**გაკვეთილი 58**

**გაკვეთილის მსვლელობა:** გაკვეთილი იწყება საშინაო დავალების განხილვით (8 წთ.). შემდეგ ეცნობიან ქვეთავს – "მეურნეობა" (4 წთ.). უპასუხებენ მასწავლებლის კითხვას – რა უწყობს ხელს მეურნეობის ჩამოთვლილი დარგების განვითარებას (6 წთ.)? შემდეგ იწყებენ ღირსშესანიშნაობების გაცნობას და ყველა ობიექტს შეძლებისდაგვარად აჩვენებენ რუკაზე (10 წთ.).

დასასრულს, მოსწავლეები მუშაობენ შემაჯამებელ სავარჯიშოებზე (10 წთ.). მასწავლებელთან ერთად აჯერებენ პასუხებს (5 წთ.).

**პასუხები შემაჯამებელი სავარჯიშოებისთვის:**

**სავ. 1.** ჭოროხი, კინტრიში, სხალთა, ჭვანი.

**სავ. 2.** ა) სწორია, ბ) სწორია, გ) სწორია, დ) შეცდომაა, სწორი პასუხია: აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი ზღვისპირა რაიონებში ცხოვრობს, ე) სწორია, ვ) შეცდომაა, სწორი პასუხია: აჭარა 300 წლის განმავლობაში თურქეთის ბატონობის ქვეშ იყო, ზ) სწორია, თ) შეცდომაა, სწორი პასუხია: აჭარაში გაშენებულია ჩაისა და ციტრუსის პლანტაციები, ი) სწორია, კ) შეცდომაა, სწორი პასუხია: არსიანის ქედი აჭარის აღმოსავლეთით მდებარეობს, ლ) სწორია: გონიოს ციხე ჭოროხის შესართავთან, ე. ი. თურქეთის საზღვართან მდებარეობს.

## გაკვეთილი 59. საქართველოს ისტორიული მიწები

**განსავითარებელი უნარები:** რუკაზე მუშაობის, მოსმენის, მსჯელობისა და დასკვნების გამოტანის.

**გაკვეთილის მსვლელობა:** გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მოცემულ რუკას. წითელი ფანქრით მკვეთრად გააფერადონ საქართველოს სახელმწიფო საზღვრები, შემდეგ ამოიწერონ ის კუთხეები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს გარეთ დარჩა. მასწავლებელი უთითებს, რომ ეს კუთხეები საქართველოს ისტორიული მიწებია. ყურადღებას ამახვილებს, რომ ყველა აღნიშნული განაპირა კუთხეა და ამიტომ მტერთაგან პირველ დარტყმას სწორედ ისინი იღებდნენ (10 წთ.).

შემდეგ მინი-ლექციის საშუალებით მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ორი მუსლიმური სახელმწიფოს – ირანისა და ოსმალეთის სწრაფვას საქართველოს დაუფლებისათვის (5 წთ.).

ისტორიული მიწების განხილვა იწყება ისტორიული ჰერეთიდან. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, რუკის საშუალებით დაადგინონ, სად მდებარეობდა ჰერეთი. მიუთითებს, რომ გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი სიმდიდრის "წყალობით" იგი ირანისა და ოსმალეთის ყურადღების ცენტრში მოექცა. შედეგმაც არ დააყოვნა – იგი თურქეთისა და ირანის კუთვნილებად იქცა. არანაკლებ დააზარალეს ჰერეთი ლეკებმაც (მიუთითოს ლეკების საცხოვრებელი ტერიტორია).

აქვე მასწავლებელი განმარტავს ტერმინის "ინგილო" მნიშვნელობას. ასახელებს ქურმუხის (კახის რ-ნი) წმ. გიორგის ტაძარს, რომელსაც დღემდე სათუთად უვლიან ინგილო ქართველები (5 წთ.).

შემდეგ მოსწავლეები რუკის საშუალებით განსაზღვრავენ ლაზთა განსახლების არეალს ძველად და მსჯელობენ, ძირითადად რა საქმიანობით იყვნენ ლაზები დაკავებულნი. მასწავლებელი მიუთითებს, რომ ისინი საუკეთესო ხითხუროებიც იყვნენ (7 წთ.).

ლაზეთის შემდეგ მოსწავლეები სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს, ისტორიულ ზემო ქართლს – მესხეთს "ესტუმრებიან". რუკის დახმარებით მსჯელობენ, რატომ გახდა ეს კუთხე მტრების ინტერესის საგანი (აქედან ადვილად შეიძლებოდა შეჭრა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ – ქართლში), შემდეგ ეცნობიან ტექსტს – მესხეთი და რუკის დახმარებით ადგენენ ჩამოთვლილი კუთხეებიდან რომელი აღარ შედის სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს დღევანდელ საზღვრებში (7 წთ.). დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი უთითებს, რომ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე დღემდე არ გამქრალა ქართული კვალი. ამის დასტურია მრავალი ეკლესიისა თუ ნანგრევის ნაშთი მესხეთის მიწაზე: პარხალი, ოშკი, ბანა, იშხანი (5 წთ.).

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოებს (4 წთ.).

**პასუხები შემაჯამებელი სავარჯიშოებისთვის:**

**სავ. 1:** ა) სწორია, ბ) სწორია: ლაზეთს თურქეთში ლაზისტანს უწოდებენ, გ) შეცდომაა, სწორი პასუხია: საინგილოს ქართველებმა ქართული ენა და ადათ-წესები შეინარჩუნეს, დ) სწორია, ე) სწორია ვ) შეცდომაა, სწორი პასუხია: საინგილო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს.

**სავ. 2:** ბ).

## გაკვეთილი 60 აღმოსავლეთი საქართველოს ისტორიული ქალაქები

**განსავითარებელი უნარები:** რუკაზე მუშაობის, დაკვირვების, მსჯელობის, აზრის გამოთქმის.

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით. მოსწავლეებს უამბობს, რომ საქართველოში საქალაქო ცხოვრება უძველესი დროიდან არსებობდა. ამას ადასტურებს ძველქართული, სომხური და ბერძნულ-რომაული წყაროები, არქეოლოგიური მონაცემები. იგი ასევე მიუთითებს, რომ ძველი ქალაქების უმეტესობა ნაქალაქარად იხსენიება, ნაწილი კი დღემდე აგრძელებს სიცოცხლეს (5 წთ.).

ამის შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს, თუ შეუძლიათ, დაასახელონ ქალაქები, რომლებიც წარსულშიც არსებობდა და დღესაც განაგრძობენ არსებობას.

შემდეგ დაფაზე წერს სიტყვას "ნაქალაქარი" და მოსწავლეებს სთხოვს, გამოთქვან ვარაუდი, რა მიზეზებმა შეიძლება გადააქციოს ქალაქი ნაქალაქარად (5 წთ.).

მოსწავლეები მუშაობენ ტექსტზე (კ.ნ.ს.-ს მეთოდით), რუკაზე ეძებენ ყველა დასახელებულ ქალაქსა და ნაქალაქარს. ყურადღებას ამახვილებენ დასახელებული ქალაქების გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ადარებენ ერთმანეთს და გამოყოფენ განსხვავებულს (10 წთ.).

მასწავლებელი მიანიშნებს ქალაქების ზღვასთან ან მდინარესთან ახლოს მდებარეობის აუცილებლობას და სვამს კითხვას: თქვენი აზრით, რატომ იყო საჭირო ქალაქისათვის წყალთან (მდინარესთან, ზღვასთან) სიახლოვე?

სავარაუდო პასუხების მოსმენის შემდეგ კვლავ ეკითხება მოსწავლეებს:

1. რა არსებითი განსხვავებაა ძველ და ახალ ქალაქებს შორის?
2. რა საქმიანობით იყო დაკავებული ქალაქის მოსახლეობა? (10 წთ.)

შემდეგ მასწავლებელი უთითებს, რომ ყველა ქალაქს აქვს მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომლითაც ეს ქალაქი აღიქმება, მაგალითად, ვახტანგ გორგასლის ძეგლის ხსენებით თბილისი გვახსენდება. შემდეგ მოსწავლეები აკვირდებიან ფოტომასალას და ასახელებენ, რას თვლიან მახასიათებლად ქალაქ თელავისთვის, გორისთვის, სიღნაღისთვის (5 წთ.). შემდეგ იყოფიან ორ ჯგუფად და ადარებენ რომელიმე ორ ქალაქს. I ჯგუფი ადარებს სიღნაღსა და გორს (ვენის დიაგრამის გამოყენებით), ხოლო II ჯგუფი – თელავსა და რუსთავს). მოსწავლეები დაადგენენ მათ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს (მდებარეობა, არქიტექტურული იერსახე და სხვ., რომელსაც შენიშნავენ). გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეები აწყობენ თავიანთი ნაშრომების პრეზენტაციას (8 წთ.).

## გაკვეთილი 61. დასავლეთი საქართველოს ისტორიული ქალაქები

**განსავითარებელი უნარები:** ტექსტზე მუშაობის, ნასწავლის გამოყენების, წერილობითი სამუშაოს შესრულების.

**გაკვეთილის მსვლელობა:** მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს "ქუთაისი" და იწყებენ მის განხილვას, აგრეთვე წყარო ა-ს და წყარო ბ-ს (სასურველია მასწავლებელმა

გააკეთოს მცირე კომენტარი გელათის აკადემიის შესახებ) (7-10 წთ.). მასწავლებელი კითხვების საშუალებით ამოწმებს ტექსტის გაცნობის ხარისხს და ისმენს წყარო ა-ს ქვემოთ მოცემული კითხვის პასუხს (10 წთ).

ქუთაისის ღირსშესანიშნაობების გასაცნობად კითხულობენ წყარო გ-ს, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ მითი არგონავტებზე (5-7 წთ.). მოსწავლეები პასუხობენ წყაროს ქვემოთ მოცემულ კითხვას და წერილობით ასრულებენ შემაჯამებელ სავარჯიშოებს (5-7 წთ.).

შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს "ვანი", წყარო დ-ს და წყარო ე-ს, ხდება ვანის ნაქალაქარის ადგილმდებარეობის მითითება რუკაზე. მასწავლებელი საუბრობს კოლხეთზე და მის კავშირებზე საბერძნეთთან, აგრეთვე ვანის გათხრების მნიშვნელობაზე; მოსწავლეები პასუხობენ წყარო დ-ს ქვეშ მოცემულ კითხვას (10-15 წთ.).

**პასუხები შემაჯამებელი სავარჯიშოებისთვის:**

**საv. 1:** დავით აღმაშენებლის.

**სავ. 2:** მწვანეყვავილა.

**სავ. 3:** ბ).

**სავ. 4:** ა) შეცდომაა, სწორი პასუხია: იასონის მლვიმის მიდამოებში ირემი, შველი და დათვი აღარ ბინადრობს, ბ) სწორია, გ) სწორია, დ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ქუთაისი კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქალაქია ე) სწორია, ვ) სწორია, ზ) შეცდომაა, სწორი პასუხია: წყალწითელა კანიონის სახელია, რომელიც მდინარე წყალწითელას ხეობას გასდევს, თ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ბაგრატ III-ის მიერ აშენებული ტაძრისგან დღეს მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი, ი) სწორია.

## გაკვეთილი 62. ხვნა-თესვა

**განსავითარებელი უნარები:** დაკვირვების, პარალელების გავლების, შედარების, ლოგიკური აზროვნების.

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს ა.კ.რ. მეთოდით: დაფაზე წერს სიტყვას "გუთანი" და სთხოვს მოსწავლეებს გამოთქვან აზრი რის ასოციაციას იწვევს. შემდეგ სვამს კითხვას – "რა იცით გუთნის შესახებ?" (7 წთ.).

პასუხების მოსმენის შემდეგ მოკლედ საუბრობს საქართველოში სახვნელი იარაღების მრავალფეროვნებაზე და ხაზს უსვამს, რომ ასეთ მრავალგვარობას განაპირობებს საქართველოს გეოგრაფიული გარემო. აქედან გამომდინარე, აღმოსავლეთ საქართველოში მიწის სახნავად ხშირად იყენებდნენ დიდ გუთანს, რომელშიც რამდენიმე უღელი ხარი იყო შებმული. შემდეგ მოსწავლეებს უსვამს ღია ტიპის კითხვას – "თქვენი აზრით, რატომ აბამდნენ გუთანში რამდენიმე უღელ ხარს?" სავარაუდო პასუხის მოსმენის შემდეგ თვითონაც განმარტავს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ხშირი გვალვების გამო მიწა მაგარია, ამიტომ საჭიროა დიდი, ძლიერი გამწევი ძალა, რომ ნიადაგი ღრმად მოიხნას (15 წთ.). ყურადღებას ამახვილებს გუთნეულის წევრებზე (გუთნისდედა, მეხრე), ურთიერთდახმარების ფორმაზე (მოდგამი). მოსწავლეები ასრულებენ პირველ და მეორე ბულიტიან სავარჯიშოებს (8 წთ.). შემდეგ ეცნობიან "ოროველას" ტექსტს და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოროველა ძველად, ქრისტიანობის მიღებამდე მიწათმოქმედების ღმერთად მოიაზრებოდა. სთხოვს მოსწავლეებს, უპასუხონ პირველ ბულიტიან სავარჯიშოს ცნობა 1-ის შემდეგ. პასუხის შემდეგ მოსწავლეებმა იმსჯელონ, საიდან რა ფუძისგან წარმოსდგება სიტყვა "მეკვლე" (9 წთ.)

შემდეგ მასწავლებელი საუბრობს ხარის განსაკუთრებულ როლზე ქართველი გლეხის ცხოვრებაში (3 წთ.) და სთხოვს მოსწავლეებს, შემდეგი გაკვეთილისთვის მოიძიონ რამე ინფორმაცია ხარის შესახებ საქართველოში.

**პასუხები ზოგიერთი შემაჯამებელი სავარჯიშოსთვის:**

**სავ. 2:** ა) შეცდომაა, სწორი პასუხია: ანეული შემოდგომაზე დასათესად მომზადებულ მიწას ეწოდება, ბ) შეცდომაა, სწორი პასუხია: გუთნისდედა ხარებს წინ მიუძღოდა, ზოგჯერ კი უკან მიჰყვებოდა. გ) სწორია, დ) სწორია, ე) სწორია.

**სავ. 3:** დ).

**კომენტარი მასწავლებლისთვის**

მიწათმოქმედება საქართველოში უძველესი დროიდან იყო განვითარებული. ის თავისთავად ორ დარგს მემინდვრეობასა და მევენახეობას აერთიანებს. მემინდვრეობა მარცვლეულის მოყვანას გულისხმობს. საქართველოს მრავალფეროვანმა ბუნებამ ხელი შეუწყო აქ სხვადასხვაგვარი ჯიშის მარცვლეულის: ხორბლის, ქერის, ჭვავის, სიმინდის, ღომის.... გავრცელებას. მარცვლეულის მოყვანას ხანგრძლივი პროცესი უძღოდა წინ. საჭირო იყო მისი დათესვა. დასათესად კი – მიწის მომზადება, ნიადაგის დამუშავება. ზოგჯერ ნიადაგის დასამუშავებლად ტყის გაჩეხვაც უხდებოდათ. ტყეს გაზაფხულზე გაჩეხავდნენ, ხეებს მოჭრიდნენ ხის ძირებს კი ზაფხულში ცეცხლს წაუკიდებდნენ, ეს აადვილებდა ძირების ამოძირკვას და მიწის მოსახნავად მომზადებას. ამ წესით მიწის მოსახნავად მომზადებას ახოს აღება ეწოდება.

თავდაპირველად მიწას ხელის იარაღით, თოხითა და ბარით ამუშავებდნენ. მიწის დასამუშავებელი ხელის იარაღები ჯერ კიდევ ქვის ხანაში გვხვდება. შემდეგ უკვე შეიქმნა სახვნელი იარაღი, რომელსაც გამწევი ძალა ესაჭიროებოდა. საქართველოს ბუნების სხვადასხვაგვარობა ნიადაგის ნაირსახეობას განაპირობებდა. სხვადასხვაგვარი ნიადაგის ნაირსახეობა კი სხვადასხვაგვარ სახვნელ იარაღს მოითხოვდა. სწორედ ამიტომ საქართველოში სახვნელის სხვადასხვა სახეობა იყო გავრცელებული და საქართველოს "სახვნელი იარაღის ცოცხალი მუზეუმიც" კი უწოდეს. სახვნელ იარაღს ძველ საქართველოში ერქვანს უწოდებდნენ.

აღმოსავლეთი საქართველოს ბარში უწინ მიწას დიდი გუთნით ხნავდნენ. გუთანს მხოლოდ სახნის-საკვეთელი აქვს რკინის. სახნის-საკვეთელი გუთნის ის ნაწილია, რომელიც მიწას აფხვიერებს, ბელტს ჭრის.

გუთანს წინ გუთნისდედა მიუძღოდა – ხარებს მიმართულებას აძლევდა. ზოგ სახვნელს კი გუთნისდედა უკან მიჰყვებოდა და სახვნელით სწორ კვალს ავლებდა, კვალს ასწორებდა. ხარების გამრეკი, დამპურებელი და მომვლელი მეხრე იყო. დღე ხარებს დღის მეხრე უვლიდა, ღამით კი – ღამისა.

"რაკი ხვნა-თესვა და მოსავლის მოყვანა საუფლო საქმედ იყო მიჩნეული, ამ საქმის ავან-ჩავანი გუთნისდედა, ჭკუის საკითხავ კაცად ითვლებოდა. იმის სიტყვას სხვა წონა და ფასი ჰქონდა, უიმისოდ სოფელი არანაირ საქმეს არ გადაწყვეტდა, არც ავსა და კარგს" (ნ.

შატაიძე, პურის ისტორია).

ხვნას თესვა მოჰყვებოდა. მოხნულ კვლებში თესლს ხელით ჰყრიდნენ. დათესილ მიწაზე კი კაბდოს გადაატარებდნენ. კაბდო სახელურიანი ფიცარია, რომელსაც ფარცხი – მიწის გასაფხვიერებელი იარაღი აქვს მობმული. ზოგჯერ მხოლოდ ფარცხს გადაატარებდნენ, თესლი ღრმად რომ ჩასულიყო მიწაში და დათესილი მიწაც რომ მოსწორებულიყო. საქართველოში მარცვლეულს გაზაფხულზეც თესდნენ და შემოდგომაზეც, ეს მარცვლეულის ჯიშზე და ბუნებრივ პირობებზე იყო დამოკიდებული. შემოდგომაზე დასათესად მომზადებულ მიწას ანეული ეწოდება. გლეხის ოჯახი საკუთარი ძალებით მიწის მოხვნას ვერ ახერხებდა, რამდენიმე უღელი ხარი გლეხს არ ჰყავდა, ზოგს არც გუთანი ჰქონდა, ამიტომ მეზობლები და მოკეთეები ხვნის დროს ერთმანეთს ეხმარებოდნენ ხარით, გუთნითა თუ მუშახელით. ასეთ დახმარებას მოდგამი ეწოდება. მოდგამის თითოეულ წევრს თავისი მოვალეობა ჰქონდა. მოდგამს მასპინძელი გულუხვად უმასპინძლდებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მიწას მორწყვა სჭირდება. სარწყავად აქ მდინარეს იყენებდნენ. საგანგებოდაც გაჰყავდათ სარწყავი არხები. უძველესი სარწყავი არხების მიწაში ჩაფლულ ნაწილებს ახლაც პოულობენ.

ხარის გარეშე საქართველოს ბარში თავის გატანა ძალიან უჭირდათ. ხარი ოჯახის მარჩენალად ითვლებოდა.

*თქმულება ხარისა და ირმის შეჯიბრის შესახებ*

ღმერთს ქვეყანად ადამიანი რომ გაუჩენია, იმაზეც უფიქრია, მას თავი როგორ შეენახა. დამხმარედ რომელი პირუტყვი გამოადგებოდა. ირემი და ხარი მოუხმია და უბრძანებია: გაიქეცით და ვინც უფრო მალე გადაირბენს ცას, იმას დავასაჩუქრებო. ირემი მართლაც გაქცეულა, მაგრამ სირბილით დაღლილა და მომკვდარა. მხოლოდ მისი ნაკვალევი დარჩენილა ცაზე. მას ირმის ნახტომი ჰქვია. ხარი კი დინჯად წასულა, ცოხნით. გვიან მიუღწევია ცის კაბადონისთვის, მაგრამ მაინც მისულა. ხარის ნაკვალევიც დასჩენია ცას, მას ხარის ნავალი ეწოდება. შემდეგ უკურთხებია ღმერთს ხარი, მისი ქედი დაულოცია და მისთვის ადამიანის შენახვის ტვირთი დაუკისრებია.

მასწავლებელმა აუხსნას ბავშვებს ამ თქმულების არსი, კერძოდ ისაუბროს ხარის მნიშვნელობის შესახებ ქართველი ხალხის ყოფაში.

## გაკვეთილი 63. მარცვლეულის მოსავლის აღება

**განსავითარებელი უნარები:** დაკვირვების, ლოგიკური აზროვნების, პარალელების გავლების.

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას "მკათათვე" და მოსწავლეებს სთხოვს დაშალონ სიტყვა ორ ნაწილად ისე, რომ ორი დამოუკიდებელი, სრულმნიშვნელოვანი სიტყვა მიიღონ. შემდეგ მასწავლებელი განმარტავს სიტყვა "მკის" მნიშვნელობას (7 წუთი).

მასწავლებელს მოჰყავს სულხან-საბასეული განმარტება – "ლეწვა ყანის დაბეგვაა" და შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს, გამოთქვან ვარაუდი, რა იგულისხმება ყანის დაბეგვაში; დააკვირდნენ წყარო ა-ს და იპოვონ ყანის დასაბეგვი იარაღი. მასწავლებელმა უნდა განმარტოს, რომ კევრი, ძირითადად, ფიჭვის ხისაგან მზადდებოდა, რადგან ფიჭვი იოლად არ ლპებოდა (10 წუთი).

ამის შემდეგ ტექსტისა და სურათების გამოყენებით მოსწავლეები თანმიმდევრობით აღწერენ სამუშაო პროცესს მკის დასაწყისიდან მარცვლეულის დაბინავებამდე; ეცნობიან ყველა იმ სამეურნეო იარაღს, რასაც ამ დროს იყენებდნენ (წყარო ა, ბ) (10 წუთი).

შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ხალხურ ლექსს და განმარტავენ თითოეულ სტრიქონს (10 წუთი).

საშინაო დავალება: შემდეგი გაკვეთილისთვის წარმოადგინონ შრომითი პროცესის ამსახველი ლექსი ან სიმღერა (3 წუთი).

## გაკვეთილი 64. რას ამზადებდნენ მარცვლეულისგან საქართველოში?

**კომენტარი მასწავლებლისთვის**

ვიდრე ადამიანი პურის ცხობას ისწავლიდა, მანამდე საკმაოდ ხანგრძლივმა დრომ გაიარა. თავდაპირველად მარცვლეულს არ ფქვავდნენ და მოხარშულს ფაფის სახით ჭამდნენ. საქართველოში ახლაც მიირთმევენ ძველი წესით მომზადებულ მოხარშულ ხორბალს – წანდილსა და კორკოტს.

საქართველოში მარცვლეული ძველი დროიდან მოჰყავდათ. არქეოლოგიური გათხრებისას მეცნიერებმა უძველეს მარცვლეულს მიაგნეს. ცნობილია პურის გამოცხობის ორი წესი – საფუვრიანი და უსაფუვრო. უსაფუვრო პურს უფრო ადრე აცხობდნენ, თუმცა მას უმეტესად საქართველოს მთიანეთში აცხობენ და ხმიადს უწოდებენ. ხმიადს გამოცხობის თავისი წესი აქვს. ხმიადის ცომს გახურებულ სიპ ქვაზე, კეცზე ან უბრალოდ ცხელ ნაცარში აცხობდნენ, დღეს კი საცხობად ტაფაც გამოიყენება. მოგვიანებით საფუარის დამზადების წესს მიაგნეს, საფუარს ჩვენში პურის დედას ან ხაშს უწოდებენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირი პური ცხვებოდა და ახლაც ცხვება. პური განსხვავდებოდა მარცვლეულის სახეების მიხედვით: იფქლის, ჭვავის, ქერის. ასევე განსხვავებული იყო ფორმისა და ფერის მიხედვით: მრგვალი, გრძელი, ბრტყელი, გულამოღებული მესხური... თეთრი, შავი, რუხი... ყველასთვის ცნობილია თონის, შოთის, დედას პური. თონის პურს ახლა ქართულ პურსაც უწოდებენ, შოთის პური ძირითადად კახეთსა და ქართლში ცხვება. სხვადასხვა სახის პურის გამოცხობა უმეტესწილად ხორბლის ჯიშზე იყო დამოკიდებული.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხორბლის ისეთი ჯიშები მოდიოდა, რომელთა მარცვალს წებოვნება აკლდა. ცომი თონის კედლებზე ვერ ეკრობოდა. ამიტომ აქ პურს კერაზე გახურებულ სიპ ქვაზე ან ფურნეში აცხობდნენ. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში თონე იყო გავრცელებული. თონე სამნაირია: მიწაში მთლიანად ჩადგმული, ნახევრად ჩადგმული და მიწისზედა.

ჯავახეთში პურს პატარა ფურნეში აცხობდნენ. ფურნე სახლში ჰქონდათ გამართული. თუ ოჯახში ფურნე არ იყო, მაშინ პურს ბრტყელ თხელ ქვაზე – საჯზე აცხობდნენ.

სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთ სოფელში ფურნისთვის განკუთვნილი სპეციალური პატარა ნაგებობაც იყო, მას "ფურნის სახლსაც" ეძახდნენ. "ფურნის სახ-

ლში“ ფურნე ქვისგან ან აგურისგანაა ამოშენებული. მისი წინა ნაწილი ოთხკუთხედია. აქვს რკინის მოძრავი კარი. პურის გამოსაცხობად მომზადებული ცომი ფურნეში სპეციალური ნიჩბით შეჰქონდათ.

საქართველოში ,,პურის ცხობა ოჯახის უფროსი დიასახლისის მოვალეობა იყო. იგი სათანადო თადარიგს წინა ღამით დაიჭერდა; ფქვილს გაცრიდა და ხაშს დააყენებდა. საცერი ორგვარი ჰქონდა ,,წმინდა“ (,,სამტკიცი“//,,მერდინი“...) და მსხვილთვლიანი. მსხვილთვლიანს ყოველდღიური ხარჯის პურისთვის იყენებდა, წმინდას კი სადღესასწაულოდ. ცომი დილით უნდა გადაეზილა-გადაეხაშმებინა (საფუარი შეერია). გუნდებს კი მანამდე არ ამოიყვანდა, სანამ თონე არ გახურდებოდა. თონე კი მზად მაშინ ითვლებოდა, როცა კედლები დათეთრდებოდა. მხურვალე ანუ ცხარე თონეს ნაცართუთქით (ნაცრისა და წყლის ნაზავით) გაანელებდა, ცხობის წინ თონეს მარილს ,,აჭმევდა“ (მარილწყალს კედლებზე მიაპკურებდა), შიგ ცოტაოდენ ფქვილს ჩაყრიდა ბარაქისათვის და ღვინოსაც ჩააწვეთებდა, თავწაკრული და პირახვეული ჯერ გარდაცვლილითა შენდობას იტყოდა, მერე პირჯვარს გადაისახავდა, პურის მადლზე დაილოცებოდა და ცხობას შეუდგებოდა“ (გიორგი გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, თბ. 2007, გვ. 134).

პურს რამდენიმე დღეში ერთხელ აცხობდნენ. გამომცხვარ პურებს კიდობანში ინახავდნენ, რადგან ხის კიდობნებში პური რბილად ინახებოდა.

დასავლეთ საქართველოს ბარში ხორბალი ნაკლებად მოდიოდა. აქ პურის მაგივრობას ღომი სწევდა, შემდეგ კი სიმინდიც შემოვიდა და მჭადის ცხობა დაიწყეს.

სასურველია, მასწავლებელმა წაიკითხოს ნუგზარ შატაიძის მოთხრობა “პურის ისტორია“ და ბავშვებთან ერთად განიხილოს.

**პასუხები ზოგიერთი შემაჯამებელი სავარჯიშოსთვის:**

**სავ. 2.** გ).

**სავ. 3.** ა) სწორია, ბ) შეცდომაა, სწორი პასუხია: კახურ შოთის პურს “დედას პურიც” ჰქვია. გ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ქართულ ნადიმს “პურობა” ჰქვია. დ) სწორია, ე) სწორია, ვ) სწორია, ზ) სწორია.

## გაკვეთილი 65. რთველი

**განსავითარებელი უნარები:** დაკვირვების, წაკითხულის გააზრების, აზრის გამოხატვის, მსჯელობის.

**გაკვეთილის მსვლელობა:** გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელი წრეში წერს სიტყვას “რთველი” და მოსწავლეებს სთხოვს, დაასახელონ, რა ასოციაციას იწვევს მათში ეს სიტყვა (3 წთ.). (რთველი — კალათი, სათათარე ქვაბი, ქვევრი, საწნახელი, ჩურჩხელა, მარანი, თათარა, გოდორი, აკიდო, კალათი...). დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ცნობა 1-ს და ასრულებენ ბულიტიან სავარჯიშოს (3 წთ.).

წყარო ა-ს გაცნობის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: რას გვაუწყებს არქეოლოგიური წყარო, რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ამ მონაცემებზე დაყრდნობით (5 წთ.)?

მოსწავლეები კვლავ ეცნობიან ტექსტს, ცნობა 2-ს და წყარო ბ-ს. ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამოკრიფონ გაკვეთილიდან და რვეულში ჩამოწერონ რთველში საჭირო ინვენტარი, დააჯგუფონ დანიშნულების მიხედვით (15 წთ.).

დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი კვლავ სვამს კითხვას: როგორ ფიქრობთ, მებრძოლებს საგზლად ჩურჩხელა რატომ მიჰქონდათ? (5 წთ.) (კალორიულია, დიდ ხანს ინახება, მსუბუქია).

მოსწავლეები ბოლოს ეცნობიან ნაწყვეტებს რაფიელ ერისთავისა და იოსებ ნონეშვილის ლექსებიდან და ასრულებენ დავალებას (7 წთ.).

გაკვეთილის მსვლელობისას ავსებენ გაკვეთილის დასაწყისში შეთავაზებულ დავალებას (3 წთ).

**კომენტარი მასწავლებლისთვის**

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა უძველესი დროიდან იყო განვითარებული. ეს არქეოლოგიურმა გათხრებმაც დაადასტურეს. ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში აღმოჩენილია ყურძნის წიპწები. უფლისციხეში ანტიკური ქალაქის გათხრებისას კი აღმოაჩინეს ორი ვეებერთელა აუზი, რომლებიც ღვინის დასაწურად მიიჩნიეს, დიდი აუზი – “საწნახლად“, პატარა – “სატკბილედ“, ყურძნიდან გამოწურული წვენის დასალექად. ღვინო მოხსენიებულია ქართული ლიტერატურის უძველეს ძეგლში “შუშანიკის წამება“. პური და ღვინო იყო საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობის სიმბოლო – “და იყო ქართლსა შინა პური და ღვინო ფრიადი“ – ასე ახასიათებს ქართლის კეთილდღეობას მეთერთმეტე საუკუნის მემატიანე [ა. ლეკიაშვილი, შენ ხარ ვენახი, თბ., 1972]. საგულისხმოა, რომ სწორედ ვაზის ჯვრით მოექცა ქართველი ხალხი ქრისტიანულ სარწმუნოებაზე.

მევენახეობა-მეღვინეობით ოდითგან განთქმული იყო კახეთი. ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათებით, კახური ღვინო “წარჩინებულია“.

საქართველოში მრავალი ჯიშის ყურძენი ხარობს. მარტო კახეთში ყურძნის 70 სახეობა მოდის. მათ შორის ცნობილი: საფერავი, რქაწითელი და სხვ. ყველა კახელი გლეხის კარ-მიდამოში ვენახია გაშენებული – სახლის ახლოს პატარა, ხოლო სოფლის ბოლოს დიდი ზვრები.

ვენახებში ხშირად ხეხილიც იყო დარგული. ვახუშტის სიტყვებით: “ვენახის კიდურთა ზედა ხილნი მრავალნი“.

ვენახის გასაშენებლად მიწას მომზადება უნდა. მიწას დაბარავენ და სავენახე “შარებს“ გაავლებენ. შარებში კი ვაზისგან აჭრილ რქა-ლერწს დარგავენ. შემდეგ კი წამოზრდილ, დაყლორტებულ ვაზს საგულდაგულოდ უვლიან.

რთველი შემოდგომაზე იწყება. მას ხანგრძლივი სამზადისი სჭირდება. იწნება კალათები და გოდრები, ირეცხება ქვევრები...

რთველისთვის მშრალ, მზიან ამინდს არჩევენ. უნდა მოიკრიფოს მშრალი ყურძენი. ამიტომ ყურძენს დილით, ნამის შეშრობის შემდეგ კრეფენ.

მოკრეფილ ყურძენს გადაარჩევენ სუფრის ყურძენს ცალკე ინახავენ. ღვინის დასაწური ყურძენი კი მარანში მიაქვთ და საწნახელში ღვინოს წურავენ.

## გაკვეთილი 66. მეცხვარეობა

**განსავითარებელი უნარები:** რუკაზე მუშაობის, დაკვირვების, აზრის გამოთქმის, დასკვნების გამოტანის.

**გაკვეთილების მსვლელობა:** მასწავლებელი გაკვეთილს

იწყებს ფიზიკურ რუკაზე თუშეთის ჩვენებით. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით მსჯელობენ თუშეთის გეოგრაფიულ გარემოზე და ლოგიკურად მიდიან დასკვნამდე, რომ მეურნეობის დარგებიდან თუშეთში ყველაზე მეტად ხელსაყრელი პირობებია მეცხოველეობისთვის (7 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაფიქრდნენ და უპასუხონ, როგორი კლიმატური პირობებია თუშეთში. მათი აზრის მოსმენის შემდეგ სვამს კითხვას: როგორ ფიქრობთ, რა გამოსავალი უნდა ნახოს თუშმა მეცხვარემ, რომ ზამთარში ცხვრის ფარა გამოკვებოს? (7 წთ.)

პასუხების მიღების შემდეგ მოსწავლეებმა რუკაზე უნდა აჩვენონ სავარაუდო მარშრუტი თუშეთიდან კახეთისკენ, შირაქის ველამდე, აღნიშნონ ის პუნქტები, რომლებსაც გაივლიან ბარში ჩამოსასვლელად (5 წთ.).

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაეცნონ ტექსტს; (წყაროებსა და ლექსს). ამოიწერონ თუში მწყემსის ტანსაცმელი, იარაღი, საკვები, ყოფითი საგნები (ჭურჭელი) და შეავსონ ცხრილი: (10 წთ.).

| იარაღი | საკვები | ტანსაცმელი | ჭურჭელი |
|---|---|---|---|
| | | | |

წყარო ბ-ს საშუალებით, აგრეთვე ფოტომასალაზე დაკვირვებით, ეცნობიან ყველის დამზადების ტექნოლოგიას (5 წთ.). შემდეგ კითხულობენ ლექსს და ასრულებენ დავალებას (8 წთ.).

## გაკვეთილი 67. რას ამზადებენ მატყლისგან მთაში?

### პასუხები შემაჯამებელი სავარჯიშოებისთვის:

**სავ. 1:** ბ)

**სავ. 2:** თექა.

**სავ. 3:** ა) სწორია, ბ) სწორია, გ) სწორია, დ) შეცდომაა, სწორი პასუხია: თექის მოთელვა რთული პროცესია, ე) შეცდომაა, სწორი პასუხია: მატყლის ჩეჩვა ქალების საქმე იყო, ამიტომ "მჩეჩელაობებზე" ქალები იყრიდნენ ხოლმე თავს ვ) სწორია.

## გაკვეთილი 68. თიბვა

**განსავითარებელი უნარები:** ტექსტზე მუშაობის, დაკვირვების, შედარების, აზრის გამოთქმის, დასკვნების გაკეთების.

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას "თიბვა" და მოსწავლეებს სთხოვს, ახსნან სიტყვის მნიშვნელობა (5 წთ.).

შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს კ.ნ.ს.-ს მეთოდით (10 წთ.).

ტექსტის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, ამოიწერონ ის სამეურნეო იარაღები, რომლებიც თიბვისას გამოიყენებოდა და მოძებნონ ისინი მოცემულ ფოტოებზე (5 წთ).

მოსწავლეები მსჯელობენ თიბვისას სამუშაო დროის განაწილებაზე, ადარებენ თიბვის პროცესს მთასა და ბარში და საუბრობენ მათ შორის განსხვავების გამომწვევ მიზეზებზე (5 წთ.).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან ვარაუდი, რატომ მღეროდნენ თიბვისას (5 წთ.).

შემდეგ მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები წერენ თხზულებას "ერთი დღე მთიბავებთან მთაში" (უნდა გამოიყენონ შესაბამისი ტერმინები) (7 წთ.). დასასრულს აწყობენ პრეზენტაციას (5 წთ.).

გაკვეთილის მსვლელობისას კი ასრულებენ მოცემულ სავარჯიშოებს (3 წთ.).

**კომენტარი მასწავლებლისთვის**

საქართველოში მიწათმოქმედებასთან ერთად მესაქონლეობაც არის განვითარებული. ზაფხულში საქონელი საძოვრებზე ნედლი ბალახით იკვებება. ზამთარში კი მას ძირითადად თივით კვებავენ. თიბვა ზაფხულში, ივნისში იწყება. კარგ ამინდში, დილით ადრე, სანამ ბალახს ცვარი შეაშრებოდა, მთიბავები მხარზე გადებული ცელებით სათიბში გავიდოდნენ და თიბვას შეუდგებოდნენ.

"ზაფხული ახლა დგება და ჯერ მხოლოდ სათიბად გასულან მინდორში, ათიოდე ვაჟკაცი ჩამდგარა ბალახში. ერთ რიგზე გამწკრივებულა, ხელში ცელები უჭირავთ და კიჟინით მიუყვებიან მინდორს. ბალახი მიწაზე ეფინება. მცელავების კვალს ქალები მიჰყვებიან, ქალებს ფიწლები უჭირავთ და იმ მოცელილ ბალახს კარგად შლიან, ნესტი რომ არ აილოს, უფრო კარგად გამოშრეს და დაბულულებული ზვინად დაადგან" (ნაწყვეტი თამაზ ბიბილურის მოთხრობიდან "წელიწადის დრონი").

თიბვის დამთავრების შემდეგ ბალახი კარგად რომ გამომშრალიყო, ერთი ან რამდენიმე დღე ჭელებად დაფენილს ტოვებდნენ. შემდეგ კი ფოცხით ახვეტდნენ და ბულულებად დადგამდნენ სათიბში.

ბულული მკვიდრად არ არის ნაგები. ამიტომ ცოტა ხანში რამდენიმე ბულულს მიწაში მაგრად ჩასობილ სარზე "ძირებად" ააგებდნენ.

"გინახავთ თივის ზვინი, "თივის სახლი", მინდორში აქა-იქ ამოწვდილი, თითქოს "კარავიაო"? "კარვის" თავზე ჯოხის წვერებსაც ამოუყვია თავი. ეს გრძელი ჭოკი ამაგრებს ვეება ზვინს, ერთ ვეება ზოგჯერ სახლისტოლა გორგალად აქცევს ქარ-წვიმისგან რომ არ დაიშალოს" (ნაწყვეტი თამაზ ბიბილურის მოთხრობიდან "წელიწადის დრონი").

მწერალს აღწერილი აქვს თიბვა ბარში. მთაში კი ვეება, "სახლისტოლა" ზვინები არ იდგმებოდა, თუმცა ზვინის აგების პრინციპი იგივე იყო.

საქართველოს ბარში სათიბიდან თივა ძირითადად ურმით ჩამოჰქონდათ, მთაში კი თივას ზამთრამდე ტოვებდნენ და მარხილით ან სათარით ჩამოჰქონდათ მთრელებს – ასე ეძახდნენ თივის ჩამომზიდავებს. სათარი კავიან ჯოხზე დაფენილი კარგად დატკეპნილი და საბლით შეკრული თივაა. სათარის ჯოხის კავზე საბელს გამოაბამდნენ, საბელს ზურგზე გადაიგდებდნენ და სრიალ-სრიალით ჩამოზიდავდნენ თივას მთიდან. რამოდენიმე სათარის ერთად გადაბმაც სცოდნიათ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სათიბად თიბის სამშაბათს გადიოდნენ. მანამდე კი სალოცავს შესაწირს სწირავდნენ ნათიბის სიუხვისა და საქონლის ბარაქიანობისათვის. თიბვის დროს შეისვენებდნენ ცელის ტარს დაეყრდნობოდნენ და ნაღვლიან სიმღერას მღეროდნენ, ახლობელ მიცვალებულს იგონებდნენ. ამ სიმღერას ხევსურეთში გვრინს უწოდებენ.

,,გაუხმობდა მთებს მთიბლის გვრინი, ფერდობები ნამხრევებით აჭრელდებოდა. დაზამთრებამდე თივის

ზვინებს იქ ტოვებდნენ, შემდეგ კი ბარში ჩამოათრევდნენ. სახიფათო იყო მთებიდან თივის ჩამოყენება. ერთმანეთზე გადაბმულ ზვინებს ზურგს მისცემდნენ და ციცაბოზე ბუქით მოჰქროდნენ თივა და მთრელი" (თინა ოჩიაური, ხევსურეთი და ხევსურები, თბ., 1977, გვ. 63).

ამბობენ, რომ ცელის ტარზე გვრინის დამღერების მიზანი მიცვალებულის სულების კეთილგანწყობის მოპოვება იყო. სჯეროდათ, რომ მიცვალებულის სულები მათ დაეხმარებოდნენ და ზამთარში თივაც და ნაწველ-ნადღვებიც (რძე და რძის პროდუქტები) უხვად ექნებოდათ. უწინ მინდვრის ჭაბუკი ღვთაების არსებობაც სწამდათ და ისიც ჯეროდათ, რომ იგი კვდებოდა და შემდეგ ისევ აღსდგებოდა. ფიქრობენ, რომ ნაღვლიანი სიმღერით ჭაბუკის უდროოდ დაღუპვას გლოვობდნენ.

## გაკვეთილი 70. ქართული საცხოვრებელი სახლი

**განსავითარებელი უნარები:** დაკვირვების, შედარების, დასკვნების გაკეთების, ლოგიკური აზროვნების, რუკაზე მუშაობის.

**გაკვეთილის მსვლელობა:** გაკვეთილის დაწყებისთანავე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ გაკვეთილში მოცემულ ფოტომასალასა და ა და ბ წყაროებს (9 წთ.). დაკვირვების შემდეგ გააკეთონ შედარება საცხოვრებლის ტიპებს შორის და იმუშაონ ვენის დიაგრამაზე (6 წთ.) :

მთის საცხოვრებელი

ბარის საცხოვრებელი

შემდეგ გაკვეთილში მოცემული საცხოვრებლის ტიპები წარმოსახვით განალაგონ საქართველოს ფიზიკურ რუკაზე (3 წთ.).

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება საქართველოს ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებაზე (რელიეფი, კლიმატი), მკვეთრად გამოყოფს მთისა და ბარისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. საუბრის ბოლოს მოსწავლეებს სთხოვს, უპასუხონ წყარო ა-ს ქვეშ მოთავსებულ პირველ ბულიტიან სავარჯიშოს (4 წთ.).

მასწავლებელი აგრძელებს საუბარს და ხაზს უსვამს, რომ დასავლეთ საქართველოში ნოტიო (ნესტიანი) ჰავაა. აქედან გამომდინარე, სახლიც ისეთი მასალისგან შენდებოდა, რომელიც იოლად გაშრებოდა. სასურველია მიუთითოს სამშენებლო მასალად გამოსაყენებელი ფოთლოვანი ხის ჯიშები: მუხა, თელა, წაბლი, წიფელი; წიწვოვანი – ფიჭვი, ნაძვი (4 წთ.).

საუბრის დამთავრების შემდეგ მასწავლებელი იყენებს ღია ტიპის, ძირითადად კვლევითი სახის ("რატომ ფიქრობ ასე?") კითხვას, აგრეთვე შემაჯამებელ და შემათანხმებელ კითხვებს ("ეთანხმებით თუ არა გამოთქმულ მოსაზრებას") და მოსწავლეები ასრულებენ ორივე შემაჯამებელ სამუშაოს (7 წთ.).

გაკვეთილის ბოლოს აღწერენ დარბაზს (წყარო ბ-ს ბულიტიანი სავარჯიშო) და მსჯელობენ, რატომ იკავებს კერია დარბაზში ცენტრალურ ადგილს (5 წთ.).

გაკვეთილის მსვლელობისას სასურველია ყურადღება გამახვილდეს სამშენებლო ტექნიკის მაღალ დონეზე, დარბაზის, კერძოდ გვირგვინის, მაგალითზე: გვირგვინის ბოძები ერთმანეთთან დაკავშირებულია შემაერთებლის გარეშე.

გაკვეთილის შეჯამებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს, რამდენად განსაზღვრავს გეოგრაფიული გარემო საცხოვრებლის ტიპს (3 წთ.).

მეტი თვალსაჩინოების მიზნით სასურველია, გასვლითი გაკვეთილი ჩატარდეს გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ თბილისში.

## გაკვეთილი 71. ტრადიციული და თანამედროვე ოჯახი

**პასუხები შემაჯამებელი სავარჯიშოებისთვის:**

**სავ.2:** ბ). **სავ. 3:** გ). **სავ. 4:** გ).

## გაკვეთილი 72. სტუმარმასპინძლობა

**პასუხები ზოგიერთი შემაჯამებელი სავარჯიშოსთვის:**

**სავ. 1:** გ).

**სავ. 2:** ბ).

**კომენტარი მასწავლებლისთვის**

სტუმარმასპინძლობა უძველესი და უნივერსალური ტრადიციაა. ქართველები ოდითგან განთქმულები იყვნენ სტუმართმოყვარეობით და სტუმარმასპინძლობაც საუკეთესო იცოდნენ. გრიგოლ ორბელიანმა ასე დაახასიათა ქართველი ერი: ,,ერი პურადი, გულადი, მებრძოლი შავის ბედისა"...

მეცნიერთა აზრით, სტუმარმასპინძლობას ეკონომიკური, ზნეობრივი და რელიგიური საფუძვლები გააჩნია.

მასპინძელი პატივისცემით უნდა მოპყრობოდა ყველას, ვინც მის ოჯახში ფეხს შედგამდა. იგი უნდა მოესვენებინა, დაეპურებინა, საუკეთესოდ უნდა გამასპინძლებოდა. გამოთქმა – ,,სტუმარი ღვთისაა" საქართველოში სტუმრისადმი დამოკიდებულებას კარგად გამოხატავს. ამ გამოთქმას ქრისტიანული არსით ხსნიან და უქონელისა და უპოვარის მიღება-გამასპინძლებაში ღვთაებრივი სტუმრის პატივისცემას გულისხმობენ.

სტუმარი უწინ მხოლოდ უცხოს, შორიდან მოსულს გულისხმობდა. ილია აბულაძის განმარტებით, ძველ ქართულში – "სტუმართ/სტუმრის-მოყუარება/მოყურობა – უცხოთ მოყვარებას" აღნიშნავდა, ხოლო "სტუმარი", "უცხოს, წვეულს". რაც შეეხება მასპინძელს, საბას განმარტებით, იგი "სახლისა და ლხინის უფალია" ე.ი. ზუსტად გადმოსცემს მასპინძელის მოვალეობას – ოჯახში, სახლში სტუმრის ლხინით დახვედრას. მოგვიანებით სიტყვა "სტუმარმა" ზემოაღნიშნულ მნიშვნელობასთან ერთად, ახალიც შეიძინა და იგი საერთოდ ოჯახში მოსულ, წვეულ ადამიანს აღნიშნავს. თუმცა ამ სიტყვას ძველი მნიშვნელობაც არ დაუკარგავს, წვეულ ახლობელს ასეც ეტყვიან "თავისუფლად იყავი, სტუმარი ხომ არა ხარო". სტუმრობა სხვადასხვაგვარი იყო – მოწვევით, დაპატიჟებითა და დაპატიჟების გარეშე. დაპატიჟება უმეტესად საოჯახო ლხინში იცოდნენ. მაგ., ქორწილში დაუპატიჟებლად სტუმარი არ მივიდოდა.

სტუმარმასპინძლობა გულისხმობდა სტუმრის მიღების, გამასპინძლებისა და გასტუმრების წესებს. სტუმარი სიხარულით, ღიმილით უნდა მიეღოთ. სტუმრის შუბლშეკრული დახვედრა სირცხვილად ითვლებოდა. სტუმარს თავის მხრივაც უნდა დაეცვა გარკვეული წესები. მაგ., თუ მამაკაცი მოვიდოდა ოჯახში, მას აუცილებლად უნდა მიებარებინა იარაღი ოჯახის დიასახ-

ლისისთვის. ეს, ერთი მხრივ, ნიშნავდა, რომ სტუმარი მასპინძელს სრულად ენდობოდა, მეორე მხრივ, კი მასპინძლის მიერ სტუმრის ყოველგვარი საფრთხისგან დაცვას გულისხმობდა. სტუმრის პატივსაცემად ოჯახი არაფერს იშურებდა. მისთვის განკუთვნილი იყო საუკეთესო ადგილი, ოთახი. შეძლებული ოჯახები სტუმრისთვის საკუთარ კარ-მიდამოში სახლსაც კი აგებდნენ. ასეთი სახლი უწინ საქართველოში გზის პირასაც შენდებოდა და "სასტუმრო სახლი" ეწოდებოდა. სასტუმრო სახლში ყველაფერი იყო სტუმრის მისაღებად – ლუმელი, ლოგინი, შეშა... ასეთ სახლში მგზავრი უსასყიდლოდ ათევდა ღამეს. სასტუმრო სახლებს სოფლის მოსახლეობა მორიგეობით უვლიდა.

მასწავლებელს შეუძლია პარალელის გავლება ახლანდელ სასტუმროებსა და ძველებურ სასტუმრო სახლებს შორის.

## გაკვეთილი 73 ქორწილი საქართველოში

**კომენტარი მასწავლებლისთვის**

ქორწილს ფშავში ნიშნობა უსწრებდა. ნიშნობაზე ვაჟის ოჯახი ქალის ოჯახში მიდიოდა, სარძლოს ნიშანს მიუტანდა და სუფრა იშლებოდა. დადგინდებოდა ქორწილის დღეც და ნეფის ოჯახიც საქორწილო სამზადისს იწყებდა. აცხობდნენ პურს, კლავდნენ საკლავს, იმარაგებდნენ სასმელს...

ქორწილის დღეს ნეფე მაყრებით საცოლის ოჯახს ეწვეოდა. იქ მას საცოლე და მისი მაყრები დახვდებოდნენ. ნეფე-დედოფალს თავზე გვირგვინებს დაადგამდნენ და ბედნიერებას მიულოცავდნენ. გაიშლებოდა სუფრა. საღამო ჟამს აიშლებოდნენ, ნეფიონი ჯვრის დასაწერად გაეშურებოდნენ. ჯვრის წერის შემდეგ ერთ-ერთი მაყარი წინ წავიდოდა და ცხენზე აკიდებულ ქალის მზითვს – ლოგინს, ტანისამოსს, ჭურჭელსა და სხვა ათას წვრილმანს ნეფის ოჯახში მიიტანდა.

დაღამებისას ნეფე მიუახლოვდებოდა სახლს. სერგი მაკალათია ასე აღწერს ნეფე- დედოფლის მიგებებას: "ღამის წყვდიადია და თოფების ჭექა-ელვით ნეფის ოჯახს მაყრიონი მოადგა. ნეფიონს ცხენები ჩამოართვეს და ისინი სახლის დერეფანზე დაჯარდნენ. ნეფიონის წინ ნეფე-დედოფალი დააყენეს და ყველანი სახლის კარისკენ გაემართნენ. სახლის შიგნით კარებში მორთული "ნეფის დედა" დადგა, რიმელსაც თავზე წოპწოპა ფშაური გრძელბეწვა ქუდი ეხურა და ხელში ხონჩა ეჭირა. ხონჩაზე იდგა ერბონარევი თაფლიანი ჯამი და საფუარი (ხაში). ნეფის დედად ირჩევენ ხანშიშესულ მანდილოსანს. ის ნეფის ნათესავია და ქვრივი და უშვილო არ უნდა იყოს."

უწინ ფშავში ქალის მოტაცება იცოდნენ. მოტაცება თითქმის ყოველთვის ქალის თანხმობით ხდებოდა. გაქცეულებს ქალის მდევარი დაედევნებოდა. გზაში თუ დაეწეოდა, ჩხუბი ატყდებოდა. ქალი გამარჯვებულს რჩებოდა, გამარჯვებული კი, უფრო ხშირად ქალის მომტაცებელი იყო, რომელიც შემდეგ შერიგებაზე იწყებდა ზრუნვას. ქალის მოტაცება, უმეტეს შემთხვევაში, ქორწილით გვირგვინდებოდა.

**პასუხები ზოგიერთი შემაჯამებელი სავარჯიშოსთვის:**

**სავ. 2.** ნეფისა და მაყრიონის პატარძლის ოჯახში მოსვლა, პატარძლის წაყვანა, ჯვრისწერა, ნეფის სახლში მახარობლის მოსვლა, ნეფე-დედოფლის გადაჯვარედინებულ ხმლებქვეშ გატარება, ნეფე-დედოფლისთვის ერბოგარეული თაფლის მირთმევა, ნეფის სახლში კერის სამჯერ გარს შემოვლა, ხონჩის მირთმევა, ნადიმის დაწყება.

**სავ. 3.** დ).

**სავ. 4.** გ).

## გაკვეთილი 74. შობა-ახალწელიწადი საქართველოში

**განსავითარებელი უნარები:** დაკვირვების, პარალელების გავლების, საკუთარი აზრის გამოთქმის, სხვისი მოსმენის.

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით, სადაც განმარტავს, რომ ტრადიცია ადამიანთა ერთგვაროვან ჯგუფურ ჩვევასა და ქცევას აღნიშნავს, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ამგვარად, ზოგჯერ გარკვეული ცვლილებებით, განაგრძობს დროში არსებობას. ტრადიცია შეიძლება იყოს ძალიან ძველი და შედარებით ახლად ჩამოყალიბებულიც. ძველია ახალი წლის ტრადიცია, რომელსაც ეს გაკვეთილი ეხება. მასწავლებელი განაგრძობს თხრობას და მიუთითებს, რომ ტრადიციები საქართველოში ზოგადად ერთგვარია, მაგრამ ამავე დროს აქვს კუთხობრივი სპეციფიკაც (10 წთ.). ამის შემდეგ კ.ნ.ს.-ს მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები ეცნობიან ტექსტსა და წყაროებს, ადარებენ ახალი წლის ტრადიციას გურიასა და რაჭა-ლეჩხუმში და გამოყოფენ მათ შორის საერთოს. მასწავლებლის თხოვნით აქვე შეიძლება მოიყვანონ რამდენიმე კუთხის მაგალითიც საახალწლო ტრადიციაზე (10 წთ.).

შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან წყარო გ-ს და უპასუხებენ ბულიტიან კითხვას, რომელიც მოცემულია წყაროს ქვემოთ. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან თავიანთი მოსაზრება, რატომ იყო გამოსახული "ციური მნათობები" კვერზე? (8 წთ.).

გაკვეთილის ბოლოს წერილობით ასრულებენ მეორე დავალებას. შემდეგ კი აწყობენ შესრულებული დავალების პრეზენტაციას (10 წთ.).

**კომენტარი მასწავლებლისათვის** (შობისა და ახალი წლის თარიღთან დაკავშირებით):

ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს მსოფლიოს უმეტესი ნაწილის ქრისტიანობა 25 დეკემბერს აღნიშნავს, ქართველი მართლმადიდებლები კი — 7 იანვარს. საქმე ისაა, რომ დაახლოებით ასი წლის წინ საქართველოში, მეცნიერთა კარნახით და საკუთარი კალენდრის სხვა ქვეყნების კალენდართან შესაბამისობაში მოსაყვანად, სახელმწიფომ 13-დღიანი შესწორება მოახდინა. ასე, 1918 წლის 17 აპრილი გამოცხადდა 1 მაისად. ამას მეცნიერული საფუძველი ჰქონდა — კალენდარში, რომელსაც დღესაც ვიყენებთ, წელიწადის ხანგრძლივობა 365 დღითა და 6 საათით განისაზღვრება, ეს კი სინამდვილეში 13 წუთით მეტია იმ დროზე, რომელსაც დედამიწა მზის გარშემო შემოვლას უნდება. ამ 13-წუთიანმა ცდომილებამ ქრისტეს დაბადებიდან თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში 13 დღე შეადგინა. აი, რატომ გადაწყდა კალენდრის შესწორება. ასეა თუ ისე, ამ შესწორების შემდეგ ქართველი, რუსი და ზოგიერთი სხვა ერის მართლმადიდებელი ეკლესიე-

ბი შობას 7 იანვარს ზეიმობენ — მათი ხელმძღვანელი პირები არ ცნობენ მსოფლიოს უმეტესი ნაწილის სახელმწიფოთა მიერ ერთი საუკუნის წინ კალენდარში შეტანილ ცვლილებას, და თვლიან, რომ "ნამდვილი 25 დეკემბერი" ახალი სტილით 7 იანვარს დგება.

### გაკვეთილი 75. ქართული ხალხური მუსიკა და ცეკვა

**განსავითარებელი უნარები:** დაკვირვების, შედარების, აზრის გამოთქმის, ცხრილის შედგენის.

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით. საუბრობს, რომ საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაში, რომელსაც ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში ქმნიდა, მუსიკალურ შემოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აღნიშნავს, რომ საკრავიერი მუსიკა ხმიერთან შედარებით გვიანდელია, თუმცა მასაც არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება (7 წთ.).

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ჩამოთვალონ ხალხური საკრავები (3 წთ.). დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს, წყარო ა-სა და ცნობა 1-ს. მასწავლებლის თხოვნით ამოიწერენ ხალხურ საკრავებს და უსადაგებენ ფოტოზე წარმოდგენილ ნიმუშებს (10 წთ.); ადარებენ ერთმანეთს, გამოყოფენ მათ განმასხვავებელ ძირითად ნიშნებს და ასრულებენ გაკვეთილის ბოლოს მოცემულ დავალებას (10 წთ.).

წყარო ა-ს გაცნობის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: როგორ გგონიათ, რატომ უწოდა მცხეთაში აღმოჩენილ უძველეს სამარხს ივანე ჯავახიშვილმა "პატარა მწყემსის საფლავი"? (5 წთ.)

გაკვეთილის მსვლელობისას ადარებენ სალამურსა და ლარჭემს, ძებნიან ლარჭემის შესატყვისს გურიაში და აღნიშნავენ, რა განსხვავებაა მათ შორის (5 წთ.). ასევე ასრულებენ ბულიტიან სავარჯიშოებს (3 წთ.).

**კომენტარი მასწავლებლისთვის**

ქართული ხალხური მუსიკალური საკრავები მრავალფეროვანია. ისინი იყოფიან დასარტყამ, ჩასაბერ და სიმებიან საკრავებად. მათ შორის არის არქაული ფორმის საკრავებიც. საკრავზე საქართველოში ძირითადად სიმღერის თანხლებით უკრავდნენ. თუმცა არცთუ იშვიათად სრულდებოდა მხოლოდ საკრავიერი მუსიკა. მაგალითად, საცეკვაოები, რომელთაც ქორწილებში, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებისას ასრულდებდნენ. საცეკვაოებს მრავალღერიან სალამურზე – ლარჭემზეც უკრავდნენ. ძირითადად კი ლარჭემზე მწყემსური მუსიკა სრულდებოდა. იგი, ისევე როგორც სალამური, მწყემსების საკრავი იყო. დასტურდება სამეგრელოსა და გურიაში. გურიაში მას სოინარს უწოდებენ. სოინარი ლარჭემზე პატარა საკრავია.

ლარჭემი 5 ან 6 სხვადასხვა ზომის მილისგან შედგება. თითოეული მილი გარკვეული სიმაღლის ბგერას გამოსცემს. მილები კანაფით ან ხის, უმეტესად, ბლის ქერქით არის ერთმანეთთან მიერთებული.

მწყემსს ლარჭემი ვერტიკალურად ეჭირა და ერთდროულად ორ მილში ჩაბერავდა ხოლმე. ზოგჯერ დაკვრის გასაადვილებლად ლარჭემს შუაზე ჰყოფდნენ და ორი შემსრულებელი უკრავდა. დაკვრის წინ საკრავის მილებს ნახევარი საათით ადრე წყლით შეავსებდნენ, სუფთა ბგერის გამოსაცემად. ეს, როგორც ჩანს, მილებს დაბზარვისგანაც იცავდა.

ლარჭემს ლერწმისგან აკეთებდნენ ივლისის ბოლოს, რადგანაც ამ დროისათვის ლერწამი უკვე კარგად იყო გამომშრალი.

### გაკვეთილი 78. აღზრდის ხალხური წესები

**განსავითარებელი უნარები:** მოსმენის, აზრის გამოთქმის, წერითი მეტყველების.

**გაკვეთილის მსვლელობა:** მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინი-ლექციით. საუბრობს ოჯახის უდიდეს როლზე ბავშვის აღზრდაში; ხაზს უსვამს, რომ ჩვენი წინაპრები ერთნაირი ყურადღებით ეკიდებოდნენ მოზარდის გონებრივ, შრომით, ფიზიკურ აღზრდას. ამისათვის კი ტრადიციული მეთოდები ჰქონდათ შემუშავებული. ასევე ერთნაირად აქებდნენ ქალისა და მამაკაცის შრომას, რაც მშვენივრად არის გამოხატული შემდეგი სიტყვებით: "გოგოს ნაკეთი სამარხი, ბიჭის მომკალი ყანაო". აქვე საუბრობს ოჯახში შრომის დანაწილების შესახებ (10 წთ.). შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაეცნონ ა, ბ, გ და დ წყაროებს და დაწერონ თხზულება – ერთი დღე ჩემი თანატოლის ცხოვრებიდან (10 წთ.). პრეზენტაციას ეთმობა 7 წუთი.

პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ცნობა 1-ს და გამოთქვამენ ვარაუდს, რატომ თამაშობდნენ "მგლობას" უმეტესად მთიელი ბავშვები (5 წთ.). მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მოიფიქრონ, იციან თუ არა მსგავსი თამაშები (5 წთ.).

გაკვეთილის მსვლელობისას უპასუხებენ გაკვეთილში არსებულ კითხვებს (7 წთ.).

**პასუხები მე-2 შემაჯამებელი სავარჯიშოსთვის:**

**სავ. 4:** ა) სწორია, ბ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ძველად სკოლები და საბავშვო ბაღები ბევრი არ იყო და ბავშვების აღზრდა-განათლებაც ოჯახში ხდებოდა, გ) სწორია, დ) შეცდომაა, სწორი პასუხია: ბიჭებს სამეურნეო საქმიანობას პატარაობიდანვე აჩვევდნენ.

# X. თავების შემაჯამებელი სავარჯიშოების პასუხები

**1-ლი თავის შემაჯამებელი სავარჯიშოების პასუხე-ბი**

2. ა – 2 ბ – 1 გ – 4 დ – 3
3. ა – 2 ბ – 1 გ – 3 დ – 4
4. გ, ბ, ა, დ
5. 1) ჯიქი, 2) ალესილები, 3) ირემი, 4) შავი კლდის ტბა
6. .....................
7. საქართველო შეიძლება მივაკუთვნოთ მთიანი ქვეყნების რიცხვს. ეს შეიძლება რუკის ფერების (დომინირებს ყავისფერი) საშუალებითაც დავადასტუროთ.
8. ხორბალსა და მზესუმზირას მოვიყვანდი კახეთში, ლიმონსა და ჩაის – აჭარა-გურიაში; ლიმონი და ჩაი ტენს და სითბოს მოითხოვს, ზამთარი არ უნდა იყოს მკაცრი (ძალიან ცივი). ხორბალსა და მზესუმზირას კი მაღალტენიანი ჰავა არ სჭირდება.
9. საქართველოში შემოვლითი გზებით შემოჭრილი ჰაერის მასები შეიცვლიან თვისებას. კერძოდ, მათი ტემპერატურა შედარებით მოიმატებს.
10. ა) თვითმფრინავის ხმაურს ტყეში გაიგონებ, ავტომობილისას კი – არა. (მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ ტყე მნიშვნელოვნად ამცირებს ხმაურს. ხეების ვარჯი და ტანი (ღერო) აფერხებს ხმაურის ჰორიზონტალურ ტალღებს. ამიტომ თვითმფრინავის ხმაური ტყეში ისმის, ავტომობილისა კი – ნაკლებად.)

ბ) ტყე ქარის სიჩქარეს ამცირებს. (დამატებითი კომენტარი პედაგოგისთვის: ტყე ქარის სიჩქარეს 35-40%-ით ამცირებს. მისი გავლენა საკმაოდ დიდ მანძილზეც იგრძნობა.)

გ) სახნავ-სათესის მახლობლად ტყის არსებობას შეუძლია ადგილი დაიცვას გვალვისგან, ქარისგან.

11. წყალი გვიან თბება და გვიან ცივდება. შავი ზღვის წყალი ზამთარში შედარებით თბილია და ათბობს ჰაერსაც. ამიტომ დასავლეთ საქართველოში ზამთრის პერიოდში უფრო თბილა, ვიდრე აღმოსავლეთში. 12. მცირე ტერიტორიაზე შეხვდებით უამრავ ტყეს, ტბას, მთას, მდინარეს. ჩვენს ქვეყანას ეკვრის შავი ზღვა. ჰავა ზოგან ტენიანი, ზოგან კი შედარებით მშრალია. აქ ჭაობიანი ტერიტორიებიცაა და ნახევარუდაბნოც.

**მე-3 თავის შემაჯამებელი სავარჯიშოების პასუხები**

1. ა – 2, ბ – 1, გ – 4, დ – 3.
2. ა – 2, ბ – 1, გ – 4, დ – 3.
3. შავი ზღვის, ტენიანი, გურია, აჭარა, სამეგრელო, აფხაზეთი, საზღვაო.
4. სვანეთი, რაჭა, მეცხოველეობა, ხანგრძლივი, მკაცრი.
5. ყველა წინადადება მართებულია.
6. 4, 3, 1, 2.
7. ა – კახეთი, ბ – სვანეთი, რაჭა, და სხვ. გ – იმერეთი, დ – მცხეთა.
11. პასუხები:

ქედი (მთა) – გუდამაყრის, შავი კლდე, ლიხი, მესხეთის, ლეჩხუმის.
ვაკე (დაბლობი – ელდარი, კოლხეთი, შირაქი.
მდინარე – ბზიფი, კინტრიში, ქსანი.
ტბა – ბაზალეთი, ფარავანი, ჯანდარი, რიწა.
ნაკრძალი – ლაგოდეხის, მარიამჯვარი, ბორჯომის.
უღელტეხილი – აბანოს, რიკოთის, ზეკარი, კლუხორი, გოდერძი.

13. პასუხები:

კახეთი – მარტყოფი, ალავერდი, ბოდბე
ქართლი – ბოლნისის სიონი, ბეთანია
იმერეთი – უბისა, გელათი, მოწამეთა
სამეგრელო – მარტვილი
გურია – ჯუმათი
რაჭა – ნიკორწმინდა
ხევი – გერგეტის სამება
სამცხე – ზარზმა
ჯავახეთი – კუმურდო
სვანეთი – წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას მონასტერი
აჭარა – სხალთა
აფხაზეთი – ბედია, მოქვი

14. პასუხი: 1 – ზ, 2 – ვ, 3 – ე, 4 – დ, 5 – გ, 6 – ბ, 7 – ა
15. პასუხები: 1 – ბ; 2 – გ; 3 – ა.

**მე-4 თავის შემაჯამებელი სავარჯიშოების პასუხები**

1. ა – ჩრდილოეთი, ბ – სამხრეთი, გ – დასავლეთი, დ – აღმოსავლეთი.
2. ა) კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ბ) ენგურისა და ჭოროხის შესართავის, გ) შავშეთისა და კლარჯეთის.
3. შავშეთი, ერუშეთი, არტაანი, კოლა, ამიერტაო, იმიერტაო, ჭანეთი, საინგილო
4.) შიდა ქართლის, მტკვრისა და დიდი ლიახვის, ქვემო ქართლის, მტკვრის, ალაზნის ვაკეზე, მდინარე რიონის.

**მე-5 თავის შემაჯამებელი სავარჯიშოების პასუხები**

2.

ა – 2, 3, 4, 8, 9
ბ – 1
გ – 7
დ – 5, 6

3.

ოროველა – ხვნა
აგიდელა – ყურძნის კრეფა
გვრინი – თიბვა

**მე-6 თავის შემაჯამებელი სავარჯიშოების პასუხები**

1. სწორია შემდეგი სახით:

უფლისციხე ყველაზე ადრეულია.
მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს.
დავითგარეჯა სამონასტრო კომპლექსია.
იგი დავით გარეჯელმა დააარსა.
ვარძია კლდეში ნაკვეთი ყველაზე გვიანდელი სამონასტრო კომპლექსია.

2. გეოგრაფიულმა გარემომ და განსხვავებულმა სამშენებლო რესურსმა;

3. კერია წმინდა ადგილად ითვლებოდა. აქ, ისევე როგორც დედაბოძთან, მრავალი რიტუალი სრულდებოდა.

4. ხვნა-თესვა – ოროველა

სიმინდის ტეხა – ხელხვავი

თიბვა – გვრინი

ლაშქრობა – მხედრული, მგზავრული; ქართველო, ხელი ხმალს იკარ.

5. სწორია – ლარჭემი ჩასაბერი საკრავია. მას ლერწმისგან ამზადებენ. ფანდური და ჩანგი სიმებიანი საკრავებია.

6. მთიანეთი – ციხე, სახლი, კოშკი, მაჩუბი, დუროიანი სახლი.

ბარი – დარბაზი, დარანი, გუმბათოვანი გადახურვა.

7. შემოდგომა მოსავლის აღებისა და სარჩოს მომარაგების დროა. სარჩოს გარკვეული მარაგი კი აუცილებელია როგორც ქორწილის გადასახდელად, ისე ზოგადად ახალი ოჯახის სარჩენად და პირველ ხანებში ფეხზე დასაყენებლად.

# XI. ბიბლიოგრაფია


**თავი 1 ჩვენი სამშობლო**

საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი I, (ფიზიკური გეოგრაფია), გეოგრაფიის ინსტიტუტის გამოცემა, თბ., 2000

საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი II, (სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია), გეოგრაფიის ინსტიტუტის გამოცემა, თბ., 2003

საქართველოს სახელმწიფო დროშები და გერბები, თბ., 1990

ელიზბარაშვილი ელიზბარ, საქართველოს კლიმატური რესურსები, თბ., 2007

ლორთქიფანიძე მარიამ, რა არის “ქართლის ცხოვრება”?, თბ., 1989

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, გიორგი მელიქიშვილის რედაქციით, თბ. 1970

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, შოთა მესხიას რედაქციით, თბ., 1973

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ზურაბ ანჩაბაძის და ვახტანგ გუჩუას რედაქციით, თბ., 1979

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, მამია დუმბაძის რედაქციით, თბ., 1979

საქართველო პირველი ევროპელის სამშობლო, თბ., 2000

საქართველოს არქეოლოგია, ტომი I, თბ., 1991; ტომი II, თბ., 1992

ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბ., 2002

ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1963

ენციკლოპედია “საქართველო”, ტომი I, თბ., 1997

საქართველოს ისტორიის ატლასი, მთ. რედაქტორი დ. მუსხელიშვილი, თბ., 2003

გეგეშიძე მიხეილ, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1956

ინაძე მერი, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994

ლორთქიფანიძე ოთარ, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002

ლორთქიფანიძე ოთარ, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986

ლორთქიფანიძე ოთარ, ვანის ნაქალაქარი, თბ., 1972

ლორთქიფანიძე ოთარ, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966

ურუშაძე აკაკი, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964

შუბითიძე-მაჭარაშვილი ვაჟა, ბოლქვაძე დავით, ქართული ციხესიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, თბ., 2008

ჯავახიშვილი ივანე, თხზულებანი 12 ტომად, ტომი I, თბ., 1979

ჯაფარიძე ოთარ, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006

ჯაფარიძე ოთარ, საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბ., 2000

ჯაფარიძე ოთარ, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, ქართველი ტომების ისტორიისათვის ძვ. წ. II ათასწლეულში, თბ., 1969

**თავი 2 თბილისი**

აბაშიძე ზურაბ, თბილისის ქუჩები, გამზირები, მოედნები, თბ., 2008

გრიშაშვილი იოსებ, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბ., 2007 (1927 წლის გამოცემის რეპრინტი)

ედიშერაშვილი სერგო, თბილისი, თბ., 2007

ვადაჭკორია ბადრი, თბილისი, თბ., 2007
თბილისი (ფოტოალბომი), თბ., 2009
თბილისი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989
კიკნაძე ზაქარია, თბილისის ჰერალდიკა, თბ.

**თავი 3 საქართველოს კუთხეები**
ბაქრაძე დავით, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987
ბოძაშვილი ლევან, ფშავი და ფშავლები, თბ., 1998
გუჯარეთი (კრებული), თბ., 1987
კოჟორიძე დავით, სამცხე-ჯავახეთი – წარსული და დღევანდელობა, თბ., 1987
მაკალათია სერგი, თუშეთი, თბ., 2003
მაკალათია სერგი, მთის რაჭა, თბ., 1987
მაკალათია სერგი, მთიულეთი, თბ., 1933
მაკალათია სერგი, ფშავი, თბ., 1985
მაკალათია სერგი, ხევსურეთი, თბ., 1984
მაკალათია სერგი, ხევი, თბ., 1934
მაკალათია სერგი, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1992
მარგოშვილი ლეილა, პანკისის ხეობა, თბ., 2002
მარჯანიშვილი გიორგი, ჰერეთი, თბ. 2005
სამაჩაბლო, ილუსტრირებული ალბომი, თბ., 2009
სახოკია თედო, მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), ბათუმი, 1985
ფრუიძე ლევან, რაჭა ეთნოგრაფის თვალით, თბ., 1986
შავხელიშვილი აბრამ, თუშეთი, თბ., 1987
შიდა ქართლი (ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1987
შიდა ქართლი (დიდი და პატარა ლიახვის ხეობების
არქიტექტურული მემკვიდრეობა), წიგნი I, თბ., 2002
შიდა ქართლი (ზნაურის რაიონის არქიტექტურული მემკვიდრეობა), წიგნი II, თბ., 2004
ჩიქოვანი თეიმურაზ, ზემო ქართლი, თბ., 1987
ძველი და ახალი ჭობარეთი (კრებული), თბ., 1990
ჭინჭარაული მიხა, შატილი, თბ., 2008

**თავი 4 ძველი საქართველოს მიწები და საქართველოს ისტორიული ქალაქები**
ვანი I, თბ., 1972
ვანი II, თბ., 1976
ვანი III, თბ., 1977
თბილისი, სერია “საქართველოს ძველი ქალაქები”, თბ., 2006
მცხეთა, სერია “საქართველოს ძველი ქალაქები”, თბ., 2006
ქუთაისი, სერია “საქართველოს ძველი ქალაქები”, თბ., 2006
აფრასიძე გიორგი, საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები, თბ., 1984
ბერიძე მერაბ, მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელობა. თბ., 2009
ვაჩნაძე ნაზირა, დეპორტირებული მესხი ქალის – ნაზირას წიგნი, თბ., 2005
თამაზაშვილი ნიკო, ჰერეთის ჯვარი, თბ. 2004
მეტრეველი როინ, ჯადუგიშვილი ნიკო, მკვიდრი უმკვიდრო შევიქენ, თბ., 2007
პაპუაშვილი თენგიზ, საინგილოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 2008
უმაროვ-გოზალიშვილი ხალილ, მესხთა ტრაგედია, თბ., 2005
ხოშტარია დავით, ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრები, თბ., 2005
მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, კრებული XVIII, თბ., 1975

**თავი 5 ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა საქართველოში 171**
ბრაილაშვილი ნინო, საქართველოს ეთნოგრაფია, თბ., 1990
იავნანა, თბ., 1965
იველაშვილი თინა, ხალხური სამზარეულო, თბ. 1991
კახაძე ოტია, პურეულის ლექსიკა ქართულში, თბ., 1987
ლეკიაშვილი ანდრო, შენ ხარ ვენახი, თბ., 1972
მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, კრებული XVIII, თბ., 1975
რუსიშვილი ნანა, საქართველო — ღვინის სამშობლო, თბ., 2007
რუხაძე ჯულიეტა, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1978
ჩიტაია გიორგი, შრომები, ხუთ ტომად, თბ., 1997-2000
ჩიქოვანი თეიმურაზ, ეთნოარქეოლოგიური ეტიუდები, თბ., 1989
ცაგარეიშვილი თამილა, მესაქონლეობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1987
ცოცანიძე გიორგი, გიორგიბიდან გიორგობამდე, თბ., 1990

**თავი 6 ქართული ტრადიციული კულტურა 195**


ბაგრატიონ-დავითაშვილი გიორგი, შალვაშვილი ლია, ტრადიციული დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი საქართველოში, თბ. 2010
ბარდაველიძე ვერა, ქართველ ტომთა უძველესი სარწმუნოება და საწესო გრაფიკული ხელოვნება, თბ., 2006
ბუხრაშვილი პაატა, საცხოვრისი ქართველი ერის ყოფასა და კულტურაში ძველად, თბ., 2005
ზანდუკელი ფიქრია, ქართული საბავშვო ფოლკლორის საკითხები, თბ., 1977
თათარაძე ავთანდილ, ძველი ქართული ფერხულები (სვანური), თბ., 1976
კაკაბაძე დავით, ქართული ორნამენტის გენეზისი, თბ., 2003
კეცხოველი მზისთვალა, შუა საუკუნეების დეკორატიული ქსოვილები სვანეთიდან, თბ., 1988
ლომთათიძე გიორგი, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს., თბ., 1982
მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, კრებული XVIII, თბ., 1975
მაჩაბელი ნუნუ, ქართული ხალხური საოჯახო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1976
მინდაძე ნუნუ, ჩირგაძე ნინო, ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციები, კახეთი, თბ., 2005
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, I, თბ., 1974
სუმბაძე ლონგინოზ, ქართული ხითხუროთმოძღვრება, თბ. 1986
სურგულაძე ირაკლი, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1986
ფანასკერტელი-ციციშვილი ზაზა, სამკურნალო წიგნი კარაბადინი, თბ., 1978
ყეინაშვილი იური, რაინდულოი საქართველოვ, ალსდექ!, თბ., 2007
შილაკაძე მანანა, ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, თბ., 1970

# XII. ინტერნეტ-რესურსები

**საქართველოს ისტორია**
http://ka.wikipedia.org
www.matiane.com
http://ggdavid.tripod.com/georgia/history.htm
http://www.istoria.ge
http://sisauri.tripod.com/history/history.html

**კულტურული მემკვიდრეობა**
http://www.museums.ge
http://www.monument.ge
http://www.photomuseum.org
http://sisauri.tripod.com/history/monuments.htm

**სახელმწიფო**
http://www.parliament.ge
http://www.president.gov.ge
http://www.constcourt.gov.ge
http://www.cec.gov.ge
http://www.ombudsman.ge
http://abkhazia.gov.ge
http://www.adjara.gov.ge

**გენეალოგია**
http://www.angelfire.com/ga/Georgian/kings.html
http://www.geogen.ge

**რელიგია**
http://www.tveni.ge
http://www.patriarchate.ge
http://www.orthodox.ge
http://www.ebcgeorgia.org
http://www.muslimgeorgia.org

**გარემოს დაცვა**
http://www.batsara.ge
http://www.kakheti.gov.ge/
http://www.lagodekhi.org.ge
http://www.borjomi-kharagauli-np.ge
www.vashlovanipa.ge
www.knp.ge
www.knr.ge
www.gpadc.org
www.iucn.org
www.gccw.org
www.nacres.org
www.cenn.ge
www.aarhus.dsl.ge

**ინტერნეტ-რესურსები მასწავლებლისთვის**

**სასწავლო ფილმები, ელექტრონული სასწავლო თამაშები, სტატიები**
http://tpdc.ge

**მრავალფეროვანი რესურსები საკლასო პრაქტიკისთვის, აქტივობები და პროექტები –**
www.readwritethink.org

**საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, წიგნები, ბლოგები, პუბლიკაციები დირექტორებისთვის, მასწავლებლებისა და განათლების სპეციალისტებისთვის**
www.ascd.org

**ევროპული სასკოლო ქსელის პროექტი სასწავლო პროცესის ტექნოლოგიებით გასამდიდრებლად –**
http://espnet.eu

**თანამშრომლობითი სასწავლო ონლაინ პროექტები სხვა ქვეყნის მოსწავლეებთან დასაკავშირებლად**
http://globalgateway.org

**პროფესიული განვითარების თემაზე საერთაშორისო კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების მონაცემთა ბაზა**
www.educatorsprofessionaldevelopment.com

**სასწავლო რესურსები და ობიექტები სხვადასხვა საგნის მასწავლებლებისთვის**
http://lreforschools.eun.org

**თანამშრომლობითი სასწავლო ინტერნეტ-პროექტები მონაწილეობის მსურველთათვის**
http://iearn.org

**ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის პუბლიკაციები**
http://ncac.ge

# ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსალი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

**ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;**

**ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;**

**გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;**

**დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;**

**ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;**

**ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;**

**ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;**

**თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.**